გეოპოლიტიკის საფუძვლები

ლექციების კურსი

შინაარსი

თემა I - გეოპოლიტიკა როგორც მეცნიერება

თემა II - გეოპოლიტიკის ისტორია

თემა III - თანამედროვეობის ძირითადი გეოპოლიტიკური მიმართულებები

თემა IV - საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა **(სპს)**

თემა V - გეოპოლიტიკური ეპოქები

თემა VI - გეოპოლიტიკური სცენარები

თემა VII - გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა (გეოსტრატეგია)

თემა VIII - კონფლიქტები და ომები საერთაშორისო პოლიტიკაში

თემა IX - ამერიკის შეერთებული შტატები

თემა X - რუსეთი თანამედროვე გეოპოლიტიკურ ურთიერთობებში

თემა XI - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

თემა XII - ევროპა გეოპოლიტიკური ურთიერთობების სისტემაში

თემა XIII - აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის (აწრ) ქვეყნების გეოპოლიტიკა

თემა XIV - ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გეოპოლიტიკა

თემა XV - განვითარებადი ქვეყნების გეოპოლიტიკა

ლექცია 1

გეოპოლიტიკა როგორც მეცნიერება

1. გეოპოლიტიკის საგანი, ობიექტი და კატეგორიები;
2. გეოპოლიტის კანონები;
3. მეცნიერების ტანსფორმაციისა და განვითარების ძირითადი ეტაპები;

ტერმინი **„გეოპოლიტიკა"** თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში საკმაოდ პოპულარულ ტერმინად იქცა, ტერმინი აქტუალიზირდება როცა საუბარი საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემებს, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობებსა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგს ეხება. გეოპოლიტიკის - სიტყვის ქართული მნიშვნელობა წარმოიშვა გერმანული Geopolitik (აქედანვე იქნა ნასესხები სხვა ენებშიც), რომელიც თავის მხრივ წარმოიშვა ბერძნული **„GEO"** (მიწა, სივრცე) და **„POLITIK**-ა" – (სახელმწიფოებრივი) სიტყვებისაგან. პირველად ეს სიტყვა გამოიყენა შვედმა პოლიტოლოგმა, გერმანოფილმა რ. ჩელენმა 1916 წ. ის და მის შემდგომი მკვლევარები ამ სიტყვას იყენებდნენ მაშინ როდესაც საუბრობდნენ <u>მეცნიერებაზე, რომელიც სახელმწიფოთა პოლიტიკაზე სივრცის ფაქტორს ავლენდა</u>.

საბჭოთა კავშირში გეოპოლიტიკა ითვლებოდა ბურჟუაზიულ ცრუმეცნიერებად, რომელიც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ტერიტორიული ექსპანსიის გასამართლებლად სჭირდებოდათ. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მწყრალად უდგებადა გეოპოლიტიკურ კონცეფციებს. სტალინი ყველა მისი უარყოფით მხარეების მიუხედავად იყო უმსხვილესი გეოპოლიტიკური სტრაგი, საკმარისია გავიხსენოთ მისი როლი მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიოს გადანაწილების საქმეში. ბრეჟნევის პერიოდშიც უმაღლესი მთავრობაც საკმაოდ კარგად იყო გათვითცნობიერებული გეოპოლიტიკურ იდეებში. ომი ავღანეთში მეტი არაფერი იყო თუ არა ანაკონდის რკალის გარღვევა და ინდოეთის ოკეანეზე გასვლის საშუალება, უბრალოდ მასებამდე არ დაიყვანებოდა მსგავსი დეტალები. ყველაფერი აიხსნებოდა სოციალისტური იდეების გავრცობის აუცილებლობით.

მსგავსი პირუთვნელობით ცოდავენ სხვა ქვეყნების პოლიტიკური ელიტებიც. ასე მაგალითად, ერაყის წინააღმდეგ ომის აუცილებლობას ბუშისა და ქლინტონის მთავრობა ხსნიდა ხუსეინის რეჟიმის გადაგდების აუცილებლობით, რეალურად აშშ-ს სურს გამყარდეს ენერგორესურსებით მდიდარ რეგიონში და მიიღოს საიმედო პოზიციები.

ალბათ იფიქრებთ, რა საჭიროა გეოპოლიტიკა ვისწავლოთ ჩვენ. მას ქვეყნის ხელმძღვანელობა უნდა სწავლობდესო. ერთი მხრივ ეს სწორეცაა, ყველა ქვეყანაში ჩვეულებრივ არსებობს (რაღაც დოზით) მნიშვნელოვანი დოკუმენტები ე.წ. სახელმწიფოს გეოპოლიტიკური კოდი, რომელიც ბქუნებრივია ყველა სახელმწიფო მოხელემ კარგად უნდა იცოდეს.

გეოპოლიტიკური ხასიათის პრობლემები თავს ხშირად რეგიონალურ დონეზეც იჩენენ (მაგ. კავკასია) რეგიონალურ პრობლემათა ცოდნის არასკმარისმა პროფესიონალიზმმა რეგიონალურპი პრორბლემატიკა გეოპოლიტიკური თანრიგში აიყვანა, ასე რომ გეოპოლიტიკის ცოდნა ჩინოვნიკთათვის საჭიროა რეგიონალურ დონეზეც.

ისევე როგორც სხვა დანარჩენს, გეოპოლიტიკასაც გააჩნია კვლევის საკუთარი საგანი და ობიექტი. გეოპოლიტიკის კვლევის ობიექტს წარმოადგენს **სივრცე.** თანამედროვე პირობებში მან კიდევ უფრო დაიტვირთა, ვიდრე მეცნიერების ჩასახვისას. დღეს, პლანეტარული გლობალიზაციის პირობებში გეოპოლიტიკაში სივრცესთან ერთად გათვალისწინებულ იქნა ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო, სამხედრო, ინფორმაციული, დემოგრაფიული და ა.შ. ფაქტორები.

გეოპოლიტიკის საგანს წარმოადგენს **კანონზომიერებანი, ფორმები და მეთოდები**, თუ გნებავთ, სხვადასხვა სუბიექტთა მხრიდან სივრცეზე კონტროლის გავრცობის **ხელოვნება.** ადრე ეს სახელმწიფოები და სახელმწიფოთა კავშირები იყო, დღეს კი სუბიექტებს შეიძლება განვაკუთვნოთ ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ). ამიტომ გეოპოლიტიკის ყველაზე მოკლე განმარტება შემდეგნაირი შეიძლება იყოს:

გეოპოლიტიკა – ესაა მეცნიერება ან ცოდნათა სისტემა სივრცეზე კონტროლის შესახებ.

გერმანელი გეოპოლიტიკოსები განუწყვეტლივ იმეორებენ, რომ გეოპოლიტიკა – ესაა სახელმწიფოს სივრცობრივი გააზრება.

გეოპოლიტიკის ჩარჩოებში, სუბიექტზე დამოკიდებულებით გამოყოფენ ორ მიმართულებას:

- **დოქტრინალურ-ნორმატული** – რაც გერმანიისათვის იყო დამახასიათებელი, ამჟამად კი ამერიკული გეოპოლიტიკისათვის;
- **შეფასებით-კონცეპტუალური** – მიმართულება (შვედეთი, ევროპის თანამედროვე სახელმწიფოები);

გეოპოლიტიკის ძირითად კანონებს შეიძლება განვაკუთვნოთ ფუნდამენტალური დუალიზმის კანონი (ორობითობა), რაც ორი ტიპის ცივილიზაციათა მუდმივ წინააღმდეგობაში

ვლინდება: საზღვაო (თალასოკრატიული) ათენი, კართაგენი, დიდი ბრიტანეთი, აშშ. და სახმელეთო (თელუროკრატიული) სპარტა, რომის იმპერია, გერმანია, რუსეთ-სსრკ-რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი.

„ცივი ომის" პირობებში ეს მუდმივი დაძაბულობა აღწევდა მაქსიმალურ პროპორციებს, თალასოკრატია აისახებოდა აშშ-სა და NATO-ში, ხოლო თელუროკრატია – სსრკ-სა და ვარშავის პაქტში.

გეოპოლიტიკის ფუძემდებელთა აზრით სახმელეთო ქვეყნები ვითარდებიან მკაფიოდ გამოყოფილ საზღვრებში, მათთვის მახასიათებელია: კონსერვატიზმი, ტრადიციონიზმი, მკვიდრბინადრობა, კოლექტივიზმი, სახელმწიფო მოწყობა ფორმა იღებს დესპოტიზმის ელემენტებს.

ცივილიზაციის საწინააღმდეგო ტიპია – საზღვაო, რომლისთვისაც მახასიათებელია განვითარების მაღალი დინამიზმი, ალღოიანეობა ტექნიკური პროგრესისადმი, უცხოა ინდივიდუალიზმი. ცივილიზაციის ეს ტიპი ვითარდება სწრაფად, პოლიტიკური წყობის საფუძველს წარმოადგენს პიროვნებისადმი პატივისცემა და დემოკრატია.

ასწლეულების მანძილზე კონტინენტალურ (სახმელეთო) ქვეყნებს უპირატესობა გააჩნდათ საზღვაოზე: სპარტას ათენზე, რომს კართაგენზე, მონღოლ-თათრებს ევრაზიის სხვადასხვა ხალხებზე. თუმცაღა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქიდან ძალათა თანაფარდობა თანდათანობით შეიცვალა, მსოფლიო ძლიერებას საზღვაო ქვეყნები აღწევდნენ, რომლის აპოფეოზად ანგლო-ამერიკული კაპიტალიზმის მსოფლიოში გაბატონების პროცესი იქცა.

ზემოთაღნიშნულიდან გამოედინება ორი ძირითადი კონცეფცია:

ჰართლენდი (შუამდებარე მიწა) – „მსოფლიო კუნძულზე" კონტროლის უზრუნველმყოფი და რიმლენდი (საზღვაო ზონა) ევრაზიის სანაპირო ზოლის კონტროლის უზრუნველმყოფი.

შეიძლება ითქვას, რომ გეოპოლიტიკა იკვლევს სახელმწიფოს ძალიასა და სისუსტის ურთიერთ დამოკიდებულებათა კანონზომიერებას სივრცობრიობის მიხედვით: ეს კანონზომიერებანი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. სივრცეზე კონტროლს კარგავენ ის სუბიექტები, რომელთაც არ ძალუძთ ან ვერ იპყრობენ სტრატეგიულ ტერიტორიებს;

2. ერთი გეოპოლიტიკური სუბიექტის მიერ სივრცეზე კონტროლის დაკარგვა ყოველთვის ნიშნავს სხვისით მის ჩანაცვლებას;

3. უპირატესობა გააჩნიათ იმ სუბიექტებს, რომლებიც აკონტროლებენ სივრცის საკვანძო (გეოსტრატეგიულ) წერტილებს. ისეთები როგორებიცაა მაგ. სრუტეები, არხები, კუნძულები.

ამიტომ რუსეთის მთავრობის უარს სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით კუბასა და ვიეტნამში, ასევე დემონსტრირებულ დისკუსიას ბელორუსიასთან, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით რუსი ერისაგან გამართლება არ უწერია.

გეოპოლიტიკური კატეგორიებია:

სივრცე, საზღვარი, ეროვნული ინტერესები და მათი რეალიზების მექანიზმები, სასიცოცხლო მნიშვნელობის სივრცე ჩრდილოეთი-სამხრეთი, ძალათა ბალანსი და ცივილიზაციათა შესაძლო შეტაკება და ა.შ.

შევჩერდეთ ისეთ მნიშვნელოვან კატეგორიაზე როგორც **ატლანტიზმია** (დასავლეთის სინონიმი) – ის აერთიანებს საკაცობრიო ცივილიზაციის დასავლეთ სექტორს, სტრატეგიულად – დასავლეთი ქვეყნების კავშირი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სამხედრო ბლოკში - NATO, ის ორიენტირებულია საბაზრო-სოცტალურ ფასეულობებზე და ფსონს ჩვეულებრივ პირვნებაზე დებს.

ატლანტიზმის საპირისპიროა **ევრაზიონიზმი** – გეოპოლიტიკური ცნება რომელიც აერთიანებს საკაცობრიო ცივილიზაციის აღმორსავლეთ სექტორს. სტრატეგიულა ესაა პოტენციური კავშირი რუსეთს, მონღოლეთს, ჩინეთს, ირანს, ინდოეთს შორის. ორიეტირებულია კოლექტივიზმზე.

გეოპოლიტიკურ ფუნქციებზე საუბრისას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გეოპოლიტიკა – **ესაა მეცნიერება ხელისუფლების შესახებ** და ხელისუფლებისათვის. გეოპოლიტიკას უწოდებენ მეცნიერებას პოლიტიკური ელიტის ან მმართვის შესახებ. იმიტომ, რომ ის ყოვლისშემძლეა მხოლოდ მაშინ, როცა მის თეორეტიკოსებს ძალუძთ თავიანთი შეხედულებები „მოახვიონ" პოლიტიკის შემოქმედებს, ან (იშვიათად), პოლიტიკოსები იქცევიან გეოპოლიტიკის შემოქმედებად.

შემთხვევითი არაა, რომ გეოპოლიტიკის ისტორიაში დარჩნენ ისეთი წყვილები როგორებიც იყვნენ:

- ბრიტანელები: მეცნიერი სერ ხ. მაკინდერი და პრემსიერი ლორდ კერზონი;
- ამერიკელები: ადმირალი-თეორეტიკოსი ა. მეხენი და პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი;

- გერმანელები: თეორეტიკოსი კარლ ხაუსხოფერი და ადოლფ ჰიტლერი.

<u>გეოპოლიტიკა</u>, როგორც წესი წმინდა თეორიულ ჩარჩოებში არ არსებობს. ხშირად ის გამოიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს სახელმწიფოს კონკრეტულ სიტუაციაში ქცევის გენერალურ ხაზს, ამიტომ მას ხშირად **გეოსტრატეგიას,** გამოყენებით გეოპოლიტიკას უწოდებენ.

გეოპოლიტიკამ განვითარების სამი ძირითადი ეტაპი განვლო:

1. გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების ჩასახვა. ეს ეტაპი დაკავშირებულია, პირველყოვლსა, გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორიებთან და მოიცავს XIX საუკუნის II ნახევარს;

2. კლასიკური გეოპოლიტიკა XX საუკუნის I ნახევარი. მის აპოგეად ითვლება გერმანული ნაციზმის გეოპოლიტიკა;

3. გეოპოლიტიკის ომისშემგმი რევიზია.

რევიზიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ XX საუკუნის შუა ხანებამდე, გეოპოლიტიკა ტრადიციულ (გეოგრაფიულ) ხასიათს ატარებდა. მასში განხილული იყო ურთიერთკავშირი გეოგრაფიასა და პოლიტიკას შორის, სივრცესა და სახელმწიფოს. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე გეოპოლიტიკა შინაარსობრივად კიდევ უფრო **კომპლექსური** ხდება.

თუკი კლასიკური გეოპოლიტიკა თავსდებოდა ფორმულირებაში: **გეოგრაფიული ხაზი – საგარეო პოლიტიკა,** თანამედროვე: - **გეოგრაფიული შრე – რესურსები – ტექნოლოგიები – მასობრივი შეგნება** – საგარეო პოლიტიკის ფორმულირებაში ექცევა. ეს კარგად ჩანს იუგოსლავიის, ავღანეთის, ერაყის კონფლიქტების მაგალითზე.

არსებული პოზიციების შეჯერებით გეოპოლიტიკის თანამედროვე გაგება შემდეგნაირადაა შესაძლებალი:

თანამედროვე გეოპოლიტიკა – ესაა მეცნიერება, რომელიც ერთობლიობაში იკვლევს გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სამხედრო, ისტორიულ, პოლიტიკურ და სხვ. ურთიერთდამოკიდებულ ფაქტორებს, რომელსაც ძალუძს გავლენა იქონიოს ქვეყნის სტრატეგიულ პოტენციალზე.

<u>გეოპოლიტიკა,</u> როგრც წესი, არ არის ერთიანი რამოდენიმე სახელმწიფოსათვის, თუნდაც ისინი მოკავშირეებად გამოდიოდნენ, ის პირველყოვლისა ამოდის სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებიდან, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის იდეიდან.

<u>დასკვნის სახით ვიტყვით, რომ სივრცე ყოველთვის ითამაშებს მნიშვნელოვან როლს პოლიტიკაში.</u> ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ნიკოლას სპაიქმენის ფრაზა იმის შესახებ, რომ

„გეოგრაფია საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტალური ფაქტორია", აქტუალობას არ კარგავს დღემდე. მინისტრები მოდიან და მიდიან, დიქტატორებიც კვდებიან, იცვლება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები, მაგრამ მთათა სისტემები, საზღვაო სივრცე ისევ „აუთვისებელი" რჩება.

თუკი სახელმწიფო გარე სამყაროსთან ურთიერთობებისას არ ფიქრობს საკუთარი ტერიტორიების შენარჩუნებაზე და პრიორიტეტს იდეურ, ემოციურ ფაქტორებს ანიჭებს, ის ადრე თუ გვიან მარცხდება და დამოკიდებული ხდება სხვა უფრო პრაგმატულად მოაზროვნე სახელმწიფოზე.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური ამინდი ხელს უწყობს ახალ ტექნოლოგიათა და კომუნიკაციათა ათვისებას, გეოგრაფიული ფაქტორი სახელმწიფოს თვითგადარჩენის სასიცოცხლო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული ფენომენის შემადგენელი ნაწილია.

ლექცია 2

გეოპოლიტიკის ისტორია

1. გეოპოლიტიკის ფუძემდებლები: ფრიდრიხ რატცელი, რუდოლფ ჩელენი, ალფრედ მეხენი, ხელფორდ მაკინდერი
2. გერმანული გეოპოლიტიკა
3. "ცივი ომის" გეოპოლიტიკა, ნიკოლას სპაიქმენი
4. რუსული გეოპოლიტიკა
5. გეოპოლიტიკის თანამედროვე კონცეფციები

გეოპოლიტიკა წარმოიშვა გეოგრაფიული მეცნიერების ფუნდამენტიდან. და ეს არ არის შემთხვევითი, მიაქციეთ ყურადღება გრაფია – ვწერ, აღვწერ სივრცეს-მიწას, სიტყვის სემანტიკას, თუგინდ სხვა სიტყვებით მნიშვნელობას და პოლიტიკა – გავლენას, უპირველესყოვლისა სახელმწიფოს გავლენას სივცეზე.

ხალხთა ცხოვრებისა და საზოგადოების სივცეზე დამოკიდებულების იდეა არახალია და მასზე ჯერ კიდევ ძველი მოაზროვნეები მიანიშნებდნენ: **არისტოტელე, ჰეროდოტე, სტაბონი, ფოლიბიუსი და ა.შ.** არისტოტელე მაგალითად თავის ცნობილ ტრაქტატში ;„პოლიტიკა" აღნიშნავდა, რომ ხაბტას ცივი ქვეყნების მცხოვრებნი, ენერგიულები და მუდმივად თავისუფლების მოლოდინში არიან, მაგრამ მათ არ აქვთ სიბრძნე, ამიტომ საკუთარი საქმეებისა და მეზობელთა მართვის საქმეში სრულიად უუნარონი არიან, რის გამოც საჭიროებენ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. სამხრეთის (აზიის) ხალხი, პირიქით, ბრძენია, მაგრამ არაენერგიული, ამიტომ მონობა და დამოკიდებულება სხვებზე მათ „ბუნებრივ მდგომარეობას" წარმოადგენს. ბერძნები კი რომლებიც შუალედური სივრცის მცხოვრებნი არიან, ორივე მხარის საუკეთესო თვისებებს ავლენენ.

ახალ პერიოდში გეოგრაფიული დეტერმინიზმის გამგრძელებელი მეტნაკლებად ცნობილი **ჟან ბოდენი** იყო, რომლის აზრით სწორედ გეოგრაფიული შრე ზემოქმედებს ხალხის ხასიათზე. ბოდენის აზრით ადამიანის არსებობისათვის საუკეთესო პირობები ზომიერ სარტყელშია - ჩრდილოეთის განედის 40 და 50 გრადუსებს შორის. აქ ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერი სახელმწიფოები, ამ რაიონის შვილები იყვნენ უდიდესი სამხედრო ხელმძღვანელები, წარმატებული ვაჭრები და თუნდაც საუკეთესო მსახიობები. ე.ი. ცალკეულ სახელმწიფოთა ძლიერება დამოკიდებულია გარშემო სარტყელის გავლენაზე.

განმანათლებლობის ეპოქაში მოცემულ მიმართულებას აღრმავებდა **შარ ლუი მონტესკიე.** 1748 წელს გამოვიდა მისი ცნობილი შრომა, - 30 წლიანი შრომის ნაყოფი: „კანონთა სულის შესახებ", რომლის 17 წიგნი ეძღვნება სივრცეზე კლიმატის გავლენას, სახელმწიფოთა მოწყობის ფორმებსა და ცალკეული ხალხის წეს-ჩვეულებებს.

დღეს ყველა მეტნაკლებად განათლებული ადამიანისათვის წარმოსადგენია მსჯელობა თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს – ქვეყნის ტერორიტორიულ მოცულობას სახელმწიფო მოწყობის ფორმებზე. აანალიზებდა რა სახელმწიფო მოწყობის ფორმებს მონტესკიე მივიდა დასკვნამდე, რომ მცირე სახელმწიფოებს შეესატყვისება – მართველობის რესპუბლიკური ფორმა; საშუალოს – მონარქია; ვრცელს დესპოტია.

ვფიქრობ, აუდიტორიაში არიან ისეთებიც რომელთაც აინტერესებთ ქალის მიერ სახელმწიფო მართვის მონტესკიესეული მსჯელობა: „სისუსტე მათ მართველობას ფრთხილსა და ზომიერს ხდის, ვიდრე სიმკაცრე და სიუხეშე მამაკაცებისა, რაც წარმატებული მართვისათვის ერთობ მნიშვნელოვანია ელემენტია."

მონტესკიეს შემდგომ კიდევ მრავალი სხვა მეცნიერი, განსაკუთრებით XIX საუკუნეში დიდ ყურადღებას უთმობდნენ გეოგრაფიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირს. მათ შორის კულტუროლოგი **ჰერდერი,** ფილოსოფოსი **ჰეგელი;** გეოგრაფები **ალექსანდრე ფონ ჰუმბოლტი** და **კარლ რითთერი.**

და მაინც, მნიშვნელოვანი გარდატეხა, გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეად განვითარებაში (გეოპოლიტიკაში) დაკავშირებულია გერმანელ მეცნიერთან, გეოგრაფთან ფრიდრიხ რატცელის სახელთან (1814-1904). მიუხედავად იმისა რომ ის არ არის ტერმინ „გეოპოლიტიკის" ავტორი, ბევრი რამ ამ პიროვნების მეცნიერული ნააზრევიდან საფუძვლად დაედო გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების საბოლოო სახით ჩამოყალიბებას. საფრანგეთ-პრუსიის ომის მონაწილე, მისი დასრულების შემდეგ იწყებს ლექციების კითხვას მიუნხენისა და ლაიფციგის უნივერსიტეტებში.

რაცტელის კონცეფციაში აქცენტი გადატანილია სივრცეზე – როგორც სახელმწიფოს ძირითად ძალაზე. თვით სახელმწიფო კი მათთან განიხილებოდა როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მის ფესვებში ხალხის დაინტერესებული საქმიანობით, რომელთა ამოცანას მისი გარე სამყაროსაგან დაცვა წარმოადგენს.

თითოეულ სახელმწიფოს და ცალკეულ ხალხს გააჩნიათ თავიანთი **„სივრცობრივი აზრი"**. და თავიანთი **„სივრცობრივი ენერგია",** რომლებიც განსაზღვრავენ მის ბედს. სახელმწიფოს დაცემა – თვლიდა რატცელი – სივრცობრივი ენერგიის შესუსტების შედეგია.

ნაშრომში „პოლიტიკური გეოგრაფია" (1897) „სახელმწიფოს სივრცობრივი ზრდის კანონების შესახებ" (1901) რატცელმა ჩამოაყალიბა ექსპანსიის 7 კანონი, რომელსაც ლ. გუმილოვმა პასსიონარული უწოდა:

1. სახელმწიფოთა სივრცობრივი ზრდა დამოკიდებულია მის კულტურულ ზრდაზე;
2. სახელმწიფოს ზრდას თან ახლავ აქტივობის მომეტება – იდეურობა, ვაჭრობა, მისიონერობა;
3. სახელმწიფოთა ზრდა ხორციელდება მცირე ქვეყნების ან ხალხთა ჯგუფების მიერთებით ან საერთოდ ჩაყლაპვით;
4. საზღვარი როგორც პერიფერიული ზონა, სახელმწიფოს ძლიერების ან მისი სისუსტის ანარეკლია;
5. ზრდისას სახელმწიფო ყოველთვის ეცდება გარშემორტყმული სივრცისაგან შეითვისოს მხოლოდ ფასეული ელემენტები: სასაზღვრო ზოლი, უღელტეხილები, რაიონები და ა.შ.
6. ტერიტორიული ზრდის იმპულსი მაღალგანვითარებული სახელმწიფოებიდან გამოედინება;
7. მომავალი იმ მსხვილი სახელმწიფოებისკენაა, რომლებიც ვრცელ კონტინენტალურ სივრცეს იკავებენ (ჩრდ. ამერიკის, რუსეთის, ავსტრალიის, სამხრეთ ამერიკის ტიპი.).

ბევრი კრიტიკოსთაგანი რატცელს მისი ნაშრომის „კატეხიზისი კაპიტალისტთათვის" ამტყუნებდნენ. სადაც მეცნიერი არც კი ცდილობდა გაემართლებინა დამპყრობელთა მიზნები. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გეოგრაფიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირის ახსნას შეძლებდა.

სივრცე კაცობრიობის ცხოვრების სტიმულატორია. მომავალი მსხვილ სახელმწიფო წარმონაქმნთა ხვედრია. კერძოდ, ისეთების როგორებიცაა აშშ, რუსეთი, გაერთიანებული ლათინური ამერიკა, ავსტრალია.

დღევანდელი გადასახედიდან საკმაო ყურადღებას იქცევს მისი პროგნოზი წყნარი ოკეანის ბედი შესახებ. რატცელი მას „მომავლის ოკეანეს" უწოდებს. ეს რეგიონი – მისი აზრით –

მსოფლიოს ბევრ წამყვან სახელმწიფოთა ურთიერთქიშპისა და დაპირისპირების ობიექტად იქცევა.

<u>სახელმწიფოები, რომლებიც დომინირებენ წყნარ ოკეანეში, დომინირებენ მსოფლიოში.</u> მისი ძირითადი რესურსი უკიდეგანო მოცულობა და სტრატეგიული ადგილმდებარეობაა. რატცელის წინასწარმეტყველებით წყნარი ოკეანის ზონა იქცევა აშშ-ს, ინგლისს, რუსეთს, იაპონიასა და ჩინეთს შორის ძალათა ურთიერთმოსინჯვის პოლიგონად. ეს შეტაკება კი ისტორიაში იქნება ერთი ციკლის ერთგვარი დასასრული და დასაწყისი ახალი ერასი. გამარჯვებული კი ამ შეჯახებიდან არა საზღვაო არამედ კონტინეტალური ქვეყნები გამოვლენ, რომელთაც უმსხვილესი სახმელეთო სივრცობრივი რესურსი გააჩნიათ.

ამრიგად რატცელი სივრცის პასიური აღწერილობის ამპლუიდან მის (სივრცის) გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ასპექტზე გადაერთო. მისი იდეები დატაცებულ იქნა მისივე მოსწავლეების მიერ გერმანიაში და მის საზღვრებს გარეთაც.

ერთ-ერთი რატცელის მოსწავლეთაგანი, პოლიტოლოგიისა და ისტორიის შვედი პროფესორი პანგერმანისტი **რუდოლფ ჩელენი** (1846-1922) იყო. **ის საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო შვედეთის პარლამენტის წევრი.** სწორედ მან შემოიტანა და დაამკვიდრა ტერმინი გეოპოლიტიკა.

<u>გეოპოლიტიკა ჩელენის მიხედვით „ეს არის მეცნიერება სახელმწიფოს, როგორც გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ"</u>.

ჩელენის შრომის სათაური „სახელმწიფო როგორც ცხოვრების სტილი" (1916). ფარვატერშივე რატცელის იდეათა გაგრძელებაზე მეტყველებს.

„სახელმწიფო – არა შემთხვევითი კონგლომერატია, რომელიც მხოლოდ კანონმდებელთა ფორმულებით ინარჩუნებს თავს – ის ცოცხალი არსებაა". როგორც ასეთი ის მიჰყვება თანმიმდევრული ზრდის კანონს: „ძლიერი სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოები, რომელთაც გააჩნიათ ორგანული სივრცე, ექვემდებარებიან საკუთარი საზღვრების **გაფართოების კატეგორიულ იმპერატივს** (კოლონიზაციის, შერწყმის ან დაპყრობის გზით)".

თავის მასწავლებელს ის ავსებს იმით, რომ სახელმწიფოს ხასიათის განსაზღვრისას სივრცესთან ერთად სახელმწიფოს სასურველი ჯანმრთელობისათვის კიდევ ოთხ ელემენტს ასახელებს:

- მეურნეობის ფორმები (ეკოპოლიტიკა);
- ეროვნულ-ეთნიკური ხასიათი (დემოპოლიტიკა);

- სოციალურ-კლასობრივი ურთიერთგაგება (სოციოპოლიტიკა);
- სახელმწიფო მართვის ფორმები (კრატოპლიტიკა).

ყოველივე ეს, ერთად აღებული – ჩელენის მიხედვით – ქმნიან „ერთი და იგივე ძალის 5 უძირითადეს ელემენტს (ხელზე ხუთი თითის მზგავსად)" რომელიც მშვიდობინობის პერიოდში შრომობს, ომიანობისას - ომობს.

სახელმწიფოს შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი – ძალაა. სახელმწიფოები ღზევდებიან, რადგანაც ძლიერნი არიან. ძალა სახელმწიფოსათვის – იგივ ჩელენის აზრით – კანონზე მნიშვნელოვანიცაა, რამეთუ, საკუთრივ კანონი შესაძლებელია ზურგს „ძალით" იმაგრებდეს.

მომავალში გერმანოფილი, გერმანელებს „ახალგაზრდა ხალხად" მოიხსენიებდა „ბებერი" ფრანგებისა და ინგლისელებისაგან განსხვავებით, აცნობიერებდა რა სკანდინავიის ქვეყნების სისუსტეს და მათი მიმართულებით შესაძლო აგრესიის მაღალ რისკს ის **გერმანო-ნორმანული** კავშირის შექმნის იდეით გამოდიოდა, რომელსაც სათავეში გერმანია ჩაუდგებოდა.

რატცელისა და ჩელენის იდეებმა გეოგრაფიისა და პოლიტიკის ურთიერთკვშირის შესახებ მართალია საფუძველი ჩაუყარა გეოპოლიტიკას, მეცნიერული დისციპლინის იერი მას (საბოლოო სახით) ალფრედ მეხენმა და ჰაროლდ (ხელფორდ) მაკინდერმა - გლობალური გეოპოლიტიკური კონცეფციებით, მსოფლიოს პერსპექტიული და რეტროპერსპექტიული თეორიებით - მისცა.

მომავალში გერმანოფილი, ის, გერმანელებს „ახალგაზრდა ხალხად" მოიხსენიებდა. „ბებერი" ფრანგებისა და ინგლისელებისაგან განსხვავებით, ის სკანდინავიის სუსტ ქვეყნებს შესაძლო საფრთხისაგან თავისდასაცავად გერმანიასთან კავშირს სთავაზობდა, რომელსაც ბუნებრივია სათავეში გერმანიის იპერია ჩაუდგებოდა.

რატცელისა და ჩელენის იდეებმა – გეოგრაფიისა და პოლიტიკის ურთიერკავშირის შესახებ – საფუძველი ჩაუყარა გეოპოლიტიკას. თუმცა საბოლოო სახით მეცნიერებად ის ალფრედ მეხენმა და ჰაროლდ (ხელფორდ) მაკინდერმა თავიანთი გლობალურ გეოპოლიტიკური თუ მსოფლიოს რეტროპერსპექტიული და პერსპექტიული კონცეფციებით აქციეს.

ამერიკელი ადმირალი ალფრედ მეხენი (1840-1914) – სამხედრო ფლოტის ისტორიის მასწავლებელი – მივიდა დასკვნამდე, რომ საზღვაო ძლიერება განსაზღვრას სახელმწიფოს ძლიერებას მთლიანობაში. მისი ძირითადი ნაშრომია „საზღვაო ძალის გალენა ისტორიაზე" რომელიც 1890წ. გამოქვეყნდა.

წიგნმა არნახული წარმატება ჰპოვა. მხოლოდ ინგლისსა და აშშ-ში მან 32 გამოცემას გაუძლო. თარგმნილი იქნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. მათ შორის რუსულზეც (1895;1941) მის წიგნს სხვაგვარად „საზღვაო ძალის ფილოსოფია"-საც უწოდებენ.

გერმანიის კაიზერი ვილჰელმ II საუბრობდა რა ნაწარმოების ღირებულებაზე, ამტკიცებდა, რომ ის ცდილობს გაიზუთხოს მეხენის შრომა. მანვე გასცა ბრძანება დაგზავნილიყო წიგნი ყველა სამხედრო საზღვაო და სახომალდო სკოლის ბიბლიოთეკებში. წიგნს საკმაო აღიარება ჰქონდა იაპონიაშიც.

მეხენის კონცეფციის თანახმად, საზღვაო ძლიერება განსაზღვრავს ქვეყნებისა და ხალხის ისტორიულ ბედს. ცდილობდა რა აეხსნა ინგლისის სხვა სახელმწიფოებზე აღმატებული ძლიერება XIX ს-ში ადმირალი წერდა: „ზღვებზე კონტროლი ესაა სიმდიდრის აკუმულირების საუკეთესო გზა"

მეხენმა ჩამოაყალიბა ფორმულა:

სამხედრო ფლოტს + სავაჭრო ფლოტი + სამხედრო-საზღვაო ბაზები = საზღვაო ძლიერებას

საზღვაო ძალის პარამეტრები განისაზღვრება: ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, მისი ბუნებრივი რესურსებითა და კლიმატით, აგრეთვე, მოსახლეობის რაოდენობრივი შემადგენლობით, ეროვნული ხასიათითა და სახელმწიფო წყობით.

გამომდინარე აქედან ის ცდილობს დაასაბუთოს აშშ-ს უდიდეს საზღვაო ძალად ქცევის აუცილებლობა, განიხილავს რა მას ქვეყნად, რომელიც ევროპული ცივილიზაციის უპირველეს მცველად, მფარველად, ჩამოყალიბდება. ამ სერიოზული მისიის აღსრულება კი იწყება ჯერ საკუთრივ ამერიკის კონტინენტზე ბატონობით. ე.წ. მონროს დოქტრინა (1758-1831) შემდეგ ნაბიჯი კი ოკეანეთში გაბატონება იქნება, რომელსაც ამერიკა ძლიერი ფლოტის ყოლით მოახერხებს.

იმისათვის, რომ აშშ იქცეს მსოფლიო სახელმწიფოდ მან მეხენის მიხედვით უნდა შეძლოს:

1. აქტიური თანამშრომლობა ბრიტანეთის საზღვაო ძალებთან;
2. გერმანიის საზღვაო პრეტენზიებისათვის წინააღმდეგობის გაწევა;
3. თვალყურის გადევნება იაპონიის მომეტებულ ექსპანსიაზე ოკეანეთში და საჭიროების შემთხვევაში მისთვის ხელშეშლა;
4. ევროპელებთან ერთად აზიელთა წინააღმდეგ კოორდინირებული მოქმედება.

საზღვაო ცივილიზაციის ძირითად საფრთხეს ის კონტინენტალურ ქვეყნებში რუსეთში, ჩინეთსა და გერმანიაში ხედავდა. მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შემცირების მიზნით

მეხენი აუცილებლად მიიჩნევდა სახმელეთო და საზღვაო ზოლებში მათი ტერიტორიების ბლოკირებას. ამ პრინციპით შეიქმნა და მოგვიანებით ამოქმედდა ამერიკული „ანაკონდის" გეგმა, რომელიც ცალ-ცალკე თითოეული ამ ქვეყნის „მოგუდვას" ითვალისწინებდა.

პირველ მსოფლიო ომში ეს სტრატეგია რეალიზირდებოდა ანტანტის აქტიური მხარდაჭერით, გაიხსენეთ, ყველა ნავსადგური, მათ შორის არხანგელსკი ინტერვენტთა მიერ იქნა დაკავებული. მეხენის გეოპოლიტიკური იდეები განსაკუთრებით „ცივი ომის" პირობებში რეალიზირდებოდა.

მნიშვნელოვანი წვლილი გეოპოლიტიკის განვითარებაში შეიტანა ინგლისელმა გეოგრაფმა ჰაროლდ მაკინდერმა (1861-1947). მან პირველმა მოხასაზა საკმაოდ შთამბეჭდავი სახმელეთო მსოფლიოს გლობალური მოდელი.

მაკინდერი ასწვლიდა ოქსფორდში შემდეგ კი ხელმძღვანელობდა ცნობილ ეკონომიკურ სკოლას. 1910 წლიდან 1922 წლამდე იყო თემთა პალატის წევრი.

მისი იდეების პირველი სერიოზული გამოხატულება იყო 1904წ. ბრიტანეთის გეოგრაფიულ საზოგადოების წინაშე გაკეთებული მოხსენება „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" შესახებ. ალექსანდრე დუგინის აზრით ამ მოხსენების ტექსტი თავისუფლად შეიძლება იქნეს ჩათვლილი ამ დისციპლინის ისტორიაში ძირითად გეოპოლიტიკურ ტექსტად.

მაკინდერის რწმენით, პლანეტარული თვალსაზრისით სამყაროს ცენტრში დგას ევრაზიის კონტინენტი, ხოლო მის ცენტრში – „სამყაროს გულში" ან „ჰართლენდში" - შუამდებარე მიწა – რომელიც არის მსოფლიოს კონტროლის მნიშვნელოვნად ხელსაყრელი გეოგრაფიული პლაცდარმი.

„ჰართლენდი" მოიცავს პირველყოვლისა რუსეთს, ბალტიის ზღვას, დუნაის, მცირე აზიას (თურქეთს), ამიერკავკასიას, ირანს, მონღოლეთს. აღმოსავლეთსა და სამხრეთში „ჰართლენდი" ქვეყნებით რომლებიც ქმნიან მუსსონურ სასაზღვრო სარტყელს" და „არაბეთის რაიონს". „ჰართლენდსა" ევროპის სანაპირო სარტყელს შორის დემარკაციულ ზონას წარმოადგენდა გერმანია.

ჩრდილო ამერიკა, იაპონია, ავსტრალია, აფრიკა და ინგლისი მაკინდერის რუკაზე განეკუთვნებიან „საგარეო ან კუნძულოვან სარტყელს".

რომ არ მოხდეს მოვლენათა არასასურველი განვითარება, საზღვაო ქვეყნებმა (აშშ, ინგლისი და იაპონია) უნდა გაერთიანდნენ და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ „ჰართლენდის" სიღრმეებში შესაღწევად.

ამ მიმართებით მეტად მნიშვნელოვანია შავსა და ბალტიის ზღვებს შორის არსებული აღმოსავლევლეთ ევროპის ტერიტორია. მაკინდერის გეოპოლიტიკურმა კანონმა 3 მაქსიმის სახით დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

ის, ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, აკონტროლებს „ჰართლენდს"; ვინც აკონტროლებს „ჰართლენდს", ის აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს; ვინც აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, ის აკონტროლდებს მთელ სამყაროს.

<u>**აღმოსავლეთ ევროპა**</u> – ეს არის „ჰართლენდის" გული, რომელიც პირველყოვლისა მოიცავს რუსეთის ნაწილს (ბალტიისპირეთს, პოლონეთსა და ფინეთს) ჩრდილოეთში და ბალკანეთის ქვეყნეს სამხრეთში.

<u>**ჰართლენდი**</u> – ან მსოფლიო პოლიტიკის ღერძისმიერი რეგიონი, რომელიც მოიცავს ევრაზიის შიგა, უკიდეგანო სივრცეს სადაც მაკინდერის აზრით სტრატეგიულ როლს რუსეთი თამაშობს და „წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის ღერძისეული რეგიონის ევრო-აზიურ რაიონს, რომელიც მიუწვდომელია გემებისათვის, მაგრამ უძველესი დროიდან მოყოლებული მისაწვდომია მომთაბარეთათვის, რომელიც დღეს რკინიგზებით უნდა დაიქსაქსოს? აქ არის მრავლის მომცემი და იმავდროულად განსაზღვრული პირობები. სამხედრო-მობილური და სამრეწველო სახელმწიფოები. რუსეთმა აქ შეცვალა მონღოლეთის იმპერია. ზეწოლამ ფინეთზე, სკანდინავიაზე, პოლონეთზე, თურქეთზე, სპარსეთზე, ინდოეთზე და ჩინეთზე შეანელა სტეპელთა მუდმივი დარბევები. დღეს ის ცენტრალურ, სტრატეგიულ მდგომარეობას ინარჩუნებს, რომელიც ევროპაში გერმანიამ დაიჭირა, მას ყველა მიმართულებით (ჩრდილოეთის გამოკლებით) შეუძლია მიიტანოს და იმავდროულად მოიგერიოს იერიში. ამ მობილურობის განვითარების პიკი მხოლოდ დროის საკითხია. ვერანაირი სოციალური რევოლუცია ვერ შეცვლის მის დამოკიდებულებას გეოგრაფიულ საზღვრებთან დაკავშირებით.

საკუთარი მსჯელობიდან გამომდინარე მაკინდერი არ გამორიცხავს რუსეთის შესაძლო ზრდას ღერძისეულ ზოლში (რომლის შედეგი შეიძლება იყოს „ახალი მსოფლიო იმპერიის" შექმნა), ან კიდევ მის არასასურველ დასუსტებას რომელიმე აზიური სახელმწიფოს სასარგებლოდ.

მსოფლიო კუნძული – ევრაზია + აფრიკა, კონტროლი ამ სივრცეზე – ეს არის მსოფლიო ბატონობის საფუძველი.

ცდილობდა რა დაესაბუთებინა გერმანიის აღმოსავლეთით გაფართოების დაუშვებლობა, მონაწილეობას იღებდა ვერსალის შეთანხმების მომზადებაში, ამისათვის მან გერმანია რუსეთს

შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მიერ „შუალედური რგოლის" შექმნის აუცილებლობა მიოთხოვა. I მსოფლიო ომის შემდგომ ამ იარუსების პიონერებად იქცნენ - ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და რუმინეთი. თუმცა მათი პოზიციები ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიცვალა, ისინი უკვე არა რუსეთს იცავდნენ გერმანიისაგან, არამედ დასავლეთს „ბოლშევიკური საფრთხისაგან".

1919წ. თავის წიგნში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა" მაკინდერი წერდა „რა მოუვა საზღვაო ძალებს, თუკი ერთ დღეს დიდი კონტინენტი პოლიტიკურად გაერთიანდება, რათა იქცეს ძირითად უძლეველ არმადად" რაც დღემდე ანგლოსაქსთა სიფხიზლის ძირითადი მიზეზია.

1943წ. 82 წლის მეცნიერი სტატიაში „მრგვალი მსოფლიო და მსოფლიოს დაპყრობა" აღნიშნავდა, რომ თუკი სსრკ ომიდან გამარჯვებული გავა, ის უმსხვილეს სახმელეთო სახელმწიფოდ იქცევა. ბრიტანეთმა კი ამ პროცესს დასავლეთელ მოკავშირეებთან ერთად მაქსიმალურად უნდა შეუშალოს ხელი, არ უნდა დაუშვან მისი დომინირება მსოფლიოში.

რაც შეეხება მის კონცეფციას ღერძისეული რეგიონის შესახებ მან უმნიშვნელო რევიზია განიცადა. ჰართლენდი გახლეჩილ იქნა ორ ნაწილად: საკუთრივ „ჰართლენდი" და „ლენალენდი". ლენალენდი რომელიც ხელუხლებელი ბუნებრივი სიმდიდრეების პატრონია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს პასიური კოლონიზაციისათვის და კუნძულოვანი სახელმწიფოების მხრიდან „ჩასახლებისათვის" და ეს ჰართლენდის – რუსეთის წინააღმდეგ.

მეხენი და მაკინდერი თავიანთი გეოპოლიტიკური იდეებით (საზღვაო და სახმელეთო ძლიერების შესახებ) გემრიელ ლუკმად იქცა პოლიტიკის აქტორთა და თეორეტიკოსთათვის. საუკუნეების გასაყარზე ნაყოფიერ ნიადაგად იქცა რუსეთიც. რომელსაც ხმელეთის 1/6 ნაწილი უჭირავს, უმსხვილესი ეკონომიკური პოტენციალის მქონე ეს ქვეყანა თანდათანობით ერთ-ერთ ძალათა ცენტრად ყალიბდებოდა, იძენდა გეოპოლიტიკურ ამბიციებს.

I მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტათი ადრე ფრანგი მიმომხილველი ედმონ თერი თავის წიგნში „რუსეთი 1914წ." საინტერესოდ მსჯელობდა სახელმწიფოს ძლიერების ეკონომიკურ ფაქტორებზე. კერძოდ:

1. მკვიდრი მოსახლეობის ზრდის აუცილებლობაზე;

2. საწარმოო პროდუქციის ზრდაზე;

3. სახელმწიფო სახალხო განათლებისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახსრების მოძიებაზე.

მის მიერვე იქნა გაანალიზებული სიტუაცია რუსეთში, სადაც მოსახლეობა 1902 წლიდან 1917 წლამდე 31,7 მლნ. ადამიანით (22,7%); მარცვლეულის წარმოება 22,5%-ით, კარტოფილის 31,6%-ით, შაქრის ჭარხლის 42%-ით გაიზარდა. მრეწველობის ზრდამ 1904-1913 წლისათვის 88% შეადგინა. ქვანახშირის მოპოვება79%. რკინა-ლითონის 50%, უფასო დაწყებითი განათლება შემოღებულ უნდა ყოფილიყო 1922წ.

„გადაჭარბებული იქნებოდა გვეთქვა – წერს თერი – რომ ვერცერთი ევროპული სახელმწიფო ვერ აღწევდა მსხგავს ტემპებს". „მაგრამ თუკი ეს დიდი ევროპული ერი თავის საქმეს ისეთივე ტემპებით წარმართავს 1912-1950წწ. როგორც ეს 1900-1912წწ. ხდებოდა ის იქცევა დომინანტად ევროპაში, როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკასა და ფინანსებში".

არსებობდა გერმანული პროგნოზიც რომელიც ფრანგულის ანალოგიური იყო „ათი წლის შემდეგ რუსეთს ვეღარ დავეწევით".

ყოველივე ამას ევროპელებთან ერთად კარგად ხვდებოდნენ რუსეთშიც, კერძოდ, სტოლიპინი რომელიც აზრშიც კი არ გაივლიდა ომის შესაძლებლობას რუსეთში, წერდა: „ვიდრე მე ხელისუფლებაში ვარ, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ არ მივიდეს რუსეთი ომამდე. ყოველი შემთხვევისათვის მანამ ვიდრე არ განხორციელებულა ის პროგრამა რომელიც მას შინაგანად გამოჯამრთელებს. აბსურდია ვეტოლოთ გარე სამყაროს მანამ ვიდრე არ გავანადგურებთ ქვეყნის უდიდეს მტრებს - ესერებს შიგნით. ვიდრე არ გავატარებთ აგრარულ რეფორმას რეალური ძალა მათ ხელში იქნება..." /1909წ./

I და II მსოფლიო ომებში რუსეთი უფრო ჩაითრიეს ვიდრე თავად ჩაერთო და ეს იმიტომ, რომ გამორიცხულიყო მისი გეოპოლიტიკური ლიდერობა.

რუსული გეოპოლიტიკის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გეოგრაფიამ, განსაკუთრებით კი სამხედრო გეოგრაფიამ, ამ სფეროს საკმაოდ სერიოზული წარმომადგენელი იყო გენერალ-ფელდმარშალი დიმიტრი მილუტინი (1816-1921წწ.).

მისი წიგნი „სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო სტატისტიკის მნიშვნელობის კრიტიკული გამოკვლევა" ითვლება რუსული გეოპოლიტიკის ჩანასახად. მასში განსაზღვრული იყო რუსული გეოპოლიტიკის პრიორიტეტები. ძირითად მოწინააღმდეგედ მილუტინი ბრიტანეთს, მოკავშირედ კი გერმანიას მიიჩნევდა. თურქმენეთის მხარის დამორჩილებით, რუსეთმა მოწინავე პოზიციები დაიკავა ინდოეთთან მიმართებაში, რომელიც იმ დროისათვის ინგლისის იმპერიის ძლიერების წყარო და აქედან გამომდინარე მისი აქილევის ქუსლი იყო.

მილუტინის აზრით აუცილებელია თურქეთის ევროპიდან განდევნა და ბალკანეთის კონფედერაციის შექმნა, სრუტეებისათვის ნეიტრალიტეტის სტატუსის მინიჭება. რუსეთის ბუნებრივ მეტოქეებად კი ის აშშ-ს თურქეთსა და ჩინეთს ასახელებდა.

სერიოზულ გეოპოლიტიკურ შრომად იქცა ა. ვანდამის წიგნი „ჩვენი მდგომარეობა" რომელიც 1912წ. გამოვიდა. კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით ავტორს რეალობად მიაჩნდა რუსეთის სწრაფვა „მზისა და თბილი წყლებისაკენ". სამყაროს შესაძლო იერს განსაზღვრას ინგლისასა და რუსეთის ურთიერთობები. მხოლოდ რუსეთს თუ შეუძლია ხელი შეუშალოს ანგლო-საქსთა მსოფლიო ბატონობას. ეს კი შესაძლებელი გახდება მეორე სახმელეთო –საფრანგეთი და გერმანია – სახელმწიფოსთან ერთად.

პანსლავისტი დანილევსკიც არ გამორიცხავდა ინდოეთის რუსეთის გავლენის სფეროში შესვლის რეალობას. „რაც რუსეთის ინგლისის წინააღმდეგ ერთ-ერთი თავდაცვითი სისტემა იქნება". „რომლის ცივილიზება რუსეთს ვალდებულებად აწერია". სლავოფილები თვლიდნენ, რომ „მათთვის და აზიისათვის ცხოვრების არსი რწმენაა" და მათი ცხოვრების წესი „სუნთქავს აღმოსავლური რწმენა-წარმოდგენებით".

მათი მსჯელობის ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად საჭირო გახდა რუსეთ-იაპონიის ომი.

ლევ მეჩნიკოვმა, ჩამოაყალიბა საკუთარი მოსაზრება ცივილიზაციასა და სივრცის ურთიერკავშირს შორის. მისი ძირითადი შრომაა: „ცივილიზაცია და უდიდესი ისტორიული მდინარეები. თანამედროვე საზოგადოების განვითარების გეოგრაფია და თეორია". გამოქვეყნებულ იქნა 1889წ.

მასში მოცემულია საზოგადოების განვითარების ჰიდროსფეროზე დამოკიდებულების იდეა: მდინარეებზე, ზღვებსა და ოკეანეებზე. მან კაცობრიობის ისტორია 3 პერიოდად დაჰყო:

1. **მდინარისეული,** მოიცავს 4 უძველეს ცივილიზაციას (ეგვიპტე ნილოსზე, მესოპოტამია ტიგროსსა და ევფრატზე, ინდოეთი ინდსა და განგზე, ჩინეთი იანცზისა და ხუნხეზე), ამ პერიოდის მახასიათებელი შტრიხების – მონობა და დესპოტიზმი.

2. **ხმელთაშუაზღვისპირული** (კართაგენიდან კარლ დიდამდე) რომელიც ბატონყმობითა და ოლიგარქიული რეჟიმებით ხასითდება.

3. **საოკეანო**, მოიცავს ახალ პერიოდს (ამერიკის აღმოჩენიდან) ეს პერიოდი მეჩნიკოვის მიხედვით ეს-ესაა იწყება, მასში უნდა განხორციელდეს თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა.

ცნობილი ისტორიკოსი პოლიტოლოგი, კონსტიტუციური მონარქიის მომხრე – ბორის ჩიჩერინი (1828-1904) ყურადღებას მიაპყრობდა „რუსული ტერიტორიების სიდიდეზე და მისი ტერიტორიების დიდი ნაწილის აუთვისებლობაზე".

იგივე პოზიციებს იკავებს ივან სოლონევიჩი (1891-1953წწ.) თავისი შეხედულებებით ის აშკარა მონარქისტი იყო. საუბრობდა რა რუსეთის სიღატაკეზე ის ამტკიცებდა, რომ ამას პოლიტიკურ წყობასთან არანაირი კავშირი არა აქვს, რომ ამის მიზეზი რუსეთის გეოგრაფიული დაქუცმაცებულობაა.

თვითონვე ცდილობდა შეეპირისპირებინა ერთიმეორესთან პიროვნების თავისუფლება რუსეთში, აშშ-ში და ინგლისში „ამერიკული თავისუფლება, ისევე როგორც ამერიკული საზოგადოება, - წერდა ის – განისაზღვრება ამერიკული გეოგრაფიით, რუსული თავისუფლება და სიმდიდრე <u>განსაზღვრულია რუსული გეოგრაფიით.</u>

რუს ხალხს არასოდეს ექნებათ ისეთი თავისუფლება როგორც აშშ-სა და ინგლისში. აღსანიშნავია ის, რომ ამ ორი უკანასკნელის უსაფრთხოება გარანტირებულია ოკეანნებითა და სრუტეებით. მაშინ როცა რუსეთში ეს შეიძლება მხოლოდ სახედრო ვალდებულებით. ყველა „არათავისუფალისაგან" სამხედრო ვალდებულება ეს არის აუცილებული „არათავისუფლება".

მნიშვნელოვანი წვლილი რუსული გეოპოლიტიკის განვითარებაში შეიტანა ნიკოლაი ტრუბეცკოიმ (1890-1938წწ.) პეტრე სავიცკიმ (1895-1968წწ.) ლევ გუმილოვმა (1912-1992წწ).

ალექსანდრე დუგინის მიხედვით ევრაზიულობა რთული გეოპოლიტიკური გაგებაა, ისტორიულ – საკაცობრიო ცივილიზაციის აღმოსავლეთ სექტორს, ეს არის სტრატეგიულად აქტუალური, აღმოსავლეთ თელუროკრატიული სახელმწიფოებისა და ერების პოტენციალური ბლოკი, რომელმაც უარი განაცხადა დასავლეთის ფასეულობების აღიარებაზე.

ევრაზიულობის საფუძვლებშივე მოცემულია თეზისი ევრაზიის აბსტრაქტულობის შესახებ. ის უფრო განსაკუთრებული ცივილიზაციაა, მსოფლიოს ერთ-ერთი გეოპოლიტიკური ცენტრია. ევრაზხიონისტთა ცნობიერებაში ევროპა შემოიფარგლება მხოლოდ დასავლეთი ევროპით. აღმოსავლეთ ევროპა კი ესაა ევრაზიის ნაწილი. გარდა ამისა, ევრაზია ესაა დასავლეთ ციმბირისა და თურქეთის დაბლობები. აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით მთათა გაქვავებული სისტემები. რუსეთი ამ სივრცის ცენტრია. „რუსეთს გააჩნია გაცილებით მეტი უფლება, ვიდრე ჩინეთს, თავი შუა სახელმწიფოდ გამოაცხადოს. თუკი გერმანია ეს არის შუამდებარე ქვეყანა ევროპაში, ხოლო ევროპა ევრაზიის „დასავლეთი კონცხია" რუსეთი თავის კონტინენტზე ცენტრალურ პოზიციას იჭერს.

რუსეთი არც ევროპის ნაწილია და არც აზიის გაგრძელება. ის არის დამოუკიდებელი სამყარო, დროსა და სივრცეში. განსაკუთრებული იმპერიულ-ეთნიკური წარმონაქმნით, რომელშიც სლავი და თურქი სუბსტრატები ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს.

ევრაზიონისტები თვლიან, რომ თურქებმა თათარ-მონღოლების სახით რუსეთის სახელმწიფოებრივ განვითარბაში არა უარყოფითი არამედ დადებითი როლი შეასრულა. თათარ-მონღოლთა უღელმა ერთგვარად შეინარჩუნა ის რომანო-გერმანო-კათოლიკური აგრესიისაგან და უზრუნველყო მისი გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობა (თათართა გარეშე ვერ იქნებოდა რუსეთი).

ოქროს ურდოს უღელის გადაგდება ხანის მიერ ფსონის მოსკოვზე გადატანას დაემთხვა, რასაც თათარ თავადთა მოსკოვის დაქვემდებარებაში გადასვლა მოჰყვა. თათარ-მონღოლთა 200 წლიანი ბატონობის შემდეგ რუსეთი ერთიან, შეკრულ, მართმადიდებლურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. პეტრე I რეფორმებმა კი საფუძველი ჩაუყარა ახალი რომანულ-გერმანულ უღელს – ევროპული იდეების დამკვიდრებას. რომლის ფაქტობრივი შედეგია კომუნიზმი.

მისი დაძლევის საშუალება მოიცა სსრკ-ს შექმნამ, რომელშიც მოიძებნა ევრაზიონიზმის შენარჩუნების საუკეთესო ფორმები: საბჭოები და ფედერაციული მოწყობა. შემდგომში მართლმადიდებლობის ბოლშევიკური იდეებით შეცვლამ საშუალება მისცა ევრაზია-რუსეთს გაბრწყინებულიყო.

გეოპოლიტიკის განვითარებაში სავეცკის როლი განუზომელია. მიუხედავად იმისა, რომ 10 წლის მანძილზე ის რუსულ ბანაკებში ტუსაღობდა (მის სწავლებებზე აღიზარდა ლ. გუმილოვი) დიდი როლი ითამაშა საბჭოთა ხელისუფლებაზე, რომელიც გარდაქმნებამდე ევრაზიულობის კურსის აქტიურ მხარდაჭერაში გამოიხატებოდა.

ევრაზიონიზმში, როგორც გეოპოლიტიკურ მიმდინარეობაში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი:

1. 1921-1926წწ. სოფიო-პრაღა-ბერლინი. მოძრაობის აღმასვლა დაკავშირებულია „ევრაზიული მედროვეს" გამოცემასთან. 1926წ. გამოვიდა ანალოგიური პროგრამული დოკუმენტი „ევრაზიულობა"
2. 1926-1929წწ. მოძრაობის ცენტრი გადავიდა პარიზში, სადაც გამოდის გაზეთი „ევრაზია"
3. 30-იან წლებში მოძრაობა ნელდება და მალევე წყვეტს არსებობას.

1960-იან წლებში მოძრაობა იწყებს აღორძინებას ნეოევრაზიულობის სახით. პრინციპში, ის ევრაზიონიზმში არაფერს ცვლის, უბრალოდ ავსებს მას **პასიონარობის** თეორიით, სხვა სიტყვებით ხალხთა ჯგუფები (**ეთნოსები**) დამოუკიდებლად განვითარების ციკლს განეკუთვნებიან, რომელიც სამ ეტაპში თავსდება: პასიონარული აღმავლობა – წონასწორობის მდგომარეობა (ჰომეოსტაზი) – ვარდნა, 1200-1500 წლიანი ხანგრძლივობით.

ბოლო ინტერვიუში ლ. გუმილოვმა ხაზგასმით აღნიშნა: „ვიცი და გეტყვით თქვენ საიდემლოდ, თუკი რუსეთი გადარჩა, გადარჩება მხოლოდ როგორც ევრაზიული ქვეყანა, და მხოლოდ ევრაზიულობის დამსახურებით.„

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ევრაზიელთა ძირითადი იდეა იმაშია, რომ ევრაზიულობა დასავლეთის ცივილიზაციურ პროცესთა ალტერნატიული წყაროა. სამყარო არ შეიძლება იყოს ერთგვაროვანი. ყოველივე ამას ნათლად ალექსანდრე ზინოვიევი წარმოაჩენს თავის ფუტუროლოგიურ წიგნში „გლობალური საადამიანო".

(უნდა ითქვას, რომ) პუტინი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაეყრდნო ევრაზიონიზმის აღნიშნულ იდეებს, რაც აღმოსავლეთის მიმართ ყურადღებაში, დსთ გამყარების მცდელობასა და რუსეთის-ბელორუსიის-ყაზახეთისა, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის შემადგენლობით ევრაზიულ ეკონომიკური კავშირის შექმნაში გამოიხატა. თუმცაღა უკანასკნელ პერიოდში ის შესამჩნევად ექცევა ატლანტიზმის გავლენის ქვეშ.

ატლანტიკური გეოპოლიტიკა ცდილობს მაქსიმალურად გამოწუროს ევრაზიული იდეები, რაც რუსეთს საბოლოო მსხვრევამდე მიიყვანს. ამის შესახებ საკმაოდ ხატოვნად წერს ზ. ბჟეზინსკი.

გეოპოლიტიკური იდეების დამუშავებაში არსებითი წვლილდი შეიტანენ გერმანელმა მეცნიერებმა, და ეს არ იყო შემთხვევით. გერმანია, როგორც ერთიანი, ცენტრალიზირებული სახელმწიფო ჩამოყალიბდა მსოფლიოს გადანაწილების შემდეგ. გერმანიას კი ჭირდნბოდა თავისი „სასიცოცხლო სივრცის" გაფართოების გამართლება.

ოტო ფონ **ბისმარკი** (1815-1898) გერმანიის იმპერიის რაიხსკანცლერი (1871-1890წწ). ხშირად იმეორებდა, რომ <u>გერმანიის საზღვრების ერთადერთ ეფექტურ ძალად მისი არმია რჩება.</u> გერმანული გეოპოლიტიკის ანალიზისას არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ უფრო „ფხიზელ" ინტელექტუალებს, რომლებიც, როგორც წესი, აღიარებდნენ რუსული სახელმწიფოს ძლიერებას და სსრკ-გერმანიას შორის მსხვილმასშტაბიანი შეტაკებების წინააღმდეგნი გამოდიოდნენ.

ამასთან დაკავშირებით საკმარისია გავიხსენოთ ბისმარკის ცნობილი ფრაზა: „არ დაესხათ რუსეთს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ იქ ძალიან ნელა კაზმავენ ცხენს, ძალიან სწრაფად აჭენებენ მას„. როგორც ჩანს აქ იმალებოდა სტალინის იმედი გერმანიის სსრკ-ზე თავდაუსხმელობის შესახებ 1941წ. – **გერმანია რუსეთის კავშირის გასამყარებლად მე ვფიქრობ, ეხლაც სრულად არ ვიყენებთ „მსგავსებას" ჩვენ ხალხებს შორის.**

მაგრამ დავბრუნდეთ XX საუკუნის დასაწყისში. 1924წ. მიუნხენში, დაფუძნდა გეოპოლიტიკის ინსტიტუტი. რომელმაც მისი განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არამარტო გერმანიაში. ინსტიტუტის ორგანიზატორი იყო პროფესორი **კარლ ხაუსხოფერი** (1869-1946), გერმანიის არმიის გენერალ-მაიორის შვილი, გეოპოლიტიკის ერთ-ერთი გამოკვეთილი გულშემატკივარი. მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ გერმანიის აღორძინება შესაძლებელია თუკი „ხალხი ქუჩაში დაიწყებს გეოპოლიტიკურად აზროვნებას, ბელადები – გეოპოლიტიკურად მოქმედებას".

ხაუსხოფერის მიხედვით გეოპოლიტიკა ორსახოვანი იანუსის მსგავსია: მისი ერთი სახე ქვეყნის შიგნითაა მიმართული, ხოლო მეორე გამოსახავს სამყაროს სრულ სივრცეს". სახელმწიფოს, როგორც ცოცხალ ორგანოს გააჩნია არამარტო **„სხეული"** როგორც გეოპოლიტიკური სივრცე, არამედ „სულიც", სახელმწიფოს სული – ერია.

ხაუსხოფერისა და მისი მეგობრების ყურადღების ცენტრში ევროპის წამყვან სახელმწიფოთა სისტემაში „გერმანული სიტუაცია" ექცეოდა. ხაუსხოფერი თვლიდა, რომ საზღვაო ქვეყნების დრო, რომელიც პლუტოკრატიასა და კოლონიალიზმს ეფუძნება – წავიდა, მომავალი მსხვილი სახმელეთო ქვეყნების ხელშია.

ბრიტანეთისა და სხვა უფრო მცირე საზღვაო ქვეყნების შესუსტება, ხაუსხოფერის აზრით ხელსაყრელ პირობებმ ქმნიდა ახალი მსოფლიო წესრიგისათვის, სადაც დომინირებული მდგომარეობა რუსეთსა და იაპონიასთან კავშიში მყოფ გერმანიას ეკავა. მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში უნდა დარჩეს 3 ძირითადი რეგიონი, თითოეული საკუთარი პანიდეებით: პანამერიკა სათავეში ამერიკით; დიდი აღმოსავლეთ აზია სათავეში იაპონიით და პანევროპა გერმანიით სათავეში.

მიუნხენის გეოპოლიტიკურმა ინსტიტუტმა გერმანიის უმაღლეს ეშელონებშიც ჰპოვა აღიარება. ხაუსხოფერის შვილის ალბრეხტის ახლო ნაცნობობამ ჰესსთან გეოპოლიტიკური იდეების ნაცისტურ იერარქიანში შეღწევასაც შეუწყო ხელი.

თვლიდა რა ცენტრალურ ევროპას გერმანიის დასაყრდენ პლაცდარმად, ხაუსხოფერი გერმანული ტერიტორიული ექსპანსიის მიმართულებად აღმოსავლეს ასახელებდა. ბისმარკის ტრადიციების გამგრეძელებელი გეოპოლიტიკოსი, თვლიდა, რომ გერმანიამ თავისი იდეების რეალიზება რუსეთთან დაპირისპირების გარეშე უნდა განახორციელოს. 1939წლის თავდაუსხმელობის პაქტი როგორც ჩანს, გავლენის სფეროთა გადანაწილების მიუნხენის გეოპოლიტიკური ინსტიტუტისეული დასკვნა-რეკომენდაცია იყო. ინგლისურენოვანი იმპერიის დასასრული დადგება მაშინ, როცა გერმანია, რუსეთი და იაპონია მოკავშირეებად იქცევიან. „შეუძლებელია ევრაზიის მოხრჩობა, მანამ ვიდრე მისი ორი უმსხვილესი ხალხი – გერმანელები და რუსები – მაქსიმალურად შეეცდებიან აირიდონ ურთიერთჟლეტა, ანგლოსაქსონური პოლიტიკა დასამარდება მაშინ როცა გერმანელები, რუსები და იაპონელები გაერთიანდებიან".

რის გამოც, შემდგომში ხაუსხოფერი 1944წ. დაპატიმრებულ და გადაგზავნილ იქნა დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში. ხოლო, მისი შვილი, 1944წ. ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ ივლისის შეთქმულებაში (არმიის ოფიცრების მიერ ორგანიზებული)შესაძლო მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს.

მიუხედავად რეპრესიისა ხაუსხოფერის სასიცოცხლო სივრცის გაფართოების იდეა მაინც იქნა დატაცებული, თუმცა ის შევსილ იქნა ნაციონალ-სოციალისტთა **რასისტული მიდგომებით.** ხოლო ხელისუფლებით ანგაჟირებული ხაუსხოფერი კი იძულებული იქნა თავისი თეორიები პოლიტიკური კონკრეტიკისათვის მოერგო.

„უკანაკნელად ჰიტლერი 1938 წლის 8 ნოემბერს ვნახე და ჩვენ შეხვედრისას ლამის ვუკიჟინებდით ერთმანეთს, ამის შემდეგ მე ფიურერი აშკარად აღარ მწყალობდა".

მეორე მსოფლიო ომმა გააღვივა მინელებული ინტერესი გეოპოლიტიკისადმი. დაიწყო გერმანული სკოლის კრიტიკა. განსაკუთრებით ამერიკაში, მით უმეტეს, რომ სწორედ II მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკა იქცა მსოფლიოს ერთ-ერთ ცენტრად.

თუმცაღა გერმანული დაპყრობითი პოლიტიკისაგან განსხვავებით ის პირველ ეტაპზე ამერიკაში, ისევე როგორც რუსეთში (გორბაჩოვის პერიოდში) „გეოპოლიტიკის ჰუნანიზირებული ვერსიის" სახით ჩამოყალიბდა. გერმანული გეოპოლიტიკისაგან განსხვავებით ამერიკელები (უფრო„ცივი ომის" დაწყებამდე) ცდილობენ ამერიკის პოლიტიკის იმპერიალიზმის ყველა ფორმისაგან გათავისუფლებას და მისთვის დემოკრატიისა და თავისუფლების ამერიკული იერის მიცემას.

მსგავსი შეხედულებები ახასიათებდა პრეზიდენტ **ფრანკლინ დელანო რუზველტს.** რუზველტი თვლიდა, რომ აშშ-ს არ გააჩნია მსოფლიოს ერთპიროვნულად კონტროლის პოტენციალი. ამიტომაც ამუშავებდა როგორც შემდეგ გაირკვა მსოფლიოს გადანაწილების უტოპიურ გეგმას: გამარჯვებულმა ქვეყნებმა აშშ, ბრიტანეთი, სსრკ და ჩინეთი (ოთხეულში არ არის საფრანგეთი) უნდა მოახერხონ გერმანიის განიარაღება და უზრუნველყონ იარაღის ძალით (რაკი სხვა ქვეყნებს ეს არ შეუძლიათ) ომის შემდეგ მშვიდობა მსოფლიოში.

გარდა ამისა, რუზველტი მოწადინებული იყო წერტილი დაესვა ინგლისასა და საფრანგეთის კოლონიალიზმისათვის „როცა ჩვენ მოვიგებთ ომს, - ამბობდა ის – მე მთელ ჩემს ძალებს გამოვიყენებ იმისათვის რომ აშშ-ში არ იქნას მიღებული არცერთი ისეთი გეგმა, რომელიც ინგლისა და საფრანგეთის იმპერიალისტურ ამბიციებს შეუწყობს ხელს.

კოლექტიური უსაფრთხოების რუზველტისეულ გარანტიას **„ოთხი პოლიციელის"** გეგმა ეწოდა.

თუმცა, ეს გეგმა არ განხორციელებულა რამოდენიმე მიზეზის გამო, კერძოდ:

1. 1945წ. რუზველტი გარდაიცვალა და მისი ადგილი ტრუმენმა დაიკავა, რომელიც სხვა გეოპოლიტიკურ კონცეფციებს ეფუძნებოდა. (კონკრეტულად ცოტა ქვემოთ)

2. ამერიკელები, როგრც ცნობილია, 1945წ. ატომური იარაღის ერთადერთი მფლობელები იყვნენ, რომელიც „წარმატებით" გამოცადეს ხიროსიმასა და ნაგასაკში (6,8 აგვისტოს) რაც მას არანაკლებ ამბიციებს ძენს.

3. გამოვლინდა ბრიტანეთის პოზიცია, რომელიც აცნობიერებდა რიგი საკითხების გადაჭრაში ამერიკული ჯარისკაცების დახმარების აუცილებლობაში. (გაიხსენეთ ცნობილი ფულტონის ფრაზა 1946წ. რამაც საფუძველი დაუდო „ცივი ომის" ეპოქას).

4. სტალინის პოზიცია, რომელიც ცდილობდა საბჭოურ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ იდეათა განხორციელებას თუნდაც მოკავშირეებთან კონფრონტაციის გზით. ამასთან დაკავშირებით კისინჯერი თავის ფუნდამენტალურ შრომაში „დიპლომატია" აღწერს პოცდამის კონფერენციას და ახასიათებს სტალინის პოზიციებს.

„როცა ერთერთმა ამერიკელმა გენერალმა სცადა სტალინისათვის ესიამოვნებინა და საუბარში აღნიშნა თუ რაოდენ აღტაცებულია საბჭოთა ჯარების ბერლინამდე მისვლით", მან ციათად მიუგო: „მეფე ალექსანდრე I პარიზამდეც მივიდა"-ო.

მართლაც, 1945წ. სიტუაცია სსრკ-სათვის გაცილებით მომგებიანი აღმოჩნდა ვიდრე ამას ედმონ თერი 1914წელს წინასწარმეტყველებდა. შეუძლებელია სტალინს არ სცოდნოდა

მაკინდერის გეოპოლიტიკური კონცეფციები. რუსეთის როლზე – <u>ჰართლენდში, მსოფლიო კუნძულზე.</u>

ითვალისწინებდა რა მონღოლეთის, ირანისა და ავღანეთის პროსაბჭოურ ხასიათს, აგრეთვე რევოლუციურ მოძრაობას ჩინეთში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, ახლო აღმოსავლეთში, სტალიმა ფსონი კვლავ მსოფლიო რევოლუციაზე დადო. რის შედეგაც ამერიკელებს მეტი არაფერი დასჩენოდათ, გარდა იმისა, რომ შეემუშავებინათ ახალი გეოპოლიტიკური მოდელი, რიმლის ძირითად ნაწილს აშშ ინტერესებში შემავალი ქვეყნებისადმი ეკონომიკური დახმარების პროგრამა შევიდა (მარშალის გეგმა).

ყოველივე ამის გეოპოლიტიკურ დასაბუთებას შეეცადა ამერიკელი გეოპოლიტიკოსი ნიკოლას სპაიქმენი (1893-1943), რომელმაც რუსულ ჰართლენდს სხვა, სტრატეგიული რეგიონი – რიმლენდი დაუპირისპირა. (ინგლ. რიმ – მხარე).

თავის წიგნში „ამერიკის სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში" (1942) და „მსოფლიო გეოგრაფია"(1944) ის თავის ყურადღებას სანაპირო ზოლის მნიშვნელობას მიაპყრობს. რომელიც მოიცავს ევრაზიას: ბალტიის ზღვიდან მოყოლებული, ჩრდილოეთის ზღვას, ინგლისის, დასავლეთ ევროპის ზღვისპირა ზოლის, ევროპულ ხმელთაშუაზღვისპირევს, სუეცის არხს, წითელ ზღვას, ინდოეთის ოკეანეს, სამხრეთ ჩინეთის, ჩინეთის, იაპონიის, ახოტისა და ბერინგის ზღვების ჩათვლით და მას ევრაზიული რიმლენდი ეწოდება და რომელიც მსოფლიო ბატონობის საფუძველია.

მან გეოპოლიტიკის მაკინდერისეული კანონი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

„ვინც დომინირებს რიმლენდზე, მბრძანებლობს მთელს ევრაზიაზე, ვინც მბრძანებლობს ევრაზიაზე, მას ხელმ მსოფლიოს ბედი უპყრია".

რიმლენდის გადაფასებასთან ერთად, სპაიქმენმა მსოფლიო გეოპოლიტიკურ სურათში თავისი, მნიშვნელოვანი დამატება შეიტანა. მან შემოიტანა <u>შუალედური</u> ოკეანის ცნება ამ გეოპოლიტიკური წარმოდგენის საფუძველს წარმოადგენს ხმელთაშუაზღვა ეს ძველად, ახალ დროში კი ატლანტიკის ოკეანე.

ატლანტიკა, ისევე როგორც ხმელთაშუაზღვა, არათუ ყოფს, არამედ აერთიანებს ამერიკულ და ევროპულ სანაპიროებს. ის არის ატლანტიკური საზოგადოებრიობის რეოგიონწარმომქმნელი ფაქტორი, რომლის ინტელექტუალური და ძალოვანი მექანიზმი აშშ-ა.

სპაიქმენმავე ლამის გააიდეალა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესი – ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შექმნის იდეა. რითაც აშშ-ს პლანეტარული ჰეგემონობის ბრწყინვალე შანსი მიეცა.

საბჭოთა კავშირი რომელიც კარგად აცნობიერებდა რიმლენდის დატვირთვას წლების მანძილზე ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მისი ავანგარდს აშშ-ს. ამ წინააღმდეგობების კონტექსტში შეიძლება განხილულ იქნეს ომი სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის (1953). წინააღმდეგობები ახლო აღმოსავლეთში 50-70-იან წლეებში, ომი ვიეტნამში, სადაც ამერიკელებმა 70-იანი წლების დასაწყისში ჩინური კარტის გათამაშებით სამარცხვინო კრახი განიცადეს.

ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩინეთის ფაქტორმა. შესაძლებელია ყველაფერი სულ სხვაგვარად განვითარებულიყო რომ არა კონფლიქტი სსრკ-სა და ჩინეთს შორის 60-იან წლეებში. მივადევნოთ თვალი რუკას: მეგობრობის შემთხვევაში, რამდენად შესაძლებალი იქნებოდა ომი ვიეტნამში, სადაც რუსეთმა მილიარდობით მანეთი დახარჯა, სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა იაპონიასთან, რომ არა ავღანეთი. ყველაზე მთავარი კი ისარი, რომ აღარ იქნებოდა ჩინეთ-რუსეთის სსაზღვრის გასამაგრებლად მილიარდობით ხარჯების გაღება.

კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის წარმოიშვა ელემენტარული უთანხმოების გამო. ანუ როცა „უფროსს ძმას" არ სურს გაითვალისწინოს აღმოსავლური დიპლომატიის თავისებურბანი. ერთერთი ცნობილი რუსი დიპლომატი ტროიანოვსკი აღწერს შემთხვევას , რომელმაც ურთიერთობები საბოლოო ჩიხში შეიყვანა. 1964წ. ნოემბერში მალინოვსკიმ მოსკოვში მიღებაზე (მაშინ ის თავდაცვის მინისტრი იყო), ჩინეთის პრემიერ მინისტრ ჯოუ ენლაემთან საუბარში ყოველგვარი აპელირების გარეშე განუცხადა: „ჩვენ გავუშვით ხრუშოვი, გაუშვით მაო თქვენც". ჯოუ ენლაიმ იმდღესვე დატოვა მოსკოვი რასაც ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ლამის გათიშვა მოჰვა. 1969წ. კუნძულ დამანსსზე კი საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდეც მივიდა. ამერიკამ კი სცადა და კონფლიქტიდან მაქსიმალური სარგებელი მიიღო – სსრკ იძულებული შეიქმნა ომი ორ ფრონტზე ეწარმოებინა.

ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ა. სევერსკის აზრით მსოფლიო ორ ძალათა ცენტრად გაიყო. ამერიკული ცენტრი ფარავდა დასავლეთ ნახევარსფეროს დიდ ნაწილს, საბჭოთა აღმოსავლეთ მსოფლიო კუნძულის დიდ ნაწილს. ორივე მათგან გააჩნდათ დაახლოებით თანაბარი ძალა და სევერსკის აზრით ერთიანობაში ქმნიდნენ მსოფლიო ბატონობის შეუკავშირებელ რგოლს.

რუსული გეოპოლიტიკის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ის როგორც სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა არ არსებობდა. მის ფუნქციებს ასრულებდა რამოდენიმე დისციპლინა – სამხედრო სტრატეგია, სამხედრო გეოგრაფია, საერთაშორისო სამართლის თეორია და საერთაშორისო ურთიერთობები, გეოგრაფია და ა.შ. სსრკ საერთო გეოპოლიტიკური მოქმედება საერთაშორისო არენაზე იძენს საკმაოდ რაციონალურ, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, იერს. ის შეიძლება შეჯერებულ იქნეს შემდეგ პოზიციებთან:

1. სსრკ-ს მცდელობა გაიმყაროს საკუთარი პოზიციები ევრაზიაში, სანაპირო ზოლში;
2. აფრიკაში შეღწევა;
3. სიტუაციის არევა ლათინურ ამერიკაში;
4. ამერიკული „ანაკონდის" გარღვევის მიზნით ავღანეთში შეჭრა.

სსრკ-ს ასეთი დაგეგმილი და გეოპოლიტიკურად დასაბუთებული პოლიტიკა მიანიშნებს „გადაწყვეტილებათა ცენტრის" არსებობაზე. ერთი ვერსიით ასეთი ცენტრი იყო სსრკ-ს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო განყოფილება /დუგინი/.

თუმცა გორბაჩოვისეულმა გარდაქმნამ და ელცინ-ჰაიდაროვისეულმა რეფორმებმა მკვეთრად შეცვალეს გეოპოლიტიკური სიტუაცია მსოფლიოში, რამაც მისი ახლებურად გააზრება მოითხოვა.

ლექცია 3

თანამედროვეობის ძირითადი გეოპოლიტიკური მიმართულებები

1. ატლანტიზმი;
2. მონდიალიზმი და ნეოატლანტიზმი
3. ევროპული მიმართულებანი გეოპოლიტიკაში;
4. გეოპოლიტიკის განვითარების ძირითადი პარადიგმები

XX საუკუნის II ნახევარში გეოპოლიტიკური თეორიები ანგლო-საქსონური სკოლის ჩარჩოებში ვითარდებოდნენ. გზით, რომლის ავტორები ძირითადად იყვნენ: მაკინდერი, ხაუსხოფერი, სპაიქმენი. ხაუსხოფერი სკოლის აღზრდილები ერთგვარ ზეწოლას განიცდიდნენ ევროპის გამარჯვებული სახელმწიფოების მხრიდან, აგრეთვე, მესამე რეიხთან მოთანამშრომლე ქვეყნების ლიდერთაგან. ამგვარად, თუკი, თალასოკრატიული ხაზი გეოპოლიტიკაში არ შეწყდა და აშშ-ს ოფიციალურ საერთაშორისო პოლიტიკის ორიენტირად იქცა, ევროპული გეოპოლიტიკა (მეორე მსოფლიო ომის შემდგომ) პრაქტიკულად არ არსებობდა 50-იანი წლების ბოლომდე. XXს. II ნახევრის მოვლენებმა აჩვენა, რომ ევროპისათვის ემ მიმართებით მოდუნება არასასურველია.

სპაიქმენის გეოპოლიტიკური იდეები გაღრმავებული იქნა მისი თანამოაზრეების მიერ, განსაკუთრებით „ცივი ომის" წლებში. რიმლენდის კონცეფციის დეტალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: დონალდ მეინინგმა და კოლინ გრეიმ.

მეინინგმა დასავლეთის გეოსტრატეგთა ყურადღემა მიაპყრო რიმლენდის ქვეყნების არაერთგვაროვნებას. თავის შრომაში მან ისნი სამ ჯგუფად დაყო:

პირველ კატეგორიაში მან გააერთიანა ჰართლენდის მიმდებარე ქვეყნები – ჩინეთი, მონღოლეთი, ვიეტნამი, ავღანეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

მეორეში – ე.წ. ნეიტრალურ ჯგუფში – კორეა, ერაყი, ირანი, ინდოეთი, იუგოსლავია, ალბანეთი, სირია.

მესამე – დასავლეთის მოკავშირეებს მეინინგმა განაკუთვნა: თურქეთი, პაკისტანი, ტაილანდი, დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

კოლინ გრეიმ თავის წიგნში „ატომური ერას გეოპოლიტიკა" შეისწავლა ატომურ ძალათა და ობიექტთა პლანეტარული განლაგების ისეთი მექანიზმი სადაც უპირატესობა ატლანტიკურ ბლოკზე გადის.

მნიშვნელოვანი როლი ატლანტიზმის ევრაზიონიზმზე გამარჯვებაში, ან ნატოს ბლოკის ვარშავის ბლოკის ქვეყნებზე გამარჯვებაში ითამაშა მონდიალიზმის გეოპოლიტიკურმა იდეებმა. მონდიალიზმი (წარმოდგება ფრანგული მონდე – მსოფლიო, მაგრამ არა სამყარო ომის გარეშე, არამედ პლანეტარული გაგებით) არის იდეოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოთა და ცალკეულ ერათა ერთიან პლანეტარულ წარმონაქმნად ქცევას – მსოფლიო მთავრობით.

მსოფლიოში დღეს, არსებობს, სამი ძირითადი მონდიალისტური ორგანიზაცია: საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო, რომელიც 1921წ. შეიქმნა უმსხვილესი ამერიკელი ბანკირის – მორგანის მიერ. პირველ ეტაპზე საბჭოში უპირატეობა ამერიკელ მასონებს ჰქონდათ, ამიტომ გეოპოლიტიკურ პროცესები მისტიკურ-ჰუმანისტურ ხასიათს ატარებდა.

1954წ. შეიქმნა ბილდერბერგის კლუბი (ჯგუფი) რომელიიც უკვე არამარტო ამერიკელ, არმედ ევროპელ ანალიტიკოსებსაც ეართიანებდა. კლუბის ერცთ-ერთ ძირითად ამოცანას აშშ-ს პროტექტორატით ევროპის გაერთიანება წარმოადგენდა. მსოფლიო ელიტის ამ საკმაოდ ვიწრო და მკაცრად მართულ კლუბის წევრებს, ხშირად „გლობალიზაციის უზენაეს ქურუმებს" ან მსოფლიო მთავრობას უწოდებდნენ. და ბოლოს 1973 წელს ბილდებერგის კლუბის აქტივისტებმა ჩამოაყალიბეს კიდევ ერთი სტრუქტურა – სამმხრივი კომისაია. რომელმაც დასახელება ოგრანიზაციის შტაბბინიდან აიღო (სათავო ოფისები განლაგებულია ლამის ყველა კონტინენტზე).

მეორე და მესამე ორგანიზაციას სათვეში ედგა კიდევ ერთი ამერიკელი მილიარდელი – დევიდ როკფელერი.

მონდიალისტები ცდილობდნენ კაპიტალის ძალაუფლების გავრცობას მთელ მსოფლიოზე, ამიტომაც მათ გეგმებში აქტუალური მსოფლიო მთავრობის ფორმირება იყო.

სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის არსებული წინააღმდეგობების პერიოდში მონდიალიზმში გამოიკვეთა ორი მიმართულება: მემარჯვენე, რომლებიც ატლანტიზმის გლობალიზაციის აუცილებლობას მოითხოვდნენ და მემარცხენე, რომლებიც ესალმებიან ახალ, საკაცობრიო ცივილიზაციაში სისტემის კონვერგენციას.

მემარცხენე მონდიალისტება მხარდაჭერა ჰპოვეს ევროპის სოციალ-დემოკრატ ლიდერებს შორის, აგრეთვე ევროკომუნისტებშიც. რომლების სოციალისტური რევოლუციებისა და

პლორეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ჩინეთის მთავრობაში შეღწევის მცდელობამ კრახი განიცადა. ხოლო, სსრკ-ში მემარცხენე მონდიალისტებს მხარდამჭერები გამოუჩნდნენ რომელთაგან საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო აკად. გვიშიანი.

1989 წლის იანვარში მოსკოვში მოეწყო მსოფლიო მონდიალიზმის ლიდერთა – დევიდ როკფელერი, ჟორჟ ბერტუენუ, ჰენრი კისინჯერის შეხვედრა მიხეილ გორბაჩოვსა და კპსს-ის წევრებს შორის. სტუმრებმა მოახერხეს დაერწმუნებინათ სსრკ-ს ხელმძღვანელობა არამარტო საკუთარ ლოიალურობაში, არამედ აშშსა და ნატოს მხრიდან გეოპოლიტიკურ დათმობებზეც, თუკი სსრკ დათმობდა პოზიციებს დასავლეთთან მიმართებაში. გორბაჩოვი დაპირებებს წამოეგო. ხოლო აშშ-ს პრეზიდენტებმა რეიგანმა და ბუშმა მონდიალისტებთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. ამრიგად ჰართლენდის ნებასურვილისეულ დათმობებს მხარი არ აუბა ატლანტიზმმა.

ატლანტიზმის გამარჯვებით, მემარცხენე მონდიალიზმმა ისევე როგორც ორი სისტემის კონვერგენციამ არსებობის აზრი, აქტუალობა დაკარგა. შეიძლება ვთქვათ, რომ რეალობაში გეოპოლიტიკური ცნებები: მონდიალიზმი, ატლანტიზმი და დასავლეთი სინონიმებად იქცნენ. ამრიგად, დაიწყო ახალი ერა, რომელმაც მომავლის ახალი, გეოპოლიტიკური მოდელის შექმნა მოითხოვა.

ნეოატლანტიზმში დღეისათვის პოპულარულია ორი ვერსია: პესიმისტური და ოპტიმისტური. პესიმისტებს განეკუთვნება ერთ-ერთი უმსხვილესი გეოპოლიტიკოსი, სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი სამუელ ჰანტინგტონი თავისი „ცივილიზაციათა შეჯახების" თეორიით.

ჰანტინგტონი თვლის, რომ არ არსებობს „საერთოდ კაცობრიობა", არსებობენ ცალკეული ცივილიზაციები, თითოეულ რომელთაგანისათვისაც დამახასიათებელია ობიექტური ნიშნები: საერთო ისტორია, რელიგია, ენა, წესჩვეულებანი, კულტურა, ეკონომიკური ინტერესები და ა.შ. მომავლის პროგნოზირებისას, მეცნიერი ასკვნის, რომ გარდაუვალია კონფლიქტი არა სახელმწიფოებს შორის, არამედ ცივილიზაციათა შორის. მათი გადაკვეთის წერტილებში (გადაკვეთა - ეს არის ბალკანეთი, კავკასია, ახლო აღმოსავლეთი).

ჰანტინგტონის პესიმიზმი მდგომარეობს იმაში, რომ „ცივ ომში" ატლანტიზმის გამარჯვების ანალიზისას ის თვლის, რომ დასავლურ ცივილიზაციას სრულად არ გაუმარჯვია. მალე არა დასავლეთელ ხალხში გაღვივდება ანტიდასავლური განწყობა. უფრო მეტიც, მათ

შეუძლიათ გაერთიანდნენ დასავლეთის წინააღმდეგ შემდეგი ფორმულით „დასავლეთი და ყველა დანარჩენი".

ჰანტინგტონი გვთავაზობს საშუალებებს, რომლებმაცც, მისი აზრით, უნდა გააძლიეროს დასავლეთი შესაძლო საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული რეკომენდაციაა:

1. საკუთარი ცივილიზაციის ჩარჩოებში დასავლეთის ერთიანობის უზრუნველყოფა;
2. აღმოსავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დასავლურ ცივილიზაციებში ინტეგრირება;
3. უფრო მჭიდრო კავშირების უზრუნველყოფა რუსეთსა და იაპონიასთან;
4. ლოკალური ომები განეიტრალება, რათა ის არ დადაიზარდოს გლობალურ შეტაკებაში;
5. ისლამისტური თუ კონფუციანისტური სამხედრო ექსპანსიის შეზღუდვა;
6. ისლამურ და კონფუციანურ ცივილიზაციათა შორის კონფლიქტის პროვოცირება და მისი მართვა;
7. დასავლეთზე ორიენტირებული არადასავლელი ჯგუფების მხარდაჭერა;
8. დასავლეთში ინტეგრირებისა და დასავლური ფასეულობების დამცავ საერთაშორისო ორგანიზაციათა გაძლიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰანტინგტონი მხარს უჭერს ძლიერი რუსეთის არსებობას, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნას ერთობლითვი წინააღმდეგობის გაწევა ისლამზე.

აღნიშნულ კონცეფციას მხარს უჭერენ სხვა მრავალნიც, რისი დასტურია რიგი რეალური მოვლენებისა.

ნეოატლანტიზმის ოპტიმისტთა ფრთას განეკუთვნება ზბიგნევ ბჟეზინსკი, რომელიც დასავლეთის გამარჯვებას დასრულებულად თვლის. ის თავის საკმაოდ ცნობილ ნაშრომში „დიდი საჭადრაკო დაფა" გეოსტრატეგიაზე მსჯელობისას ითვალისწინებს ყველა მსხვილ ევრაზიული სახელმწიფოს ინტერესებს გარდა რუსეთისა. ჩინეთსა და იაპონიასთან დაკავშირებით ის დეკლარირებს „ღრმა და სტრატეგიული ურთიერთგაგების" აუცილებლობას. თურქეთთან აშშ-მა „მუდმივი კონსულტაციები უნდა აწარმოოს კასპიისა და შავი ზღვის ბასეინებთან თუ ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებით". დაგეგმილია, რომ აშშ განაგრძობს „ინდოეთის სამხედრო უწყებებთან ორმხრივ თანამშრომლობას". აშშ დაინტერესებულია ძლიერი ირანის არსებობითაც, თუნდაც მოქმედი რელიგიური მოტივით.

ჰანტინგტონისაგან განსხვავებით ბჟეზინსკი თვლის, რომ შესაძლებელია რუსეთის დანაწევრება სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ: ევროპულ, ციმბირულ და შორეულაღმოსავლურ. აღნიშნული პროცესი აღნიშნული ჩანაფიქრივ განხორციელებულ უნდა იქნას აშშ-ს პატრონაჟით. უკრაინის ამერიკისეული კოლონიზაცია შესაძლებელი გახდება გერმანიასა და საფრანგეთთან ერთად, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის – თურქეთთან და ირანთან ერთად.ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის – იაპონიასა და ჩინეთთან ერთად.

ამერიკელი გეოსტრატეგის მტკიცებით, რუსული მემკვიდრეობა საკმარისი იქნება ყველასათვის, რაც აშშ-ს თავისი „მსუბუქი ჰეგემონიის" სტრატეგიის რეალიზების საშუალებას მისცემს.

რუსეთის დაყოფის ბჟეზინსკისეული გეგმამ მხარდაჭერა ჰპოვა არაერთ ამერიკელ თანამოაზრეთა შორის. რაც ბუნებრივიცაა. მაგალითად უოტს მიდმა ჯერ კიდევ 1992წ. გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც რუსეთის ფედერაციის დაყოფის კონკრეტული მექანიზმებია წარმოდგენილი. მიდი აშშ-ს ურჩევს იყიდოს რუსეთისაგან ციმბირი, ისე როგორც ეს თავის დროს მოხდა ალიასკასთან დაკავშირებით (2.5 – 3 ტრილიარდ დოლარად).

ეს თანხა საკმარისი იქნება თუნდაც უკანასკნელი, უნიჭო მთავრობისათვის საბაზრო რეფორმის გასატარებლად. ამგვარად ამერიკა ერთდროულად რამოდენიმე პრობლემას გადაჭრის: ჯერ ერთ, რუსეთი ვეღარასოდეს შეძლებს იყოს ევრაზიის ჰართლენდი, მეორე აშშ უზრუნველყოფს თავს აუცილებელი ნედლეულით და მესამე, საშუალება არ მიეცემა ჩინეთს იქცეს გეოპოლიტიკურ ზესახელმწიფოდ, რომელიც ამერიკული ჰეგემონობის გამოწვევას მალე მიიღებს.

იმისათვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ გამოვიდეს ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგი, მეცნიერი ციმბირელებს ამერიკულ მოქალაქეობას სთავაზობს, სახელმწიფო ენად ინგლისურის პარალელურად რუსული შენარჩუნებით.

ოპტიმისტური ნეოატლანტიზმის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენლად ამერიკელ ფუტუროლოგს ფრენსის ფუკუიამასაც თვლიან.

ისტორიული პროცესების განვითარება ფუკუიამას მიხედვით შესაძლებელია რაციონალური კაპიტალიზმისა და ირაციონალური სოციალიზმის შორის ბრძოლის შედეგად. სსრკ-სა და ვარშავის ბლოკის მსხვრევა იყო ირაციონალიზმის ნგრევის ნიშანი. რაც ნიშნავს, რომ დასრულდა ისტორია და დაიწყო განსაკუთრებული პლანეტარული არსებობა, რომელიც წარმოიქმნება ბაზრისა და დემოკრატიის ნიშნით. რომელიც გააერთიანებს მსოფლიოს

რაციონალურ-ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

მსგავსი ახალი წესრიგი, რომელიც დასავლურ ფასეულობებს ეფუძნება, მსოფლიოს მეტნაკლებად განვითარებული ქვეყნების ირგვლივ იწყებენ ფორმირებას.

ევროპული გეოპოლიტიკა

დამოუკიდებელი დისციპლინის სახით ის ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე არ არსებობდა. და მხოლოდ შემდეგ, საკმაოდ მცირე პერიოდში 1959-1968წწ. საფრანგეთის პრეზიდენტის შარ დე გოლის დროს სიტუაციის კარდინალურად შეიცვალასთან ერთად შეიძინა აქტუალობა.

ამ პერიოდში ატლანტიზმის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა ცნობილი ჰოლისტური თეზისი: „ევროპა ატლანტიკიდან ურალამდე". თუმცა პროცესები ევროპაში ერთგვარად ამუხრუჭებდა კონტინენტალური ევროპის ფორმირების პროცესს.

1970-იან წლებში აშშ პარალელურად გეოპოლიტკურ პროცესებში ჩართვის აუცილებლობაზე ევროპაშიც წერენ. პირველ ეტაპზე ეს იყო წმინდა ნატოს ან გაეროს დამხმარე დისციპლინები. თუმცა შემდგომში უკვე დამოუკიდებელი შრომების იერი შეიძინა. ევროპულ გეოპოლიტიკაში მნიშნელოვან ფიგურად ითვლება ალენ დე ბენუა.

სწორედ მის სახელს უკავშირდება ახალი, ერთიანი ევროპის იდეის შემუშავება, რომელსაც „ფედერალური იმპერიის" კონცეფცია ეწოდა. ახალი მემარჯვენეები (ასე უწოდებდნენ ისინი თავიანთ თავს), ნატოდან გამოსვლას, საკუთარი ბირთვული პოტენციალის გამოყენებასა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მკაცრი ნეიტრალიტეტის დაცვას მოითხოვდნენ. ხოლო თუკი საუბარი კავშირზე წამოიჭრებოდა, ისინი უპირატესობას აღმოსავლეთს და არა დასავლეთს ანიჭებდნენ.

ამ, ფართოდ გავცელებულ პოზიციას არ გააჩნდა და არანაირად არ ატარებდა ევროპული დისიდენტიზმის ხასიათს. თუმცა მისი სიღრმისეულად შესწავლის შემდეგ ნათლად ჩანს, რომ ის არსებითად განსხვავდება სხვა თეორიებისაგან. ამგვარად ის მიზნად მსოფლიოში ძალათა ბალანსის აღდგენის აუცილებლობას ითვალისწინებს. სადაც ურალი, ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი ანუ დუბლინი – ვლადივოსტოკის ხაზმმა ევროპის დიდი სივრცის არსებობა უნდა უზრუნველყოს. აღნიშნული პროექტი ეკუთვნის ბელგიელ გეოპოლიტიკოს ჟან ტირიარს.

მისი აზრით ევროპისათვის უკეთესი იქნება თუკი ის საბჭოთა სოციალიზმს და არა ანგლო-ამერიკულ კაპიტალიზმს აირჩევს.

თუკი ეს პროექტი არ განხორციელდება სსრკ დაიშლება. ამას ის ამტკიცებდა კავშირის დაშლამდე 15 წლით ადრე. ტირიარის იდეებს უახლოვდება ავსტრიელი გენერლის იორდის ლოხაუზის იდეები: მას ეკუთვნის გამოთქმა, რომ: „პოლიტიკური ხელისუფლება ხანგრძლივი და მყარია მაშინ, როცა ხელისუფალნი აზროვნებენ არა წუთიერი, ლოკალური კატეგორიებით, არამედ ასწლეულად და კონტინენტალურად".

ლოხაუზის მიხელვით სახელმწიფო არის ძალა, მიღებული სხვადასხვა ძალის ნამრავლის მიხედვით

M = R (ძალა) X (ადგილმდებარეობა)

ლოხაუზენი თვლიდა, რომ გერმანია შეძლებდა ევროპის გაერთიანებას, მაგრამ ევროპას არ ძალუძს შეინარჩუნოს თვითმყოფადობა რუსეთის გარეშე. ისევე როგორც რუსეთი, ვერ შეინარჩუნებს სტაბილურობას ევროპის გარეშე.

არსებითად განსხვავებული მიდგომა გააჩნია ფრანგ ფილოსოფოსს (საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის მრჩეველი)ჟაკ ატტალს. ის თვლიდა, რომ გეოპოლიტიკას საფუძვლად უდევს ეკონომიკა, და შემოიტანა ახალი ტერმინი გეოეკონომიკა, აქედან გამომდინარე მსოფლიოში ჩამოყალიბდება სამი ძირითადი ცენტრი:

1. ამერიკული სივრცე (რომელიც გააერთიანებს ორივე ამერიკას)
2. ევროპული სივრცე (რომელიც ევროპის გაერთიანების შედეგად წარმოიშობა)
3. წყნაროკეანური რეგიონი (ესაა ახალი განვითარების ზონა – ტოკიო, ტაივანი, სინგაპური)

ამ სივრცეებს შორის არ იარსებებს განსაკუთრებული სახესხვაობები – დადგება გეოეკონომიკის ერა, რომელიც მოხსნის პოლიტიკურ წინააღმდეგობებს ევროპაში, მსოფლიოში.

ლექცია 4

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა **(სპს)**

1. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემების (სპს) განვითარების გეოპოლიტიკური ეპოქები
2. თანამედროვე სპს ქვეყნების კლასიფიკაცია
3. საერთაშორისო ორგანიზაციები – სპს სუბიექტები

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა – ესაა დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტთა ერთობლიობა, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ განსაზღვრული წესების ფარგლებში. ხშირად ეს ცნება მსოფლიოს საზოგადოებრიობის ან მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელობითაც ინტერპრეტირდება.

სპს-ს ცენტრალურ ფიგურებს სახელმწიფოები წარმოადგენენ, ამიტომ ემანუილ კანტმა ის „სახელმწიფოთა საზაგადოებრიობას" შეადარა, რომელიც საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ფუნქციონირებს. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგანაც სუვერენული, ეროვნული სახელმიფო – ძალაუფლების ძირითადი მატარებელია არამარტო კონკრეტული ქვეყნის ჩარჩოებში, არამედ საერთაშორისო არენაზე. სწორედ სახელმწიფოს გააჩნია რეალური ძალოვანი უფლებამოსილება გამოვიდეს და იმოქმედოს საერთაშორისო სუბიექტის სახით. შეთანხმდეს ან დადოს გარიგება მეორე მხარესთან. გამოაცხადოს მშვიდობა ან დაიწყოს ომი. აღნიშნული სისტემა საკმაოდ რთული და დინამიურია – დაახლოებით 1500 წლისათვის მხოლოდ ევროპაში იყო 500 სახელმწიფო, 1800 წლისათვის მსოფლიო 137 დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოითვლიდა. 1900 წლისათვის 57; დღეისათვის დაახლოებით 200 სახელმწიფოს. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები შემუშავებულ იქნა სახელმწიფოთშორის შეთანხმებაზე 1648 წელს – 30 წლიანი ომის დასრულებისთანავე – ვესტფალის სისტემა. ეს გეოპოლიტიკური ეპოქა ნიშანდობლივია იმით, რომ დაიწყო მკაცრად ცენტრალიზირებული, ძირითადადა მონარქიული მმართველობის ერვნულ სახელმწიფოთა ფორმირება, რამაც ევროპული სახელმწიფოთშორისი სისტემა მსოფლიო სისტემად გარდაქმნა. ძალათა ძირითადი ცენტრები იყვნენ – ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია. მსგავსი მსოფლიო წესრიგი არსებობდა დაახლოებით 150 წელს. საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე და ცნობილ, ნაპოლეონის ომებამდე. რომელმაც, დაამსხვრია ვესტფალის სისტემა.

მომდევნო გეოპოლიტიკური ეპოქა, რომელიც სახელმწიფო მეთაურთა ვენის კონგრესით მყარდება, ვენის ეპოქას უწოდებენ. აღნიშნულ ეპოქაში ძალათა ცენტრებად რუსეთი და ავსტრო-უნგრეთის იმპერია იქცნენ. თუმცა მათ ტოლს არც კოლონიების ხარჯზე მზარდი ინგლი, საფრანგეთი, გერმანიისა და თურქეთის იმპერიები უტოვებდნენ. XIX საუკუნის შუა ხანებამდე ევრო-აზიურ კონტინენტზე დომინირებდა რუსეთი. ბუნებრივია თურქეთზე გამარჯვების შემთხვევაში (1853-1856წწ. ომი) რუსეთი თავის კონტროლს გაზრდიდა ბალტიის, შავ და კასპიის ზღვებზე ამიტომაც რუსეთის მოსალოდნელი უკიდეგანო ზრდით დამფრთხალი ევროპული ქვეყნები ყირიმის ომში მის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

რუსეთის დამარცხებით სახეცვლილება განიცადა ვენის სისტემამ, თუმცა ფუნქციონირებას მაინც განაგრძობდა. რუსეთმა რომელმაც დაკარგა გეოპოლიტიკური ჰეგემონობა იძულებული შეიქმნა მომდევნო წლების მანძილზე ემანევრა საფრანგეთს, ინგლისსა და გერმანიას შორის საერთაშორისო ურთიერთობებში. რთული დიპლომატიური კამპანიის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბდა ორი მსხვილი ბლოკი: ანტანტა (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი) და სამთა კავშირი (გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, იტალია). ბლოკთა მიზანი, განსაკუთრებით მეორე ბლოკისა, სფეროთა გადანაწილება იყო.

ორ ბლოკს შორის არსებულ წანააღმდეგობათა გამოვლინება პირველი მსოფლიო ომი იყო, რომელშიც სამთა კავშირმა კრახი განიცადა. შესაბამისად შეიცვალა გეოპოლიტიკურ ძალათა თანაფარდობაც. დაიმსხვრა გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, რუსეთისა და თურქეთის იმპერიები. ამ იმპერიათა ნამსხვრევებზე აღმოცენდნენ რამოდენიმე მცირე სახელმწიფოები, რომელიც იმთავითვე გამარჯვებული ქვეყნების გავლენის ქვეშ მოექცნენ. პირველი მსოფლიო ომის შედეგები შეჯამებულ იქნა ვერსალში, ამიტომ ახალ გეოპოლიტიკურ ეპოქას ვერსალის ეპოქა ეწოდა. ეპოქის გეოპოლიტიკურ ლიდერებად იქცნენ: ბრიტანეთი და აშშ. თუმცა სისტემამ არსებობა მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე შეწყვიტა. ომის რომლის საბოლოო აქტად პოცდამის სამშვიდობო კონფერენცია იქცა. (პოცდამის გეოპოლიტიკური ეპოქა) სწორედ პოცდამში გამოიკვეთა ძალათა ახალი ბალანსი რომელმაც მსოფლიო ბიპოლარულ სამყაროდ გარდაქმნა – სათავეში ორი მსხვილი ბლოკით – NATO-თი და ვარშავის ბლოკი, რომლის ლიდერები იყვნენ ვარშავის ბლოკი, რომელთა ლიდერები იყვნენ სსრკ და აშშ. ორის სიტემის წინააღმდეგობა განსაზღვრავდა პოცდამის გეოპოლიტიკური ეპოქის შინაარს. ძალათა ახალი თანაფარდობა ჩამოყალიბდა სსრკ-ს დაშლის შემდეგ. რომლის ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი გაფორმებულ იქნა 1991 წლის დეკემბერში ბელოვეჟში,

ამიტომაც ზოგიერთი გეოპოლიტიკოსი პოსტსაბჭოური ეპოქის მსოფლიო წესრიგს ბელოვეჟის გეოპოლიტიკურ ეპოქას უწოდებს.

მსოფლიო ქვეყნების თანამედროვე პოლიტსისტემის კლასიფიკაცია (ტიპოლოგია)

თანამედროვე პოლიტიკურ სისტემას 200 სუვერენული სახელმწიფო წარმოადგენს, როლებიც ერთიმეორესაგან მრავალი კრიტერიებით განსხვავდებიან: დიდი და მცირე ქვეყნები, ერთეროვნული (იაპონია) და მრავალეროვანი (რუსეთი, ინდოეთი). თითოეულ ამათთაგან გაუმეორებელი თავისებურებები ახასიათებთ. თუმცა, მსგავსი მახასიათებლებითაც გამოირჩევიან. მათი ტიპოლოგია რამოდენიმეგვარია: სოციალურ-ეკონომიკური, განვითარების დონე, დემოკრატიულობა, ცხოვრების ხარისხი და ა.შ. დიდი ხნის მანძილზე შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში ტიპოლოგია სოციალიზმსა და კაპიტალიზმმზე კუთვნილებით განისაზღვრებოდა: 15 სოციალისტური ქვეყანა, დაახლოებით 100 კი კაპიტალისტური, განვითარებადი და მესამე სამყაროს ქვეყნებია. სოციალისტური სისტემის მსხვრევასთან ერთად აღნიშნულმა ტიპოლოგიამ აქტუალობაც დაკარგა. დღეისათვის სოციალისტური სისტემის ქვეყნებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების რიგს განაკუთვნებენ, თუმცა 4 სახელმწიფო დღემდე სოციალისტურია – კუბა, ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთი დვ ვიეტნამი.

უკანასკნელ პერიოში მომხდარი რიგი ცვლილებების შედეგად ქვეყნების კოასიფიკაცია შემდეგნაირადაა შესაძლებელი:

პირველი – ეკონომიკურად მაღალგანვითარებულები, რომელთა რიცხვს განეკუთვნებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: აშშ, კანადა, დასავლეთ ევროპული ქვეყნები, იაპონია, ისრაელი და ახალი ზელანდია. მათ აერთიანებთ განვითარების მაღალი დონე. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ხშირად გამოყოფენ დიდ სახელმწიფოთა ხუთეულს, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან: რუსეთი, აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. რომელთაც ყველაფერთან ერთად პრივილეგირებული მდგომარეობა უპყრიათ. მათ აქვთ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებაზე ვეტოს უფლება. შვიდეული ან კიდევ 7+1. ასე უწოდებენ ეკონომიკური თვალსაზრისით უმეტესწილად განვითარებულ შემდეგ სახელმწიფოებს: აშშ, იაპონია, გერმანია, ბრიტანეთი, საფრანგეთი, კანადა, იტალია და + რუსეთი.

მეორე – საშუალო განვითარების (ან მეორე ეშელონის) ქვეყნები: ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, ირლანდია.

მესამე – განვითარებადი ქვეყნები: ეს არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი (150) და მრავალფეროვანი ქვეყნების ჯგუფი. უმეტესი ამათთაგანი ყოფილი კოლონიებია. მათ აერთიანებთ როგორც საშინაო ასევე საგარე ხასიათის მრავალი სირთულე ან პრობლემა – აუცილებელი გამოცდილების უქონლობა, ფინანსური კრიზისები, დიდი საგარეო ვალები, მოსახლეობის არაკონტროლირებადი მატება, ეპიდემიები და ა.შ. მათ შორის გამოყოფენ შემდეგ ქვეჯგუფებს:

ა) საკვანძო ქვეყნები: მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე ბრაზილია, მექსიკა, ინდოეთი;

ბ) ახალი ინდუსტრიული ქვეყნები: სინგაპური, ტაივანი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი, მალაიზია, ინდონეზია, ფილიპინები;

გ) ახალი კაპიტალისტური ქვეყნები: ლათინური ამერიკის ქვეყნები და არაბეთის სახემწიფოები.

დ) ნაკლებად განვითარებული ქვეყნები: სომალი, ეთიოპია, ჩადი, ნიგერია, ავღანეთი, ჰაიტი და სხვ. დაახლოებით 40-მდე ქვეყანა.

XX საუკუნეში საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვან როლს, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკურ-პოლიტიკური ორგანიზაუიებიც თამაშობენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) შეიქმნა 1945 წლის 24 ოქტომბერს.

აერთინებს 190 სახელმწიფოს, დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ – ვატიკანი, პალესტინა, აფრიკული ერთობის ორგანიზაცია, ევროკავშირი და სხვ. რომლებიც 17 სპეციალიზირებულ უწყებებში არიან გადანაწილებული.

გაეროს მთავარი ამოცანაა მსოფლიოს მშვიდობის დაცვა, საერთაშორისო უსაფრთხოება, თანამშრომლობის განვითარება და მსოფლიო პრობლემათა გადაჭრაა. გაეროს სტრუქტურული ტორგანიზაციაა:

1) გენერალური ასამბლეა
2) უშიშროების საბჭო
3) ეკონომიკური და სოციალური საბჭო
4) მზრუნველთა საბჭო

5) საერთაშორისო სასამართლო

6) სამდივნო (გენერალური მდივანი კოფი ანანი)

გენერალური ასამბლეა ძირითადი ორგანოა რომელიც ყველა წევრს ერთიანი სახელმწიფოს პრინციპით აერთიანებს – ერთი ხმა. იკრიბება წელიწადში ერთჯერ. რეზოლუცია რეკომენდაციული ხასიათისაა თუმცა გაჯერებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტულობით.

უშიშროების საბჭო – ერთადერთი ორგანოა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს და მოითხოვს მის აუცილებელ შშესრულებას. (მაგ. 1991 წელს სანქცინირებული დარტყმები ერაყზე – ქუვეიტის დაპყრობის შემდეგ). შედგება 15 - 5 მუდმივი და 10 არამუდმივი წევრისაგან, 10 არამუდმივი წევრი ირჩევიან 2 წლის ვადით რეგიონალური ქვოტების შესაბამისად. 5 - განვითარებადი ქვეყნიდან, 1 – აღმოსავლეთ ევროპის, 2 – ლათინური ამერიკის და 2 - დასავდეთ ევროპის ქვეყნებიდან.

გაეროს სასამართლო ღიაა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და ფიზიკური პირისათვის. გენერალური მდივანი გაეროს მთავარი თანამდებობრივი პირია და აირჩევა ასამბლეაზე, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.

გაეროს ოფიციალური ენებია – ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული. შტა-ბინა განლაგებულია ნიუ ორკში.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი (NATO)

შეიქმნა 1949 წელს. ესაა სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ორგანიზაცია. შტაბ-ბინა ბრიუსელში.

უსაფრთხოებისა და ეროვნული თანამშრომლობის ორგანიზაცია (ОБСЕ)

შეიქმნა 1975 წელს ჰელსინკში 53 მონაწილე ქვეყნის ინიციატივით. მიზანი (იგულისხმება გაცხადებული) ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და ხელშეწყობაა. აგრეთვე, განიარაღებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ევროპული კავშირი (ЕС)

ევროკავშირის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1992 წლის დასაწყისში – მაასტრიხტში (ნიდერლანდები) 15 სახელმწიფოს შეხვედრაზე. დღეისათვის ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე განცხადება წარდგენილი აქვთ: კიპრს, მალტას, თურქეთს, მაროკოსა და აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებს. ორგანიზაციის მიზნებია(იგულისხმება გაცხადებული): ევროპის ხალხთა მჭიდრო

კავშირების შექმნა, აგრეთვე, ევროპული საბჭოს, ევროპარლამენტის, ევროკომისიის, ევროსასამართლოს მუშაობის ხელშეწყობა.

ჩრდილო ამერიკული შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე (НАФТА)

შეთანხმებას ხელი მოეწერა 1992 წლის 17 დეკემბერს. ძალაში იგი შევიდა 1994 წლის 1 იანვრიდან. წევრი ქვეყნებია: კანადა, მექსიკა, აშშ. მიზნებია: თანამშრომლობის სრულყოფა, პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებით, თუმცა მთელს ამერიკაზე განვრცობით.

აზიურ-წყნაროკეანური საბჭო (АТЭС)

შეიქმნა 1989 წელს ავსტრალიის ინიციატივით და აერთიანებს 21 სახელმწიფოს. მიზანი: ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნაა.

აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია (ОАЕ)

შეიქმნა 1963 წელს. 15 წევრი სახელმწიფოს ინიციატივით. მიზანი:ეთიანობისა და სოლიდარობის ხელშეწყობა. შტაბ-ბინა ადის-აბებეში.

ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია

აერთიანებს 51 სახელმწიფოს შეიქმნა 1971 წელს შტაბ-ბინით ჯიდადში.

არაბულ სახელმწიფოთა ლიგა

შეიქმნა 1945 წელს და აერთიანებს 22 არაბულ სახელმწიფოს.

ნავთობ-ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ОПЕК)

შეიქმნა 1960 წელს ბაღდადში 11 სახელმწიფოს შეხვედრაზე. ორგანიზაციის მიზანი ნავთობის ფასის მსოფლიო ბაზარზე ერთობლივი კონტროლია.

ლათინოამერიკული ქვეყნების ინტეგრაციის ორგანიზაცია

შეიქმნა 1961 წელს გაერთიანებულია მინიმუმ 11 სახელმწიფო. მიზნები საკუთრივ სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს.

ცენტრალურ ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია

შეიქმნა 1951 წელს. აერთიანებს 5 სახელმწიფოს. მიზანი ასევე სათაურიდანაც ნათლად ჩანს.

ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია (ОАГ)

შეიქმნა 1948 წელს. ესაა ამერიკუო ორგანიზაციათა ერთობლიობა აშშ-ს პატრონაჟით. 1962 წელს ორგანიზაციიდან გარიცხულ იქნა კუბა (ვიცით თუ რატომ).

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი

ეს ორგანიზაცია სპეციალიზირებული უწყების სახით შედის გაერო-ში. ფუნქციონირებს 1944 წლიდან, აერთიანებს დაახლოებით 180 სახელმწიფოს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ფუნქციონირება დაიწყო 1946წლიდან. აერთიანებს 180-მდე სახელმწიფოს.

ესაა მცირე ჩამონათვალი იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო პოლიტიკაში და გარკვეული დოზით ზემოქმედებენ მასზე. უფრო კონკრეტულად მათ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემა

1. საეთაშორისო სისტემისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ცნება
2. საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკა, დიპლომატია
3. საერთაშორისო ორგანიზაციათა როლი

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა – ესაა დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტთა ერთობლიობა, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ განსაზღვრული წესების ფარგლებში. ხშირად ეს ცნება მსოფლიოს საზოგადოებრიობის ან მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელობითაც ინტერპრეტირდება.

სპს-ს ცენტრალურ ფიგურებს სახელმწიფოები წარმოადგენენ, ამიტომ ემანუილ კანტმა ის „სახელმწიფოთა საზაგადოებრიობას" შეადარა, რომელიც საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ფუნქციონირებს. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგანაც სუვერენული, ეროვნული სახელმიფო – ძალაუფლების ძირითადი მატარებელია არამარტო კონკრეტული ქვეყნის ჩარჩოებში, არამედ საერთაშორისო არენაზე. სწორედ სახელმწიფოს გააჩნია რეალური ძალოვანი უფლებამოსილება გამოვიდეს და იმოქმედოს საერთაშორისო სუბიექტის სახით. შეთანხმდეს ან დადოს გარიგება მეორე მხარესთან. გამოაცხადოს მშვიდობა ან დაიწყოს ომი. აღნიშნული სისტემა საკმაოდ რთული და დინამიურია – დაახლოებით 1500 წლისათვის მხოლოდ ევროპაში იყო 500 სახელმწიფო, 1800 წლისათვის მსოფლიო 137 დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოითვლიდა. 1900 წლისათვის 57 სახელმწიფოს და 218 ქვეყანა.

რა განსაზღვრას სახელმწიფოთა რიცხვის ცვლადობას?

XIX საუკუნე იყო კოლონიალური საუკუნე, სწორედ ეს განსაზღვრავდა იმას, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვი აზიაში 46-დან 7-მდე შემცირდა. აფრიკაში 42-დან 6-მდე. ევროპაში XIX საუკუნეში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვი შემცირდა 2-ჯერ 48-დან 24-მდე, თუმცა 9 ქვეყანამ მოიპოვა სუვერენიტეტი. მიზეზი აქ იმაშია, რომ ჩამოყალიბდა მსხვილი ნაზიონალური ცენტრალიზირებული სახელმწიფოები. ასე მაგალითად, 10 სახელმწიფო წარმონაქმნა საფუძველი დაუდო გაერთიანებული იტალიის შექმნას, გერმანიაში კი შევიდა 25 სახელმწიფო.

1997 წლისათვის მსოფლიო მოითვლიდა 201 სახელმწიფოსა და 232 ქვეყანას.

საერთაშორისო სისტემის ანალიზისას მხედველობაში უნდა მივიღოთ სახესხვაობა ქვეყნებსა და სახელმწიფოებს შორის. ქვეყანა პირველყოვლისა ესაა ტერიტორია, განსაზღვრული

საზღვრებით, საპასპორტო-სავიზო, საბაჟო, სანიტარული და ა.შ. საკონტროლო-გამშვები პუნქტებით. მას შეიძლება არ გააჩნდეს სუვერენიტეტი და იმყოფებოდეს სხვა ქვეყნის იურისდიქციაში (მაგ. კოლონიის სახით), ხოლო სახელმწიფო – ესაა სუვერენული წარმონაქმნი საგარეო აღიარებების სხვადასხვა ხარისხით (გაეროს წევრობა, საელჩოების, საკონსულოების გაცვლა სხვა ქვეყნებთან და ა.შ.).

კიდევ ერთი ყურადსაღები დანამატი: ფილატელისტი იტყოდა, რომ ქვეყანა ეს არის ტერიტორია, რომელიც გამოსცემს თავის მარკებს, ნუმიზმატი კი აქცენტს მონეტაზე გადაიტანდა. თუმცა ორივე შემთხვევაში შეიძლება გაკეთდეს გამონაკლისი.

საკაცობრიო საზოგადოებისაგან განსხვავებით საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოებზე ჯერ-ჯერობით არ არსებობს არანაირი სუვერენული ხელისუფლება, რომალსაც კანონიერების ჩარჩოებში ძალუძს საკუთარი პოზიცია მოახვიოს მას თავს. მაგალითად, ყველას კარგად ახსოვს ბირთვული ომის საშიშროება. მით უმეტეს მაშინ როცა მსოფლიოში არ არსებობს ბურთვული პოტენციალის ფლობა-გამოყენების ერთიანი პროგრამა.

5 ძირითადი ბირთვული სახელმწიფოდან 2–მა – ჩინეთმა და საფრანგეთმა არ მოაწერეს ხელი შეთანხმებას ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ. რამოდენიმე „თითქმის" ბირთვულმა სახელმწიფოებმა უარი განაცხადას ბირთვული პროგრამების გაუვრცელებლობის კონვენციაზე, პირიქით ინდოეთმა და პაკისტანმა დაიწყეს თავიანთი ბირთვული პროგრამების რეალიზება – გამოცდა რასაც მხოლოდ ეკონომიკური სანქციები და დეკლარირებული განცხადებები მოჰყვა.

გაეროში ერებია გაერთიანებული თუ სახელმწიფოები?

სახელმწიფოები. ამიტომ გაეროსათვის სწორე იქნებოდა გაერთიანებული სახელმწიფოების ორგანიზაცია გვეწოდა. გაეროს სახელმწიფოებრივი ხასიათი იმ ფაქტორებით ძლიერდება, რომ სახელმწიფო ცდილობს დაიტოს საშინაო საქმეებში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ჩაურევლობის უფლება, მათ შორის გაეროდან. (საინტერესოა, რომ იუგოსლავიაში კოსოვოს მოვლენების ირგვლივ გაერო ჩაურევლობის მომხრე იყო, ხოლო NATO თავიდანვე ჩარევას მოითხოვდა). მხოლოდ ერთი ორგანიზაცია – შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროში სახელმწიფოებთან გათანაბრებული უფლებებითაა გაწევრიანებული.

მოლაპარაკებების ჩარჩოებში რუსეთსა და აშშ-ში CHB-1; CHB-2 და CHB-3 ტიპის ბირთვული იარაღები შემცირებული იქნა 1/5-ით.

ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა, ესაა საერთაშორისო ურთიერთობათა განსაზღვრული მიზან შედეგობრიობა. არც საერთაშორისო სისტემაა გამონაკლისი. საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში შეიძლება გამოიყოს 3 ძირითადი ტიპი:

1. იმპერიული – ერთი ძლიერი სახელმწიფო აკონტროლებს დანარჩენ, მცირე და გარკვეულწილად სუსტ ქვეყნებს (მაკედონელის იმპერია, რომის იმპერია);

2. ბიპოლარული – ორი ძლიერი სახელმწიფო არეგულირებს და აკონტროლებს ურთიერთობებს საკუთარი გავლენის სფეროებში (აშშ-სსრკ);

3. ძალათა ბალანსი – დიპლომატიური მანევრირებით, კავშირებით თუ ღია კონფლიქტებით სახელმწიფოები აკონტროლებენ ერთიმეორის ქმედებას (1814წ. ვენის კონგრესმა შექმნა „ევროპული კონცერტი".

საერთაშორისო იერარქიაში ძალათა თანაფარდობის რღვევას სისტემის კრიზისამდე მივყავართ. რაც ხშირ შემთხვევაში სამხედრო კონფლიქტებში ვლინდება.

დღევანდელი თემის მეორე მნიშვნელოვანი კატეგორიაა – საერთაშორისო ურთიერთობა, საერთაშორისო პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკა. ხშირად ისინი როგორც სინონიმები გამოიყენებიან. თუმცა მეცნიერული თვალსაზრისით მათ შორის დიდი შინაარსობრივი სახესხვაობაა.

საერთაშორისო ურთიერთობა - ეს არის კავშირებისა და ურთიერთ თანამშრომლობის ერთობლიობა (ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ა.შ. სფეროში) ხალხებს, სახელმწიფოებსა და ქვეყანათა გაერთიანებებს შორის.

საგარეო პოლიტიკა – ქვეყნის საქმიანობაა მის საზღვრებს გარეთ, ან საერთაშორისო პოლიტიკაში მისი საერთო კურსია.

უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო პოლიტიკის ცნებამ შეცვალა საგარეო პოლიტიკა. რით არის ეს განპირობებული?

საერთაშორისო პოლიტიკა მოიცავს საერთაშორისო სუბიექტთა საქმიანობას: სახელმწიფოები, სახელმწიფოთშორისი გაერთიანებები და ორგანიზაციები, პარტიები და საზოგადოებრივი მოძრაობები, კულტურული, რკლიგიური, სპორტული და სხვა ორგანიზაციები, კერძო პირები და ა.შ. საკუთარი მრავალფეროვანი ინტერესების რეალიზებისათვის გამოიყენებენ სხვადასხვა საშუალებებს.

კატეგორიათა პრობლემის შეჯამებისას, ავღნიშნავთ: საერთაშორსო ურთიერთობები ფართო გაგებით ესაა საერთაშორისო პოლიტიკა, რადგანაც საერთაშორისო ურთიერთობებში

იგულისხმება ურთიერთობები არამარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური, კულტურული, იდეოლოგიური და ა.შ.

საგარეო პოლიტიკა, როგორც წესი, ერთი სახელმწიფოს საგაეო საქმიანობის გამოვლინებაა, საერთაშორისო პოლიტიკა კი მრავალი სახელმწიფოსა და არასახელმწიფო ორგანიზაციისა.

სახელმწიფოს მიერ საგარეო პოლიტიკის რეალიზების ფორმები და მეთოდები მრავალგვაროვანია:

პირველყოვლისა, ესაა დიპლომატიური კავშირები. საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 35 სახელმწიფოსთან (1997 წლისათვის მსოფლიოში 201 სახელმწიფო იყო).

მეორე, მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა ე.წ. „ბიპოლარული სამყარო" რომლის დროსაც მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩამოყალიბდა ორი ძალათა პოლუსი. ორმა სუპერსახელმწიფომ – სსრკ და აშშ-მა, საკუთარ ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებაზე დაყრდნობით შექმნეს (ზოგ შემთხვევაში ნებით, ზოგ შემთხვევაში იძულებით) სახელმწიფოთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ბლოკი: სოციალისტური და კაპიტალისტური.

ეს დანაწევრება გამყარებულ იქნა სამხედრო-სტრატეგიული კავშირებით (ერთის მხრივ ვარშავის ბლოკი (1955 წლის დეკემბერი – 1989?) – სსრკ, ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი (1968 წლამდე), შტაბ-ბინით ვარშავაში და მეორეს მხრივ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი (NATO) – აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, კანადა, იტალია, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ისლანდია, საბერძნეთი და თურქეთი (1952), გფრ-გერმანია (1955). თუმცა სამხედრო ორგანიზაციას მალე გამოეთიშა საფრანგთი (1966), საბერძნეთი (1974). პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი კი პირიქით გაწევრიანდნენ 1999 წელს. ორგანიზაციის შტაბ-ბინა განლაგებულია ბრიუსელში).

წინააღმდეგობები ორ ბლოკს შორის მჟღავნდებოდა ბრძოლაში გასაღების ბაზრებისათვის, სამხრედრო-სტრატეგიულ ანტაგონიზმში რაც ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის მიზეზიც ხდებოდა (50-იან წლებში კორეა, 50-იანის დასასრულს 60-იანის დასაწყისში კუბაში (კომუნისტები ამერიკის სანაპიროსთან), 60-70-იან წწ. ვიეტნამი, 80-იანი წწ. ნიკარაგუა, გრენადა).

ნახევარი საუკუნის მანძილზე ბიპოლარობა საერთაშორისო პოლიტიკის სპციფიკურ თავისებურებეს წარმოადგენდა. სსრკ დაშლასთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობებში ბიპოლარობამ მნიშვნელობა დაკარგა.

„ცივი ომის" დასრულებით შეიცვალა საერთაშორისო ურთიერთობათა მთელი სისტემა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობა გარდაქმნების საწყის ეტაპზე იმყოფებოდა. იქედან მოყოლებული დღემდე არ შექმნილა არც ახალი მსოფლიო წესრიგი, არც ახალი უსაფრთხოების სისტემა.

ბჟეზინსკის გამოთქმით არსებობს გლობალური უწესრიგობა.

წარმოქმნილ მრავალპოლუსიან სისტემას არცთუ დასრულებული სახე აქვს. პირველყოვლისა, როგორც ჩანს იმიტომ, რომ აშშ, ერთი სუპერსახელმწიფოს სახით ახლო მომავალში მსოფლიო არბიტრობაზე პრეტენდენტობს. ისევე როგორც რუსეთი, ევროპული სახელმწიფოები და ჩინეთი გლობალური ზესახელმწიფოს როლის თამაშს.

გლობალური უწესრიგობა, პირამიდული გეოპოლიტიკის მოდელის შტრიხებს იძენს, სადაც დომინირებულ მდგომარეობას, პირობითად თუ ვიტყვით, გეოპოლიტიკურად მართვის ცენტრი იკავებს. ცენტრი რომელიც ატლანტიკური ცივილიზაციის ქვეყნებისაგან შედგება.მართვის ცენტრის საფუძვლებს დემოკრატიული მონოპოლიზმის პრინციპები წარმოადგენენ. მონოპოლია შინაარსობრივად აშშ-ს პრეროგატივაა, დემოკრატიზაციის ელემენტები კი თავმოყრილია „დიდი შვიდეულის" ქვეყნების კონცერტში. „დიდი შვიდეულის" და არა „რვიანის". რადგანაც მიუხედავად რუსეთის ამ ორგანიზაციაში ფორმალური ჩართვისა, მნიშვნელოვან საკითხებს აქ მაინც შვიდეული წყვეტს (შვიდი ერთის წინააღმდეგ).

მართვის ცენტრის როლი ძლიერდება იმით, რომ საერთაშორისო საზოგადოების განვითარების ძირითად სფეროებში - ფინანსები, ეკონომიკა, ვაჭრობა, ინფორმაცია, სამხედრო სფერო. მნიშვნელოვან როლს, საერთაშორისო ორგანიზაციები თამაშობენ, რომელთაც სახელმწიფო ინტერესების პარალელურად კერძო და ბიზნეს ინტერესების დამცველები არიან. (აქ შეიძლება ვიმსჯელოთ რა უფრო მნიშვნელოვანია, პირველ ეტაპზე ეკონომიკური ფაქტორები, დღეს კი მეტ ღირებულებს ინფორმციული და სამხედრო ტექნოლოგიები იქენენ).

აშშ გააჩნია სიტუაციის სასურველი მიმართულებით რეგულირების ყველა მარწუხი, რადგანაც ის დომინირებულ როლს თამაშობს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკში, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და 50-60-იანი წლების ყველა წამყვან ტრანსნაციონალურ კორპორაციებში. ხელმძღვანელობდა არაერთ მონდიალისტურ სტრუქტურას, კერძო კლუბებსა და ფონდებს, ასოციაციებს და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე – არსებობს საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათისა და შესაძლო მსოფლიო წესრიგის სხვადასხვა პროგნოზი.

პირველი მოდელი – სამყარო შეინარჩუნებს ბიპოლარულ ანტაგონისტურ იერს, მხოლოდ სსრკ-ს ადგილს სოციალისტური ჩინეთი დაიჭერს.

მეორე - ერთპოლუსიანი-ავტორიტარული მოდელი, რომელშიც დომინირებულ მდგომარეობას აშშ დაიკავებს;

მესამე – მრავალპოლუსიანი მოდელი. მრავალი ძალათა ცენტრით მსოფლიოში: აშშ, ევროპული კავშირი, ევრაზიული კავშირი: რუსეთი-ჩინეთი-ინდოეთი და ა.შ.

ლექცია 5

გეოპოლიტიკური ეპოქები

1. გეოპოლიტიკის ვესტფალისეული ეპოქა
2. ვენის ეპოქა
3. ვერსალის ეპოქა
4. პოცდამის ეპოქა
5. ბელოვეჟის ეპოქა

კაცობრიობის ისტორია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით შეიძლება განიხილოს გეოპოლიტიკურ ეპოქათა თუ ძალობრივი ველების ეტაპობრივი ცვლის ისტორიად. ყოველ გეოპოლიტიკურ ეპოქას გააჩნია საკუთარი ძალათა ბალანსი, გავლენის სფერო, საზღვარი.

ძველი ცივილიზაციების არსებობის ისტორიამ – „კონტინენტალურმა" რომმა და „საზღვაო" კართაგემა განჭვრიტეს XX საუკუნის ბევრი გეოპოლიტიკური რეალიები. თუმცა, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ჩანერგილ იქნა (1648წ) საერთაშორისო ურთიერთობათა ვესტფალის სიტემაში. 30 წლიანი ომის დასრულების შემდეგ. ამ პერიოდში ევროპაში ჩამოყალიბებას იწყებენ ნაციონალური სახელმწიფოები. ცალკეული სახელმწიფოები განვითაროების სამრეწველო რელსებზე გადაერნთნენ. რითაც ხელი შეწყო ეროვნებათა ფორმირების პრცესს - სახელმწიფოებს მყარი, ცენტრალიზებული დინასტიური ხელისუფლებით. ამ პერიოდიდან ევროპის ისტორია იქცა მსოფლიო ისტორიად.

ევროპის ძირითად ძალოვან ცენტრებად იქცა – ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, შემდგომში ინგლისი, საფრანგეთი, შედეთი. წარმოქმნილი ნაციონალური სახელმწიფოები საკუთარ საზღვრებს ენობრივი ნიშნისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღრების გათვალისწინებით ადგენდნენ. მსგავსი წესრიგი, შექმნილი გეოპოლიტიკური ველი არსებობდა მთელი 150 წლის მანძილზე – საფრანგეთის რევოლუციამდე. რომელიც შეცვალა დირექტორიებმა, კონსულობამ და ნაპოლოეონის გაიმპერატორებამ.

XVII საუკუნის დასასრულს XVIII ს-ის დამდეგს, ჩაქრა ესპანეთის, პორტუგალიის, ჰოლანდიისა და შვედეთის არსებული ძლევამოსილება, ხოლო XVIII ს.-ში კი პოლონეთის. გამყარდა საფრანგეთისა და ინგლისის პოზიციები. ძალებს იკრებდა პრუსია. XIXს. დასაწყისში რუსეთი იქცა უმნიშვნელოვანეს ფიგურად მსოფლიო პოლიტიკაში.

XVII-XVIII ევროპაში წარმოიშვა ახალი სოციალური ძალა – ბურჟუაზია. რომელიც უზარმაზარ თანხებს განაგებდა, და რომელიც ისწრაფოდა ხელისუფლებისაკენ. ბურჟუაზიის ფულებმა, დაბალმა ფასებმა საქონლებზე, რომელიც ფაბრიკა-ქარხნებში წარმოებდა, გაანგრიეს სამეფო სასახლეების, ფეოდალთა სახლების კედლები, დასცეს ბასტილია და 10 000 კათოლიკური მონასტერი. აღმართეს ეშაფოტები გილიოტინებით მთელს საფრანგეთში. ბურჟუაზიის ფულებმა ხელისუფლებაში მოიყვანა ნაპოლეონი, რომელმაც მსოფლიო ჰეგემონობის დამყარება სცადა.

საფრანგეთის ოკეანურ გეოპოლიტიკურ ბლოკად ქცევა ნაპოლეონმა ვერ მოახერხა. იმპერატორის მცდელობამ ჩაეკლა ინგლისი სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური ბლოკადებისა და სხვა საშუალებებით კრახი განიცადა მსოფლიო არენა გამოჩნდა რუსეთი, რომელსაც მნიშვნელდოვანი დახმარება გაუწია ავსტრიამ და პრუსიამ. ნაპოლეონმა კი მარცხი იწვნია.

გეოპოლიტიკური ძალათა, ახალი განლაგება, რომელიც გამყარებულ იქნა (1814-15წწ) ვენის კონგრესით, რომელიც წარმოადგენს სივრცეზე იმპერიული კონტროლის პრინციპს. მსოფლიო ცენტრებად იქცნენ რუსეთი და ავსტრო-უნგრეთის იმპერია, ბრიტანეთის კოლონიალური იმპერია (თუმცა ის ასე 1876წ. იწოდა), გერმანიის იმპერია (1871 წ-დან), და XIX ს. შუა ხანებიდან საფრანგეთის ფაქტობრივი კოლონიალური იმპერია (რომელიც ფორმალურად რესპუბლიკად გამოცხადდა). 1877წ. თურქეთის სულთანმა მიიღო „ომალთა იმპერატორის" ტიტული. თურქეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.

XIX საუკუნის შუახანებამდე რუსეთი დომინირებდა ევროპაში, სადაც წინააღმდეგობას უწევდა ინგლისს, ავსტრიას, საფრანგეთსა და რა თქმა უნდა თურქეთს. 1853-1856წწ. ყირიმის (აღმოსავლეთის) ომის დროს რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდა ფაქტობრივად მთელი ევროპა. რაც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სავსებით გასაგებიცაა – შავი და ბალტიის ზღვა იქცეოდა შიდა ზღვად, რუსულ ტბებადრომელიც გასასვლელს იძლევა ორ საკვანძო-გეოპოლიტიკურ რეგიონზე – ატლანტიკასა და ხმელთაშუაზღვისპირეთზე.კონტროლი მათზე ინგლისს რუსეთის ძლიერების დაბალანსების საშუალებას მისცემდა.

ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებამ გეოპოლიტიკური ველის „ვენის სისტემა" ნაწილობრივ შეცვალა. დაიმსხვრა მონარქიათა საღვთო კავშირი, რომელიც, რუსეთისათვის

ალბათ ზედმეტი ტვირთიც იყო, ვიდრე რეალური ძალა. მისი მსხვრევით დასრულდა რუსეთის დომინირება ევროპაში. რომელსაც არაფერი კარგი არ მოუტანია საკუთრივ რუსეთისათვის.

XIX ს. II ნახევარი რუსეთისათვის ნიშანდობლივი იყო იმით, რომ ის აბალანსებდა გეოპოლიტიკას ევროპულ ველზე, უჭერდა რა მხარს ხან პრუსიას საფრანგეთის წინააღმდეგ, ხან საფრანგეთს გერმანიის წინააღმდეგ. მსგავსმა პოლიტიკამ გაამართლა, შესაძლებელი გახადა მაქსიმალური შედეგების მიღება მინიმალური დანაკარგებით. 70-იანი წლების დასასრულს განხორციელებულ იქნა მცირეხნიანი ომი თურქეთთან, რის შედეგადაც რუსეთის ჯარებმა არამარტო გაათავისუფლა ბულგარეთი, არამედ გენერალ სკობელევის ხელმძღვანელობით სტამბულამდეც კი მივიდა. თუმცა დასავლეთის სახელმწიფოებმა მას მეტი გასაქანი აღარ მისცეს და ფაქტობრივად უარი ათქმევინეს ცარგრადზე.

XIX ს. დასასრულს მრეწველობის დარგების განვითარებასთან ერთად განვითარდა დაგაძლიერდა აშშ და გერმანია. აშშ საკუთარი საზღვრებიდან დაიწყო ზღვებს მიღმა ბაზრების დაპყრობა, განდევნა რა კუბიდან და ფილიპინებიდან ესპანელები. გერმანია „რკინის კანცლერის" ოტო ფონ ბისმარკის მეშვეობით იქცა უდიდეს კონტინენტალურ სახელმწიფოდ და მსოფლიო პოლიტიკაში წამყვანი როლის თამაში დაიწყო.

გერმანიის ინიციატივით შეიქმნა სამთა კავშირი: გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და იტალია. მეორე ძლიერი ბლოკი შეიქმნა საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთის მიერ – ანტანტა. ბლოკების მიზანი იყო სფეროთა გადანაწილება და ახალ ევროპულ სახელმწიფოთა დაუშვებლობა გადანაწილებაში.

გეოპოლიტიკური ველის ვერსალის ეპოქა იწყება სამთა კავშირის დამარცხების შემდეგ. პირველ მსოფლიო (1914-1918) მან კარდინალურად შეცვალა გეოპოლიტიკურ ძალათა გადანაწილების პრინციპი. დაიმსხვრა გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, რუსეთის, თურქეთის იმპერიები. რომლებიც ადრე უძლიერეს პოლიტიკურ ცენტრებს წარმოადგენდნენ ამ სახელმწიფოთა ნამსხვრევებზე აღმოცენდნენ მცირე სახელმწიფოები, რომლებიც ვერსალის სისტემის ავტორებმა თავიანთი გავლენის სფეროებში გადაინაწილეს. ვერსალის სისტემამ (1919წ) კონტინენტალური სახელმწიფოს კვერთხი საფრანგეთს გადასცა, ხოლო საზღვაოსი კი ინგლისს. რუსეთისათვის ევროპაში ადგილი აღარ დარჩა. მას როგორც ძლიერ სახელმწიფოს აღარ უნდა ეარსება. ერთა ლიგის სახელით – რომელიც ვერსალის კონფერენციის განუყოფელი ნაწილი იყო – გადანაწილებულ იქნა გერმანიისა და თურქეთის კოლონიები. აშშ პრეზიდენტის

ვილსონის გეგმის მიხედვით რუსეთი უნდა დაყოფილიყო გავლენის სფეროებად. მაგ: კავკასია განიხილებოდა თურქეთის იმპერიის ნაწილად, ცენტრალური აზია გადაეცემოდა რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს, ხოლო რუსეთის ევროპულ ნაწილში ციმბირთან ერთად შეიქმნებოდა წარმომადგენლობითი მთავრობა. მიზნის მისაღწევად მსოფლიოს 15 სახელმწიფომ თავიანთი ჯაროები გადმოსხენ რუსეთის სხვადასხვა წერტილში, რამაც აუარებელი ზარალი მიაყენა – როგორც მატერიალურად ისე სულიერად – რუსეთს.

პირველ მსოფლიო ომში ყველაზე დიდი მოგება აშშ ბურჟუაზიამ ნახა. ძალის შეგრძნების გამოისობით 1922წ. ვაშინგტონის კონფერენციაზე აშშ მიაღწია ინგლისთან თანაბარი ფლოტის არსებობას. რომელიც საზღვაო კომუნიკაციების კონტროლის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ჯიბის „ერთა ლიგის" დახმარებით გამარჯვებულმა მხარეებმა რუსეთსა და გერმანიას შორის შექმნეს „სანიტარული კორდონი" იმ სახელმწიფოთა შემადგენლობით რომლებიც საფრანგეთსა და ინგლისზე ორიენტირდებოდნენ. ამრიგად ორი დიდი კონტინენტალური სახელმწიფო ერთი-მეორესაგან დაშორებულ იქნა. დამყარებული მსოფლიო წესრიგი მიმართული იყო სსრკ-ს, გერმანიისა და ჩინეთის წინააღმდეგ. მაგრამ იმთავითვე ამ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინების გარეშე ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის არსებობა წარმოუდგენელი შეიქმნა.

ვენის სისტემის ავტორებმა არ გაითვალისწინეს რამოდენიმე გარემოება. პირველყოვლისა ის, რომ რუსეთთი სამოქალაქო ომიდან გამოვიდა ერთიანი პოლიტიკური ძლიერებით.ევროპას გადაუარა (1920) პროლეტარიატის რევოლუციამ, მოსახლეობის დაბალი ფენა მოითხოვდა „საბჭოთა რუსეთისაგან ხელის აღებას". რუსეთის რევოლუციის გავლენის პროტესტის ტალღებმა გადაუარეს მეზობელ სახელმწიფოებს. გააქტიურდა ანტიკოლონიალური მოძრაობა.

მეორე მსოფლიო ომმა დამარხა ვერსალის სისტემა. რუსეთმა ძირითადი სიმძიმე ომისა საკუთარ მხრებზე გადაიტანა. თუმცა ომიდან ის სამხედრო-სტრატეგიული და გეოპოლოიტიკური თვალსაზრისით გაცილებით ძლიერი გამოვიდა ვიდრე ომამდე იყო. პირველად რუსეთის ირგვლის შეიკრიბა ძლიერი გეოპოლიტიკური ბლოკი, რომლის დაშლა, როგორც იდეოლოგტიური ასევე საინფორმაციო იარაღისა და „მეხუთე კოლონიის" აქტიური ხელშეწყობით ნახევარი საუკუნე დასჭირდა.

გეოპოლიტიკური ველის პოცდამის ეპოქა იწყება 1945წელს. ბერლინის მახლობლად პატარა ქალაქში, მრგვალ მაგიდასთან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რითაც, განისაზღვრა ძალათა ახალი ბალანსი. აღნიშნულმა სისტემამ განსაზღვრა ახალი საზღვრები. ახალი

გეოპოლიტიკური სფეროების გადანაწილება. რეალურად პოცდამში გაირკვა, რომ მსოფლიო მრავალპოლუსიანი სისტემიდან ორპოლუსიან სისტემაზე გადავიდა: სსრკ და მისი მოკავშირეები რომლებიც წარმოადგენდნენ კონტინეტალურ ძალას და აშშ და მისი მოკავშირეები რომლებიც საზღვაო ძალა იყო.

ამ პოლუსებს შორის წინააღმდეგობებმა განსაზღვრა პოცდამის გეოპოლიტიკური ეპოქა. მისი მახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ წინააღმდეგობა ორ ბლოკს შორის ვითარდებოდა ცივი და ბირთვული ომების ბალანსირების ზღვარზე. ავიაციის გამუჯობესებით, სარაკეტო ტექნიკის შექმნით, კოსმოსური თუ ლაზერული ან სხვა იარაღის განვითარებით. ამ პერიოში პლანეტაზე არ დარჩენილა ადამიანის მიერ მიუსვლელი არცერთი წერტილი.

სსრკ-ს ეკონომიკამ ბოლომდე ვერ გაუძლო უახლოეს გამოგონებებს, ხოლო ქვეყნის ლიდერებმა ვერ გააცნობიერეს ქვეყანაში ტექნოლოგიზაციის მოდერნიზების აუცილებლობა. 1992წ. სსრკ-ს დაშლასთან ერთად მსოფლიოს პოცდამის სისტემაც დაიმსხვრა.

გეოპოლიტიკური ველის ბელოვეჟის ეპოქა ხასითდება ახალი ბურჟუაზიული სახელმწიფოების წარმოქმნით; პირველყოვლისა სსრკ-ს ირგვლივ „ხავერდოვანი" რევოლუციების და კონტრევოლუციების გზით.

მსოფლიოს ახალი ბატონები აყალიბებენ ახალ მსოფლიო წესრიგს. ისინი ძირითადად ეყრდნობიან ვერსალის სიტემის იდეს, რომლის მიხედვითაც რუსეთისათვის მზის ქვეშ ადგილი არ მოიძებნება. ამ სისტემის წინააღმდეგობრივი პოლიტიკა მიმართული იქნება ასევე ჩინეთის, ისლამური სამყაროს და ინდოეთის მიმართ. პერსპექტივაში, თუ რა თქმა უნდა რუსეთი არ „მოფხიზლდება" ის უკეთეს შემთხვევაში ნახევარკოლონიის როლში აღმოჩნდება. ხოლო უარეს შემთხვევაში მას დაშლიან რამოდენიმე ბანტუსტანად. დასავლეთის განვითარებული ქვეყნები – „ოქროს მილიარდის" ქვეყნებიმართალია ნელა მაგრამ იწყებენ მისი გეოპოლიტიკური სხეულის სისტემატურ ჯიჯგნას.

ლექცია 6

გეოპოლიტიკური სცენარები

გეოპოლიტიკური სცენარების ფორმირების **მიზანი** - ოპტიმალურ ქმედებათა მოძიება, მოვლენათა შესაძლო განვითარების კვლევების საფუძველზე სასარგებლო პოლიტიკურ-ეკონომიკური ალტერნატივების გამოვლენა, აუცილებელ ღონისძიებათა დაგეგმვა და ჩანაფიქრების რეალიზაციაა. რაც სხვადასხვა დარგებში: ფილოსოფიის, სოციოკულტურის, ეკოლოგიის, ეკონომიკის, დემოგრაფიის, ეთნოგრაფიის და ა. შ მიღებული კომპლექსური ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი.

გეოპოლიტიკურ სცენარებს ნომინალური სახე აქვს, რომელშიც რეალობა, იზოლირებული ორგანიზმი - **სახელმწიფოა**, ის მძიმე და რთულ ბრძოლას აწარმოებს გადარჩენისათვის, ხოლო მთელი ეს ცივილიზაციური სუპერსისტემა - საერთაშორისო სამართალი, „ახალი მსოფლიო წესრიგი“, ერთიანი საერთო საკაცობრიო ინტერესები და ა.შ. - კონვენციალისტური მოჩვენებითობაა.

გეოპოლიტიკური „ეგზისტენციალიზმი“ სახელმწიფოებისა და ხალხის **მარტოობას** მოითხოვს, სადაც დომინირებული მსოფლშეგრძნება **შფოთვაა.** მას არ სწამს არავითარი ცივილიზაციური გარანტიების: მსოფლიოში არ არსებობს გარანტია, რადგან მასში <u>სახელმწიფო ინტერესთა</u> შეტაკებებია გაბატონებული.

მრავალრიცხოვანი სცენარების შემუშავების აუცილებლობა დინამიურად ცვლად პოლიტიკურ სამყაროში **ინტერესთა** არსებობით აიხსნება.

<u>სახელმწიფოებრივი ინტერესებით დეტერმინირებული</u> **გეოპოლიტიკური მიზნები** - სტრატეგიული ტერიტორიების დაკავება და საერთო გეოპოლიტიკური გავლენის ზონების ფორმირებაა. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის ინიციატორი, გერმანია იყო, რომლის მთავარი მიზანი ევროპაზე ჰეგემონობა და მოწინააღმდეგეთა კოლონიების ხელში ჩაგდება იყო, იგივე მიზანი ამოძრავებდა ომის დანარჩენ მონაწილეებსაც. ანტანტის მხარეს ომში ჩართვით - რუსეთი ცდილობდა პოზიციების გამყარებას ბალკანეთზე, ხოლო კონსტანტინოპოლის აღებით თავისი ოცნების ასრულებას ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელების გაკონტროლებას.

გეოპოლიტიკური სცენარების შემუშავების **ამოსავალი** კრიზისის დაძლევა ან ძალთა სასურველი ბალანსის შექმნაა. გეოპოლიტიკური კრიზისები იყოფა:

მასშტაბების მიხედვით

კრიზისი	**მაგალითი**
მსოფლიო	ორი ან მეტი სახელმწიფოს ინტერესთა დაპირისპირება: სსრკ-აშშ.
რეგიონალური	რამოდენიმე სახელმწიფოს ინტერესთა დაპირისპირება, ერთ-ერთი სახელმწიფოს მონაწილეობის შესაძლებლობით: თურქეთი-საბერძნეთი.
შიდა სახელმწიფოებრივი	გეოპოლიტიკური მნიშვნელობა კრიზისს მხოლოდ ბირთვულ სახელმწიფოებში გააჩნია: რუსეთი-ჩეჩნეთი.

ურთიერთობების მიხედვით

კრიზისი	მაგალითი
სახელმწიფოთშორისი	ბირთვული სახელმწიფოს მონაწილეობით
ერებს შორის	რამოდენიმე უცხო სახელმწიფოებში მცხოვრები ერის მონაწილეობით: ქურთები, ბასკები
რელიგიურ-ეთნიკური	ეროვნული ჯგუფები - მსოფლიო რელიგიების ექსტრემისტული მიმდინარეობების მხარდამჭერები: „ხამასი“, „ტამილის ვეფხვები“ და ა.შ.

შინაარსის მიხედვით

კრიზისი	მაგალითი
სტატიკური	„დაკონსერვებული“ ან გაჭიანურებული კრიზისები. მაგალითად, კორეის ნახევარკუნძულზე.
დინამიური	ვითარების სწრაფი ცვლით: იუგოსლავია.

ხარისხის მიხედვით

კრიზისი	მაგალითი
სისტემურ-სტრუქტურული	ზოგიერთი ანალიტიკოსები, საუბრობენ კრიზისზე, რომელსაც ჩინეთში პოლიტიკური სისტემასა და საბაზრო ეკონომიკაში არსებული წინააღმდეგობები გამოიწვევს; ასევე, მაგალითად შესაძლებელია მოვიყ-ვანოთ სსრკ.
სიტუაციური	მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ვალუტის დევალვაცია, ნავთობის პრობლემები და ა.შ.

პროგნოზის შესაძლებლობის მიხედვით

კრიზისი	მაგალითი
პერმანენტული	ჩინეთი-ტაივანი.
მოულოდნელი	1972 წელს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შესახებ ხელშეკრულებიდან აშშ-ს გასვლის პრობლემა.

ხანგრძლივობის მიხედვით

კრიზისი	მაგალითი
გრძელვადიანი	პალესტინა ისრაელის დაპირისპირება; ოლსტერის პრობლემა.
საშუალოვადიანი	აშშ-ს ჩარევა ვიეტნამში, ხოლო სსრკ-ს - ავღანეთში.
მოკლევადიანი	ჩრდილოეთ და სამხრეთ იემენის დაპირისპირება.

გეოპოლიტიკურ სცენარებში მნიშვნელოვანი მსგავსი კრიზისების დაძლევაა სადაც შინაარსის შესაბამისად ყურადღება ექცევა მონაწილეებს, მათ უფლებებს, საკითხის დასმას, ორგანიზაციულ გადაწყვეტილებასა და დროებით შეზღუდვებს. გეოპოლიტიკა როგორც თეორია, გლობალური ხასიათის პრობლემების გადაჭრას ემსახურება.

„ისტორიის გამოწვევებიდან“ **გლობალური** ხასიათი შეიძინეს:

კრიზისი	**მაგალითი**
ცივილიზაციური	ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ წყობაზე გადასვლა, რასაც ნაციონალური ეკონომიკა გლობალურ ეკონომიკაში მსხვრევამდე, სოციალურ დისკრიმინაციამდე მიჰყავს. ხალხი კი ფსიქოლოგიურ დისკომფორტამდე, რაც მოძველებული პროფესიებით არის განპირობებული.
ნაციონალური	მრავალერიან სახელმწიფოებში კონფესიური და ეთნიკური დაპირისპირებების ზრდა.
ტექნოგენური	ტექნოსფეროს სულ უფრო მზარდი და ღია ზეწოლა ბიოსფეროზე - ეკოლოგიური კრიზისის ექსპორტირებით განვითარებული ქვეყნები მას სულ უფრო მაშტაბურ ხასიათს ძენენ.
ინფორმაციული	გამოწვეულია გლობალური ინფორმაციული ექსპანსიით, რომელიც ანადგურებს ეროვნულ კულტურას.
საერთაშორისო	ცივი ომის შედეგების შესაბამისად სამყაროს ხელახალი გადანაწილების სურვილი; საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში დომინირება.

სცენარი ორ მთავარ პრინციპზე იგება, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მახასიათებლებით. სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით სცენარებში ანალიტიკოსები ითვალისწინებენ **სტაბილიზაციურ** და **დესტაბილიზაციურ** პროცესებს. სტაბილიზაციურ გეოპოლიტიკურ მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს „მარშალის გეგმა“ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთი ევროპის ქვეყნებისათვის ან საბჭოთა კავშირის დახმარებები აღმოსავლეთ ევროპის ახალი სოციალისტური ქვეყნებისათვის. შევნიშნავთ, რომ სტაბილიზაციური სცენარები პლანეტარულ და ცივილიზაციური ხასიათის მატარებლები არიან, მასთან შედარებით დესტაბილიზაციური სცენარებში აქტორი უფრო შეზღუდულია.

შესაძლო გეოპოლიტიკური სცენარი მოიცავს სტაბილიზაციის პროცესს მონოცენტრისტულ ან მრავალპოლუსიან მსოფლიოში.

სტაბილიზაციის მიმართულება	**ღონისძიებები**
ეკოლოგიური	ღონისძიებები, რომლებიც სტიმულს აძლევენ სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას და ხელს უწყობენ მსუბუქი და ეფექტური სამრეწველო ტექნოლოგიების შექმნას. ადამიანისა და ბუნების ურთიერთობების ჰარმონიზაციას.
ეკონომიკური	განვითარების ტემპების შენარჩუნება ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობით.
სამხედრო-სტრატეგიული	საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ძალთა უსაფრთხო ბალანსის შექმნა.
სოციოკულტურული	ნაციონალური კულტურების პროტექციონიზმი ან ერთიანი სულიერი

	სივრცის ფორმირება.

დესტაბილიზაციისაკენ სწრაფვა, როგორც წარსულში მსხვილი გეოპოლიტიკური აქტორების გამოცდილება აჩვენებს, საკმაო შედეგების მომტანია. მაგალითად აშშ „ცივი ომის“ პერიოდში სსრ კავშირთან დაპირისპირებისას მუდამ მხარს უჭერდა დესტაბილიზაციურ პროცესებს. ამის მაგალითია „გამალებული შეიარაღება“, რომელშიც სსრ კავშირი დამარცხდა და იდეოლოგიური ომი, რომელსაც ცენტრალური დაზვერვის სამმართველო აწარმოებდა. მასშტაბური გეოპოლიტიკური მოქმედებების სცენარის შემუშავება შესაძლებელია ყველაზე მარტივი აქსიომებითაც, მაგალითად, „გსურს მშვიდობა - ემზადე ომისთვის“ და „ბრძოლა ყოველივეს დასაწყისია“. ეს ძველი სიბრძნეები პოლიტიკური თანასწორობის უსუსურობის ნათელი დადასტურებაა. მისი ეფემერული შინაარსი დისკრედიტაციას უწევს სამუდამო მშვიდობის იდეას და დესტაბილიზაციის აუცილებლობაზე მიანიშნებს. სამუდამო მშვიდობის იდეის უარყოფა ნიშნავს გლობალური კონფლიქტების გაჩაღების შესაძლებლობას. ევრაზიის სახელმწიფო-გარანტორების მთავარი ამოცანა თანასწორობის ოპტიმუმის მოძიებაში და ჩრდილოეთი ევროპა-სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა დიაგონალის მონაკვეთზე მის შენარჩუნებაში მდგომარეობს. ამ სცენარებში სამართლიანი იქნებოდა ჩელენის, ჰაუსჰოფერისა და ჰოლისტური თეორეტიკოსის მიშელ ჟობერის გეოპოლიტიკური თეორიების რესურსთა გამოყენება. მაგრამ სარგებლის მიღების იმედით არაევრაზიული სახელმწიფოების ინტერესებში გეოპოლიტიკური არასტაბილურობა აღნიშნულ რეგიონში გაცილებით მნიშვნელოვანია. ამის ნათელ დასტურად შეიძლება ჩაითვალოს მოვლენების განვითარება იუგოსლავიაში.

ბოლო პერიოდში სცენარებს შორის ყველაზე წარმატებით „მონდეალიზმის“ გეოპოლიტიკური პროექტი ხორციელდებოდა, რომლის არსი დედამიწის ზედაპირის ერთიან სივრცედ გარდაქმნაში მდგომარეობს, რომელიც ამერიკული ცენტრიდან იმართება. პროამერიკული, „ატლანტიკური“ დიდი სივრცის პროექტი ითვალისწინებს Pax Americana-ს ან ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას ერთიანი მსოფლიო მთავრობით - რაც არსებითად სინონიმებია.

სამხედრო ასპექტებში გეოპოლიტიკურ სცენარებზე უნდა აღინიშნოს, რომ მისი ძირითადი ნიშნები უსაფრთხოების კონსტიტუციურად დაფიქსირებულ ფორმებში, ჰეგემონობასა და ლიდერობისთვის აუცილებელ სხვადასხვა კონფიგურაციებში მდგომარეობს. მსოფლიო ისტორიაში მომხდარი მოვლენების ყველა სქემა, პრაქტიკულად თავს მუდმივი შიშისა და კვლავ განმეორების შესაძლებლობით ავლენს: გამალებული შეიარაღება, ორმხრივი შეკავება, სამხედრო ალიანსები, დიპლომატიური სვლები, სტრატეგიული დაგეგმვა, სახელმწიფოს ღირსებასა და იმიჯზე ზრუნვა, მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი და ძალთა სასურველი ბალანსის შენარჩუნება. და ბოლოს - ომი.

ძალთა ბალანსი. ომი ათენსა და სპარტას, რომსა და კართაგენს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის XVII-XVIII საუკუნეებში, ნაპოლეონსა და დანარჩენ ევროპას შორის XIX საუკუნეში,

გერმანიასა და ბრიტანეთს შორის საფრანგეთ-პრუსიის 1870 წლის ომის შემდეგ და დაპირისპირება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის XX საუკუნის 50-80-იან წლებში, შესაძლებელია აიხსნას მუდმივად ცვლადი ძალთა ბალანსის დროს მნიშვნელოვანი ფაქტორის - პოლიტიკური საფრთხის არსებობით.

გეოპოლიტიკაში **სამხედრო ფაქტორი** პირველყოვლისა ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში სხვა მიზნების რეალიზების შემაკავებელ ფუნქციას ასრულებს, სადაც ამოცანებისა და პრიორიტეტების ფორმირება მარტივად ხდება. ძალის გამოყენების პროგნოზირება გეოპოლიტიკურ ანალიზში ნაკლებად მნიშვნელოვანია და მას რეალური შედეგების მოტანა არ შეუძლია. გლობალურ გეოპოლიტიკურ სივრცეში სამხედრო ძალის გამოყენება შესაძლებელია განხილული იქნეს როგორც არაინსტრუმენტული საშუალება, რამეთუ, ჯერ ერთი, სამხედრო ფაქტორი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფუნქციონალური თვასაზრისით ძალის გამოყენებიდან ძალის გამოყენების საფრთხისაკენ, და აქედან კი გაკონტროლებამდე სხვადასხვა ეტაპების აღრევის ეფექტს განიცდის. აღნიშნული სცენარის განხორციელების ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აძლევს საშუალებას საკუთარი სამხედრო-ტექნოლო-გიური ძლიერება სახელმწიფოს გააკონტროლოს ერთი ოპონენტი, ან ოპონენტთა ჯგუფები. მეორე, მსოფლიოს მრავალპოლუსიანი გეოპოლიტიკური რუკის ცვლილება ისეთია, რომ ძალის გამოყენება ზესახელმწიფოს არათუ უფუჭებს რეპუტაციას, როგორც ეს მოხდა აშშ-ს სომალის შემთხვევაში 1991წ., არამედ მოითხოვს მომეტებულ ფინანსურ დანახარჯებს მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად. მესამე, თანამედროვე ცივილიზაციის ინფორმაციული კვება ისეთ დონეზეა, რომ ნებისმიერი სამხედრო ტიპის აქცია სხვა გეოპოლიტიკურ სუბიექტების ეროვნული ინტერესებისათვის საგრძნობი ზარალის მომტანია, მაგალითად, გაეროს დროშით აშშ-ს აქციამ იუგოსლავიაში სერიოზული ზარალი მიაყენა რამოდენიმე სხვა სახელმწიფოს.

ლექცია 7

გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა

1. გეოეკონომიკის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება
2. სივრცის ეკონომიკური და პოლიტიკური ლოგიკა
3. სივრცის ეკონომიკური ფაქტორები XX-XXI საუკუნეში
4. სახელმწიფო სუვერენიტეტი და ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი

გეოპოლიტიკა აანალიზებს ურთიერთობებს homo politics-ა და სივრცეს შორის. ეს დისციპლინა რა თქმა უნდა ითვალისწინებს სივრცობრივი ფაქტორების გავლენას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ურთიერთობებზე – პოლიტიკურ სფეროში.

XX საუკუნის დასასრულს გეოპოლიტიკაში წარმოიშვა ახალი მიმდინარეობა – გეოეკონომიკა. სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე ის სწავლობს ურთიერთზემოქმედებას homo economicus-სა და სივრცეს შორის: ანუ სივრცობრივი ფაქტორების ზემოქმედებას წარმოების და საქონლის განაწილების სფეროზე. ეკონომიკური ოპერაციებისათვის სივრცის გამოყენებას.

მსგავსი ფორმულირება საშუალებას იძლევა, ვამტკიცოთ, რომ მრავალი ცნობილი მკვლევართაგანი, გაუცნობიერებლად, უნებლიედ ადრეც სწავლობდა გეოეკონომიკის საკითხებს. თუნდაც ფრანგი მეცნიერი ჟურდენი რომელიც ყოველივე ამის შესახებ წერდა თავის პროზაში, თან ისე, რომ არც კი აცნობიერებდა მას ამ მიმართებით. ცნობილი შოტლანდიელი ეკონომისტი ადამ სმიტი (1723-1790) „ბუნებისა და ხალხის სიმდიდრე"-ს ავტორი (1770), თავის გამოკვლევაში პრიორიტეტს შრომის განაწილებას ანიჭებდა (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე). თუმცა ის პრაქტიკულად არ საუბრობს სივრცობრივი რეალობებით (ადამიანური და ბუნებრივი რესურსების სივრცეში არათანაბარ განაწილებაზე; სიმდიდრეთა პოლუსების ლოკალიზაციაზე).

გეოეკონომიკა ჩამოყალიბდა – გეოგრაფიის, ისტორიისა და ეკონომიკის სინთეზის შედეგად. რომლის ფუძემდებლად აღიარებულია ბერნარ ბროდელი (1902-1985) – ისტორიკოსი, გეოეკონომისტი.

გეოეკონომიკის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბება განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

1. ურთიერთდამოკიდებულების ზრდამ: სავაჭრო ქსელების წარმოქმნამ, ტელეკომუნიკაციების განვითარებამ, თუ ამ წყაროთა ინტენსიფიკაციამ, კერძოდ, „არამატერიალური" (ისეთები, როგორიცაა ინფორმციათა მოზღვავება თუ კაპიტალის გადაადგილება), ხელი შეუწყო „გეოგრაფიის (ძველი გაგებით) დასასრულს". დრო და სივრცე აღარ წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მალე წარმოიშვა „ახალი (ახალი გაგებით) გეოგრაფია" რომელიც უაღრესად მობილური აღმოჩნდა და რომელიც ეკონომიკური იმპულსებით იკვებება. ყოველივე ამის შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი მიმართულებები: გეოეკონომიკა, გეოფინანსები, გეოინფორმაცია, გეოტექნოლოგია...

2. რკინის ფარდის მსხვრევამ, კომუნისტურმა ექსპერიმენტებმა: XX საუკუნეში, მსხვილმა იდეოლოგიურმა კონფლიქტებმა (ლიბერალიზმს, ფაშიზმს და კომუნიზმს შორის 1918-დან 1945წწ-მდე; პლურალისტურ დემოკრატიასა და კომუნიზმს შორის 1945-დან 1989წ.-მდე) ხელი შეუწყო პოლიტიკურ-სტრატეგიულ ელემენტების (შეიარაღებული ძალები, ბირთვული არსენალები) სახელმწიფოს სიძლიერის მნიშვნელოვან კრიტერიუმებად ქცევას. XXს. დასასრულს ვე ვიტყვით, რომ იდეოლოგიური ხასიათის კონფლიქტები ისტორიას ჩაბარდა (არსებობს დასავლური ფასეულობების მომხრეებსა და ისლამისტებს შორის შეჯახების მაღალი რისკი, აგრეთვე დემოკრატიულ პრინციპების მაღიარებლებსა და ნაციონალისტებს შორის), მსგავსი კონფლიქტები ვლინდება სხვადასხვა ფორმებში.

3. საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტების არაერთგვაროვნებამ: სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო საქმეებში ერთსულოვანი არასდროს ყოფილან. ყვედა დროში ცალკეული პირობები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობები, არასახელმწიფო ინსტიტუტები, ისეთები როგორიცაა ეკლესია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საეთაშორისო ურთიერთობათა ხასიათზე. XX საუკუნეში განვითარდა კიდევ რამოდენიმე ახალი ტენდენცია: საზღვრების გახსნა და სახელმწიფოთა კონტროლის შესუსტება. კოლექტიური და ინდივიდუალური კონტროლის დამყარება საერთაშორისო ბაზარზე, კერძოდ ფინანსურ ბაზარზე. ემ ტენდენიათა ურთიერთზემოქმედების შედეგად შეიქმნა ანარქიული ეკონომიკური სამყარო, სადაც საზღვარი აკრძალულსა და ნებადართულს შორის, არალეგალურსა და კანონიერს შორის არაეთსახოვანია. გეოეკონომიკა მოითხოვს ბაზრის მონაცემთა ანალიზსა და სისტემატიზაციას, რადგანაც შესაძლებელია სახელმწიფოს, საკუთარი პრეროგატივების შენარჩუნების კვალდაკვალ, გაბატონებული სუბიექტის მხრიდან დესტაბილიზაცია დაემუქროს

(ეს შესაძლებელია როგორც საწარმოოთაგან ასევე კორძო პირთაგან) რომლებიც თვითონ შორს დგანან სტაბილიზაციისაგან.

სივრცის ეკონომიკური და პოლიტიკური ლოგიკა

ეკონომიკა ისევე როგორც პოლიტიკა ადამიანის ყოფიერების შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკა შეისწავლის შექმნასთან, განაწილებასთან და ფასეულობათა მოთხოვნილებასთან დაკავშირებულ საკითხებს; ეკონომიკის თვალსაზრისით სივრცე საკუთარ თავში მოიცავს წარმოებას (მიწები, მაღაროები, ქარხნები0 საქონლის გაცვლის გზებს, ბაზრების ძიებას და ა.შ. თავის მხრივ პოლიტიკის ინტერესები კონცენტრირდება ადამიანურ და კოლექტიური სტრუქტურების ურთიერთობათა ჩარჩოებში (ანტიკური ქალაქიდან – ეროვნულ სახელმწიფომდე; შესაძლებელია (მომავალში) მსოფლიო სახელმწიფომდეც).

პოლიტიკური სივრცე რადიკალურად განსხვავდება ეკონომიკურისაგან, რამდენადაც პირველს არ შეუძლია იარსებოს ბარიერების, მუდმივობის გარეშე. მეორე, პირიქით მუდმივ მოძრაობაშია და დამოკიდებულია საქონლისა და მოხმარების თუ მოთხოვნის ცვლადობაზე.

სივრცის ეკონომიკური ფაქტორები XX-XXI საუკუნეში

მსოფლიო ეკონომიკური სივრცე წარმოიშვა XX საუკუნემდე, რამდენიმე ხნით ადრე. მაგალითად 1890-1914 წლებში ასეთი სივრცე ჩამოყალიბებულ იქნა ევროპის (რუსეთის ჩათვლით) ირგვლივ, აგრეთვე აშშსა და იაპონიის თუ სამყაროს იმ ნაწილებში სადაც იმპერიოდისათვის დასავლეთის სახელმწიფოები იყანენ გაბატონებული. XX საუკუნის 30-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტი.

აქედან გამომდინარე, XX საუკუნის ეკონომიკური განვითარების სპეციფიკურობა განისაზღვრება რამოდენიმე ფაქტორით: ჯერ ერთი, მიმდინარეობს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების პროცესი ვაჭრობის, ინვესტირების, კაპიტალის გადაადგილების, ტექნოლოგიების გაცვლის სფეროში. მეორე, ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგები (სოფლის მეურნეობა, წარმოება-მომსახურება) მუშაობენ არა იმდენად და არა მარტო ეროვნული ბაზრების, არამედ საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. მესამე, ქვეყნების უმრავლესობა, საკუთარ მომავალს, საკუთარ არსებობას საკუთარ ტექნიკურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებს უკავშირებენ. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ

გეოეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიო ეკონომიკური სივრცე გამოირჩევა არაერთნვაროვნულობითა და ფრაგმენტულობით.

- მიმდინარეობს რამდენიმე სახელმწიფოს ერთიან ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის პროცესი, თუმცა მათ შორის არსებობს განვითარების არათანაბარი დონე. ესენია დასავლეთის განვითარებული ქვეყნები. მესამე სამყაროს განვითარებადი ქვეყნები, ყოფილი სოციალისტური ბანაკისს ქვეყნები, აზიისა და აფრიკის იმ ქვეყნების ჯგუფი რომლებიც ეკონომიკური პროგრესის ზღვარზე იმყოფებიან. ეს სახესხვაობა აირეკლება პლანეტარული ევოლუციის დინამიკაშიც, ერთიანობაში ისინი წარმოადგენენ როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ფაქტორებს. მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ერთიანობა მყარდება სხვა რამოდენიმე ფაქტორებითაც: განვითარების არათანაბრობა ქმნის არამარტო გადაულახავ სირთულეებს განსხვავებულ ზონებს შორის, არამედ აქტიურად გამოიყენება გაბატონებული სუბიექტების მიერ (სახელმწიფოები, საწარმოები და ფიზიკური პირები).

- ყველაფრის მიუხედავად არსებობას განაგრძობენ სახელმწიფოები, შესაბამისად სახელმწიფო საზღვრები. რა თქმა უნდა, არსებობს საკმარისი საშუალებები და რეალური სიტუაცია იმისა, რომ გაიხსნას ეს საზღვრები როგორც საერთაშორისო ვაჭრობისა და ტურიზმისათვის, აგრეთვე, სხვადასხვა სახის კაპიტალის გადაადგილებისა და თუნდაც ჭარბი ინფორმაციული წაყროებისათვის. მითუმეტეს სახელმწიფოები იტოვებენ საზღვრების საკანონმდებლო რეგულირების უფლებებს. ვიდრე იარსებებნ სუვერენული სახელმწიფოები, იარსებებენ საზღვრებიც, თუნდაც მათმა გადაკვეთამ არ შექმნას რაიმე სახის პპრობლემა – ევროპულმა ინტეგრაციულმა პროცესებმა აღნიშნული საკითხი ერთგვარად დაამოწმა კიდეც.

- 60-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპული საზოგადოება დაკავებულია საკუთარი საერთო საზღვრების დაკანონებით, რაც ერთიან საბაჟო ტარიფებშიც კი არის ასახული. ევროკავშირის დეკრეტი (მაასტრიხტი 1992 წლის 7 თებერვალი) ითვალისწინებს კავშირის წევრებს შორის საზღვრების გაუქმებას და თანამეგობრობის ერთიანი საზღვრის ფორმირებას.

- და ბოლოს, პლანეტარული ეკონომიკური ინტეგრაცია. ერთიანი ბაზრის იდეოლოგიას არ ძალუძს მოხსნას საზღვრები იქ, სადაც ეკონომიკა და პოლიტიკა უძლურია – მაგალითად, კულტურული და რელიგიური საზღვრები.

სახელმწიფო სუვერენიტეტი და ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი

სახელმწიფო ესაა – ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელიც პასუხიმგებელია საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. XX საუკუნის დასასრულს მა წინაშე დადგა საკმაოდ სერიოზული ამოცანა: როგორ შეინარჩუნოს ერთიანობა და თვით არსებობა საკუთარი ტერიტორიების ურთიერთუარყოფის რისკის ზრდის პირობებში (რუსეთი-კავკასია; საქართველო-აფხაზეთი-სამაჩაბლო).

სახელმწიფოებრიობის პოზიდიიდან, საგარეო „ტრადიციული" საფრთხე, მისი ტერიტორიების დატაცებაშია. შესაბამისად, ის მუდმივად მზად უნდა იყოს შესაძლო სამხედრო აგრესიას გაუწიოს წინააღმდეგობა. ამასთან, ნაციონალურობის იდეა, რომელზედაც (XVIIIს.) მოყოლებული ეფუძნება სახელმწიფო, შეინარჩუნოს უნდა თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა; ლიბერალურ-დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ეს ამოცანები არ გამორიცხავენ შერეულ ქორწინებებსაც. თუმცაღა, ახალმოსულები ან უნდა აითქვიფონ ერში (როგორც საფრანგეთში) ან უკეთეს შემთხვევაში დაემორჩილონ მათ (როგორც აშშ).

ტექნიკურ-ეკონომიკური პაექრობა აიძულებს სახელმწიფოს ახლებურად შეხედოს საკუთარ ტერიტორიებს. ამჯერად არ ვსაუბრობთ მის დაცვასა და სპეციფიკის შენარჩუნებაზე. პირიქით, აუცღილებელია მაქსიმალურად გაიხსნას ქვეყანა და უზრუნველყოს ის მომგებიანი პირობებით კონკურენტულ ბრძოლაში. ასე მაგ., საზღვარგარეთული ინვესტიციები, რომელიც მართალია ეროვნულ ეკონომიკას უქვემდებარებს უცხოურ კაპიტალს, ის მსოფლიო ბაზარზე ინტეგრირების გარანტია. სუვერენიტეტის ფუნდამენტალური ატრიბუტებიც კი (კანონმდებლობა, საგადასახადო პოლიიკა და განათლების სისტემა) ამ მიმართებით გადასინჯვას მოითხოვს.

სახელმწიფო რომელიც მიჯაჭვულია საკუთარ ტერიტორიას, უნდა შეეცადოს ის მაქსიმალურად მიმზიდველი გახადოს უცხოელისათვის. რასაც სახელმწიფო სტრუქტურათა ერთგვარ შიზოფრენიამდე მივყავართ. რომლებიც იძულებულნი არიან ერთდროულად დაიცვან და გახსნან საკუთარი საზღვრები. შეინარჩუნონ ეროვნული თვითმყოფადობა და ყოველივე ახალი მშვიდად მიიღონ.

გეოსტრატეგია

(გეოსტრატეგიული ტექნოლოგია)

1. სივრცის ტიპოლოგია: საყრდენი ქვეყნები;
2. გარდამავალი ტიპის ქვეყნები;
3. მეოამბოხე ქვეყნები
4. „წარუმატებელი" ჯგუფის ქვეყნები

ივრცის ტიპოლოგია, მსოფოლიო არბიტრის – ვაშინგტონის მიხედვით შესაძლებელია დავყოთ კატეგორიებად. თანამედროვე ეტაპზე ის 4 კატეგორიის ქვეყნებს აერთიანებს: საყრდენი, გარდამავალი მეამბოხე და წარუმატებელი ტიპის ქვეყნები.

საყრდენი სახელმწიფოები, ეს ის ქვეყნებია, რომელთაც გააჩნიათ განვითარებული დემოკრატია და აყვავებული საბაზრო ეკონომიკა. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ აშშ-სთან და აღიარებენ აშშ-ს მსოფლიო ლიდერობას. ვაშინგტონის ამჟამინდელი ადმინისტრაციის მოსაზრებით ამ კატეგორიის სახელმწიფოებს განეკუთვნება მთელი დასავლეთი ევროპა, იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ისრაელი და თურქეთი.

გარდამავალი კატეგორიის ქვეყნებად იწოდებიან ის ქვეყნები რომლებიც დემოკრატიზაციისა და თავისუფალი ეკონომიკის „სწორ გზას" ადგანან. ამ კატეგორიის ქვეყნები, დღეს მსოფლიოში, მრავლადაა. თუმცა მათი წარმატებები სხვადასხვაგვარია: აღმოსავლეთ ევროპა, განსაკუთრებით კი ნატოს ახალგაზრდა წევრი ქვეყნები – ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, აგრეთვე სლოვენეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები. ეს-ესაა პირველ კატეგორიაში უნდა გაადგილდნენ და ამით აისრულონ თავიანთი „სანუკვარი ოცნება" სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა (სინგაპური, ტაილანდი, მალაიზია); აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნები (ეგვიპტე, იორდანია ქუვეიტი),. ლათინური ამერიკის ქვეყნები მართალია, თითქოსდა დგანან პირველ კატეგორიასთან, რეალობაში, დემოკრატიულობითა და სოციალურ-ეკონომიკურობით შორს დგანან იდეალურობისაგან – პოლიტიკურ ცხოვრებაში ყვავის კორუფცია და ელიტიზმი, ნათესაურობა, ძალმომრეობა სამხედროთა მხრიდან. ეკონომიკა ამ ქვეყნებში სოციალური არათანასწორობის, დამნაშავეობის, ნარკობარონთა ძლევამოსილების, სასამართლო სისტემის უსუსურობისა და ა.შ. წყალობით არაბალანსირებული და არაპროგნოზირებადია. მაღალია ცალკეულ სფეროებში აფეთქებების რისკი. აფრიკის ქვეყნებში პირველკატეგორიაში გაერთიანების მცდელობები მხოლოდ

შეინიშნება. აშშ კი ამ პროცესების პერსპექტიულობას გულგრილად არ ტოვებს. დსთ-ს ზონის ქვეყნებს აშშ-ს მოსაზრებებით პერსპექტივა გაცილებით მეტიაქვთ.

მნიშვნელოვან ყურადღებას აშშ უთმობს სამი უდიდესი „გარდამავალი" ქვეყნის ევოლუციას – ჩინეთის, ინდოეთისა და რუსეთისას. აშშ-ში აღიარებენ, რომ ჩინეთმა მიაღწია გარკვეულ პროგრესს ეკონომიკაში, ინდოეთს აქვს საკმაოდ მყარი დჟემოკრატიულობის ელემენტები. რუსეთი კი რეფორმების მიუხედავად , ვაშინგტონის მიხედვით დღემდე ღრმა ეკონომიკურ კრიზისშია იქ გამეფებული კორუფციის წყალობით მას ბუნდოვანი პერსპექტივები გააჩნია. სავარაუდოდ მომავალში რუსეთი და ჩინეთი აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონის კონტრბალანსის როლს შეასრულებენ.

ყოველ შემთხვევაში, აშშ-ში ცდილობენ „გარდამავალი" ქვეყნები პირველი კატეგორიის სახელმწიფოებად აქციონ და ამერიკული გავლენის ზონაში მოაქციონ. ამ სტრატეგიული და ბევრ შემთხვევაში, ცალკეული გეგმის რეალიზებისათვის გამოიყენება მატერიალური დახმარებები, აგრეთვე პოლიტიკური და იდეოლოგიური ზემოქმედება. აქტუალურია ყველა სფეროში კონტაქტები. საჭიროების შემთხვევაში – დათანხმება და ზეწოლა.

„მეამბოხე" რეჟიმებად აშშ-ში მონათლულია ის ქვეყნები, სადაც უარყოფენ დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკას. არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, და რა თქმა უნდა მტრულად არიან აშშ-ს მიმართ განწყობილნი. „მეამბოხეთა" ამერიკულ სიაში ფიგურირებენ: ერაყი, ირანი, ლიბია, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, იუგოსლავია, სუდანი, ნიგერია. ამ კატეგორიას განეკუთვნება (რატომღაც) ბელორუსია. ამ ტიპის (კატეგორიის) ქვეყნებთან აშშ მზადაა „იბრძოლოს" რათა მოცემული მიმართულებით – გატეხოს „მეამბოხე" რეჟიმები და ისინი „გარდამავალი" ქვეყნების კატეგორიათა რელსებზე გადაიყვანოს. ამასთან, ის (აშშ) მზადაა, თუკი ამის საჭიროება შეიქმნა იმოქმედოს დამოუკიდებლად გაეროს შესაბამისი რეზოლუციის გარეშე.

„წარუმატებელი" კატეგორიის ქვეყნებს აშშ მზადაა დაეხმაროს. მაგრამ, პირველყოვლისა ის წყალობს იმ სახელმწიფოებს რომლების პირველი კატეგორიის ქვეყნების მნიშვნელოვანი ინტერესების ზონას წარმოადგენენ. ამ ეტაპზე ესენი არიან: ალბანეთი და ბოსნია.

ინფორმაციული ომი

ინფორმაციული ომი (ინფორმაციათა მოძიება: დაზვერვა, კოსმოსური მონიტორინგი და სხვ. საიფორმაციო ბრძოლა: რადიოელექტრონული მარწუხი, დეზინფორმაციის ინფილტრაცია და სხვ.). და ინფორმაციული უსაფრთხოება: (საინფორმაციო მასკირება: ინფორმაციის

დამცველი სემანტური გარდაქმნები, ფართოპოლუსიანი ინფორმაციული სიგნალების გამოყენება და სხვ. ინფორმაციული თავშესაფარი: რადიო-ელექტრონული უსაფრთხოება, მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებთან დაშვების შეზღუდვა და სხვ.) სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში დაპირისპირებულ, მებრძოლ სისტემებს შორის საინფორმაციო ომის ძირითად შინაარს უნდა მოიცავდნენ. აღნიშნული ღონისძიების მიზანია მოწინააღმდეგე მხარის ინფორმაციულ-სტრატეგიული რესურსების დამსხვრევა-ნეიტრალიზირება.

ინფორმაციული ბრძოლა საომარ პერიოდში (საინფორმაციო ომი) – საინფორმაციო აგრესიის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც მიმართულია ეკონომიკის (ინფორმაციულობის) დესტაბილიზაციის, დეზინფორმაციის, დეზორიენტაციისა და მოწინააღმდეგე ჯარების დეზორგანიზაციისაკენ.

დღეს-დღეობით აშშ აღნიშნული მეთოდით გეოპოლიტიკურ სფეროში ცდილობს დაახლოებით 200-მდე სახელმწიფოს გაკონტროლებას რომელიც 6 მილიარდიან ადამიანურ რეზერვს შეადგენს. მაგრამ არსებობენ ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებიც ამერიკულ კონტროლს არამარტო წინააღმდეგობას უწევენ, არამედ ცდილობენ თვითონ ჩამოყალიბდნენ ლიდერებად და შეასრულონ ძალათა ცენტრის ფუნქციები.

კრიზისული ქვეყნების „დასჯის" მიზნით, აშშ ცდილობს აამოქმედოს სხვადასხვა მექანიზმები – „სანიტარული კორდონები". ისტორიაში ვიცნობთ მსგავს პრეცენდენტებს. მაგ., ინგლისი რომელიც ცდილობდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კონტინენტზე „სანიტარული კორდონის" თუ კორდონების შექმნას. „სანიტარული კორდონი" ესაა ცალკეული ხალხითა და სახელმწიფოებით შემდგარი განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც განლაგებულია ორ მსხვილ გეოპოლიტიკურ წარმონაქმნს შორის და რომელთა კავშირი ან გაერთიანება (რაიმე ნიშნით) საფრთხეს უქმნის დაინტერესებულ სახელმწიფოს (ადრე ინგლისს, ეხლა აშშ). „სანიტარული კორდონი" როგორც წესი, ერთდროულად წარმოადგენს ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტის ძირითად მიზეზს. მითუმეტეს როცა მათი გეოპოლიტიკური ინდივიდუალურობა დე-ფაქტო შეუძლებელია. ამიტომ ისნი იძულებულნი არიან ემებონ ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა სხვაგან. მაგალითად პოლონეთი მეორე მსოფლიო ომის წინ.

დღეისათვის მსოფლიოში შეინიშნება ცვლადი ძალათა ბალანსი. NATO-ს გაფართოება რუსული მხარის სტრატეგიული შეცდომების შედეგია. რუსეთი არსებითად განსხავებული ლოგიკით მოქმედებს, რაც ასევე ბუნებრივია. მოსკოვი დარწმუნებული იყო, რომ „ცივი ომის" დასრულების შემდეგ მსოფლიო შეინარჩუნებდა ბიპოლარობას. შეიცვლებოდა მხოლოდ ის, რომ

ორი პოლუსი შეწყვეტდა „კონფლიქტს" და მეგობრული ტანდემით დაიწყებდნენ სამყაროს მართვას. აღმოჩნდა, რომ აშშ-ს სულაც არ სურს არსებული ბალანსის შენარჩუნება, ის იჭრება რუსეთისათვის ტრადიციულად არსებულ გავლენის სფეროში და მკვიდრდება იქ.

1970-1980წწ. გეოპოლიტიკური წარმატებების თვალსაზრისით, აშშ-სათვის საკმაო ნაყოფიერი აღმოჩნდა:

1. აშშ დაუახლოვდა ჩინეთს (1972წ), რითაც ფაქტობრივად გარღვეულ იქნა ევრაზიის კომუნისტური სარტყელი;

2. სსრ კავშირში დასრულდა ეკონომიკური აღმავლობა და დაიწყო უფსკრული ეტაპობრივი გაღრმავება დასავლეთსა და საბჭოეთიზირებულ მსოფლიოს შორის, რომლის გადალახვას სოციალისტური სამყარო მუდმივად ცდილობდა მაგრამ ამაოდ;

3. მოსკოვი ეტაპობრივად კარგავდა გავლენას; კომუნისტურმა იდეოლოგიამ დაკარგა პროგრესულობა;

4. სსრკ-მა დაკარგა აუცილებელი მობილიაციური რესურსი.

ლექცია 8

კონფლიქტები და ომები საერთაშორისო პოლიტიკაში

1. ომი და პოლიტიკა
2. ბირთვული ომი და ახალი პოლიტიკური აზრი
3. იდეოლოგიური შეჯახებიდან ცივილიზაციათა შეჯახებამდე

„გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის" – ამბობდნენ რომაელები.

ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ კენედის აზრით „კაცობრიობამ ბოლო უნდა მოუღოს ომებს, რამეთუ შესაძლებელია, რომ ომებმა ბოლო მოუღოს საკუთრივ კაცობრიობას" – რომელი ამათთაგნია მართალი, რთული სათქმელია.

ომი, ყოველთვის იმდენად ძვირი უჯდებოდა კაცობრიობას, მისი საუკეთესო წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ მოეძიათ მათი თავიდან აცილების გზები. რუსი გენერლის ფონ კლაუზევიცის განმარტებით (1780-1831) ომი ეს არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით. თანამედროვე ავტორების განმარტებით კი (გაჯიევი) ომი – ესაა პოლიტიკური მიზნების მიღწევის ფორმა შეიარაღებული ძალების მეშვეობით.

სხვათა შორის, 1812-13წწ. კლაუზევიცი რუსული არმიის სამსახურში იმყოფებოდა და ოფიცრის ფორმით იბრძოდა ბოროდინოსთან. იბრძოდა მამაცურად, რის გამოც დაჯილდოვებულ იქნა ოქროს „ოქროს ხმლით". მოგვიანებით 1818-1830წწ. იყო ბერლინის სამხედრო სასწავლებლის დირექტორი.

ამიტომ გასაგებია კლაუზევიცისეული განმარტება ომი – პოლიტიკის გაგრძელებაა. მართალია ომი და მშვიდობა განყენებული ცნებებია, ისინი საერთაშორისო საზოგადოების ქცევის ბუნებრივი გამოვლინებაა. უკანასკნელი 50 საუკუნის მანძილზე მშვიდობა დედამიწაზე მხოლოდ 3 ასწლელის მანძილზე გრძელდებოდა. ომების რიცხვი ამ დროის განმავლობაში 15 000 ეღემატებოდა, რომელშიც დაახლოებით 4 მილიარდი ადამიანია დაღუპული. მხოლოდ ევროპაში XVII ს-ში ომებმა 3 მლნ. ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ეს 231 ომში; XVIII ს-ში 703 ომში 5 მლნ. ადამიანი; XIX ს-ში 730 ომში 6 მილიონი; XX საუკუნეში გაჩაღებული 1150-მდე ომში 100 მლნ. ადამიანი.

საინტერესოა, რომ 256 წლის მანძილზე „გარდასულ წელთა მატიანე"-ში ჟამთააღმწერელი მხოლოდ ერთ წელზე წერს როგორც დიდ საოცრებაზე: „ომის გარეშე".

საინტერესოა რუსეთიდან რევოლუციის შემდეგ აშშ-ში ემიგრირებული მეცნიერის სოროკინის „ომის ინტენსივობის ინდექსი" – 8 ევროპული სახელმწიფოსათვის 9 საუკუნის მანძილზე (1100-1925). ინდექსი გამოითვლებოდა ისეთი მონაცემებით, როგორიცაა, ომის ხანგრძლივობა, შეიარაღებული ძალების გამოყენების მოცულობა, დაჭრილთა და დაღუპულთა რაოდენობით, ომში ჩართულ სახელმწიფოთა რიცხვით და ა.შ. შედეგად მან მიიღო შემდეგი სქემა:

XII	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX	XX
18	24	60	100	180	500	370	120	3080

1939-45წწ. საომარ მოქმედებათა საერთო ფართობმა 22 მლნ. კვ2 (სსრკ ფართობი) ან კიდევ 5 ჯერ უფრო დიდი ვიდრე I მსოფლიო ომი. ომის შედეგად დაიღუპა და დასახიჩრდა 110 მლნ. ადამიანი, დაიხარჯა 4 ტრილიონი დოლარი (აშშ).

კიდევ უფრო დამქანცველი აღმოჩნდა წინააღმდეგობები ორ ბლოკს შორის XX საუკუნეში. რუსეთში სოციალიზმმა მსოფლიო ლოზუნგებით გაიმარჯვა. ვარშავაზე შეტევის ბრძანებაში ტროცკი წერდა: „ამით, მშრომელ ხალხს ჩვენ მშვიდობას მოვუტანთ. წინ დასავლეთისაკენ! ვარშავაზე! ბერლინზე!".

ტროცკი უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამარცხების შემდეგ შეიარაღებული ძალების კორპუსის ინდოეთისაკენ მიმართვას მოითხოვდა – იმპერიალიზმის ზურგში. 1920 წ. ბუხარი საზოგადოებას იგივე „წითელი ინტერვენციისაკენ" მოუწოდებდა.

კაპიტალიზმი სოციალიზმს ისტორიის შეცდომად განიხილავდა, რომელიც ნებისმიერი საშუალებებით უნდა გამოსწორდეს. საკმარისია გავიხსენოთ ინტერვენცია, რომელმაც გარკვეულწილად გაამძაფრა სამოქალაქო ომი რუსეთში. ყოველი შემთხვევისათვის რუსი ავტორების უმეტესობა თვლის, რომ არა ინტერვენცია ჩრდილოეთში სამოქალაქო ომიც არ იქნებოდა.

მსოფლიოს პოლიტიკური ისტორია იცნობს სსრკ-ს განიარაღების ორ შემთხვევას:

1. 1920 წ.წ პირველი ნახევარი, რუსული არმია შემცირებულ იქნა 10-ჯერ;
2. 1932-34 წწ. განიარაღების მსოფლიო კონფერენციაზე სსრკ-მ გამოთქვა მზადყოფნა განიარაღების დაწყებაზე.

ომის შემდეგ პერიოდში აშშ-ში კვლავ ამოქმედდა პოპულარული ლოზუნგი: „უმჯობესია იყო მკვდარი ვინემ წითელი". „სსრკ ბოროტების იმპერიაა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სოციალიზმის გასანადგურებლად".

არც რუსეთში ჩამორჩებოდნენ: ხრუშოვი, რომელსაც ამერიკელები „ველური ბებერი დათვის – სტალინის, კუდთან გაზრდილ ცბიერ, სოფლელ ბანდიტს" ეძახდნენ ამბობდა: „რაკეტები საბჭოთა ქარხნებში ისეთივე სისწრაფით მზადდება, როგორც ძეხვი, ჩვენი რაკეტით შესაძლებელია კოსმოსში ბუზს მოხვდეთ..." 1956-დან 1960 წლამდე ხრუშოვი მსოფლიოს 37 ქვეყანას 119-ჯერ დაემუქრა სხვადასხვა სახის რაკეტებისა და ბირთვული იარაღის გამოყენებით.

სამხედრო-პოლიტიკური წინააღმდეგობანი აქტიური შეიარაღების ორბიტაში აქცევდა არაერთ ქვეყანას. დღეს-დღეობით სამხედრო ხარჯებისათვის მსოფლიოში დაახლოებით ტრილიონი დოლარი იხარჯება. დაახლოებით იმდენი რამდენიც მეორე მსოფლიო ომისას.

და ეს მაშინ, როცა მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილობს. ამასთან დაკავშირებით საინტქერესოა პაკისტანის პრეზიდენტის ბჰუტოს განცხადება: „ჩვენ გავიჭირვებთ, თავს ბალახით გამოვიკვებავთ, ბირთვული იარაღს კი დავამზადებთ".

მსოფლიოში ყოველწლიურად 1 სულ ჯარისკაცზე 20 ათასი დოლარიიხარჯება, მოსწავლეზე – 380; მსოფლიო სამხედრო არსენალი მილიონობით იარაღს მოითვლის. 1990 წლისათვის სსრკ ისრაღით ვაჭრობაში პირველი სახელმწიფო იყო.

1990 წელს სსრკ 17 მილიარდი დოლარის ოდენობის ექსპორტს ეწეოდა. 1992 წლისათვის ეს მაჩვენებელი 2 მლრდ. დოლარამ დე შემცირდა, ხოლო აშშ 35 მილარამდე გაიზარდა. დღეისათვის ეს მაჩვენებელი 5 რუსეთისათვის მილიარდ დოლარზე გაიყინა.

მიჩნეულია, რომ სსრკ-ში უკანასკნელ წლებში 60 000 ტანკი იქნა დამზადებული. ესაა ერთად ეს არის დანარჩენი მწარმოებელი ქვეყნების გამოშვებული პროდუქციის ჯამი ერთიანობაში. ამავე პერიოდში დამზადდა კალაშნიკოვის ტიპის 50 მილიონ ერთეულამდე ავტომატი. რიგ ქვეყნებში ამ ტიპის ავტომატებს აწარმოებენ ყოველგვარი ნებართვის გარეშე.

ქვეყნის მილიტარიზაცია აისახებოდა სამხედრო გენერლების რიცხვზეც. სსრკ-ში მათი რიცხვი 5 000 აღემატებოდა. მაშინ როცა, აშშ-ს 400 გენერალი ჰყავდა. გორბაჩოვის პერიოდში მათი რიცხვი შემცირდა. სწორედ ეს იყო აგვისტოს პუტჩის ერთ-ერთი მიზეზი. ხელისუფლებაში მოსულმა ელცინმა მათი რიცხვა კვლავ გაზარდა 4 000-მდე. და თუკი თვალს გავადევნებთ რამოდენიმე წელიაა უკვე რაც აქტიურად საუბრობენ მათ შემცირებაზე. თუმცა, რეალობაში სულ სხვა სურათია.

გენერლების ზენორმატიული რიცხვი რუსული არმიის სისუსტის ძირითადი მიზეზიცაა. ფრანგებს აქვთ ძალიან კარგი გამოთქმა: „გინდა გყავდეს კარგი არმია? ნუ ისურვებ პენსიას გენერლისათვის!"

თქვენ, როგორც მომავალ სახელმწიფო მოხელეებს, კადრებთან მუშაობის ერთ საინტერესო მაგალითს შემოგთავაზებთ: კელნის სიმფონიური ორკესტრი, დღეს-დღეობით ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ მსგავს შემოქმედებით ჯგუფებში. სწორედ აქ არსებობს მსახიობთა დათხოვნის საკმაოდ საინტერესო პრაქტიკა: პენსიას ღებულობს ის, რომელიც მასზე უკეთეს შემცვლელს აღზრდის (აღმზრდელის ასაკის მიუხედავად). პენსიონი კი იმდენივეა რამდენიც საკუთრივ მსახიობის ხელფასი.

წლების განმავლობაში მიმდინარე აქტიური შეიარაღების პროცესი 1980-90-იანი წლების მიწურულს განიარაღებითა და იარაღის ცალკეული სახეების განადგურებით დასრულდა.

ჯერ კიდევ 1955 წელს ეინშტეინ-რასსელის ცნობილ მანიფესტში, რომელიც დიდი სახელმწიფოების მეთაურებისათვის იყო განკუთვნილი, აღნიშნული იყო, რომ ბირთვული ენერგია ყველასაგან „ახლებურად აზროვნების სწავლას" მოითხოვს. ამ ახალი აზროვნების არსი კარგად ჩამოაყალიბა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ა. რაპორტმა, რომალმაც მჭერმეტყველურად დასძინა, რომ „ბირთვული ომი იქნებოდა პოლიტიკის დასასრული და არა მისი გაგრძელება". ახალი აზროვნების შედეგი გახდა:

- ✓ **1972 წლის შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების განსაზღვრის შესახებ;**
- ✓ **ეთანხმება საშუალო და მცირე რადიუსის მოქმედების რაკეტების შემცირების შესახებ;**
- ✓ **შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების 50%-მდე შემცირების შესახებ.**
- ✓ **შეთანხმება ქიმიური ტიპის იარაღის განადგურების შესახებ;**
- ✓ **შეთანხმება ბირთვულ იარაღზე უარის შესახებ (უკრაინა 4356 ბირთვული ბოეგალოვკი), (ბელორუსია 1222) (და ყაზახეთი 1790);**
- ✓ **2002 წლის შეთანხმება ბირთვმატარებელთა 3-ჯერ შემცირების შესახებ.**

სამხედრო მზადება, ომები, იმდენად ძვირი უჯდებოდა ადამიანს, რომ მისი საუკეთესო წარმომადგენლები ყოველმხრივ ცდილობდნენ აეხსნათ მისი აუცილებლობა. ნაკლებად დამაჯერებელია, ჩემი აზრით, ამერიკელი პოლიტოლოგისა და სოციოლოგის – ჰარი ბარნესისა და ფენნეტ უოლტცის მოსაზრებები.

ომის მიზეზებს ისინი სამ ჯგუფად ჰყოფენ:

1. ომი, როგორც ადამიანის ბუნების გამოხატულება გამომდინარეობს ეგოიზმიდან, აგრესიული იმპულსებიდან და ადამიანური სისულელეებიდან. სხვა დანარჩენი მიზეზი აღნიშნულთან შედარებით მეორეხარისხოვანია

რეალურად, მიჩნევა იმისა, რომ თითქოსდა ადამიანი ბრძოლით საკუთარი ბუნების წინააღმდეგ მოქმედებს, არც თუ ისე პროდუქტიულია. თუმცაღა არ შეიძლება ყური არ ვუგდოთ ჟან ჟაკ რუსოს შენიშვნას, რომელიც თვლიდა, რომ ომში მონაწილეობენ არა ადამიანები, არა მოქალაქეები არამედ ჯარისკაცები, რომლებიც „სახელმწიფოს ნივთებს" წარმოადგენენ. და აქ მე ვეთანხმები რუსოს იმიტომ, რომ საკმაოდ ვიცნობ მათ ფსიქოლოგიას. ის ვინც ჯარისკაცი იყო თვითონვე იპოვის განსხვავებას მოქალაქესა და ჯარისკაცს შორის.

2. მიზეზთა მეორე ჯგუფი სახელმწიფოში იმალება, ასე მიიჩნევა მეცნიერებაში. ქვეყნის შიგნით არამდგრადობა და არეულობა სახელმწიფოთშორისი ომების მიზეზი ხდება, ომი ასეთ ვითარებაში საზოგადოების კონსოლიდაციის საშუალებად განიხილება. გავიხსენოთ რუსეთ-იაპონიის ომი. თუნდაც ომი ჩეჩენეთში, გამარჯვებას დუდაევზე იქ, ცენტრის ავტორიტეტი უნდა გაემყარებინა.

3. მიზეზთა მესამე ჯგუფი საერთაშორისო ურთიერთობებს უკავშირდება. ანუ, როცა „მრავალი სახელმწიფოებით შემდგარ საერთაშორისო სისტემაში, თითოეული სახელმწიფო საკუთარ პრეტენზიებსა და ამბიციებს საკუთარი სურვილის შესაბამისად აფასებს, წარმოიშობა კონფლიქტი, რომელსაც ომამდე მივყავართ.

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის ბუნების, სახელმწიფოთა და სახელმწიფო სისტემების კარდინალერი ცვლილების შესახებ ბოლომდე ბოლომდე არაფერი ვიცით, ომის თავიდან აცილება უოლქცის მიხედვით შეუძლებელია.

ცნობილი რუსი აკადემიკოსი ე. პოზდნიაკოვი თავის წიგნში „პოლიტიკის ფილოსოფია" ზემოთაღნიშნულ სამ ჯგუფს მეოთხეს უმატებს: მსოფლიოში არსებობს შეუთავსებელ ფასეულობათა სისტემა.

ხალხი იწყებს თავიანთი თავის იდენტიფიკაციას არა სახელმწიფოებთან და ერებთან, არამედ კიდევ უფრო ფართო კულტურულ წარმონაქმნთან – ცივილიზაციასთან, რადგან ცივილიზაციური სახესხვაობა უფრო ფუნდამენტურია და ადამიანებს უფრო სიღრმისეულად ჰყოფს, ვიდრე ეთნიკური კუთვნილება. ადამიანი შეიძლება იყოს ნახევარფრანგი ან ნახევარარაბი ან კიდევ ორივე ამ ქვეყნის მოქალაქე (საფრანგეთი და ალჟირი).

უფრო რთულია იყო ნახევრადკათოლიკე და ნახევრადმუსლიმი

ხანტინგტონი გამოყოფს 6 თანამედროვე ცივილიზაციას: ინდუისტურ, ისლამურ, იაპონურ, მართლმადიდებლურ, ჩინურ და დასავლურ. ამათ შესავსებად შეიძლება დავასახელოთ კიდევ ორი – აფრიკული და ლათინოამერიკული. მსოფლიოს სამომავლო სახე დაკავშირებულია მათ ურთიერთობებსა და შესაძლო შეჯახებებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ველოდოთ ახალ წესრიგს, რომელშიც „მომდევნო მსოფლიო ომი, თუკი ის გაჩაღდება, იქნება ომი ცივილიზაციებს შორის, ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტები სავარაუდოდ, სწორედ ცივილიზაციების კვეთის წერტილებშია მოსალოდნელი".

იუგოსლავიის, კავკასიის, ტაჯიკეთისა და ავღენეთის კონფლიქტების ანალიზისას ჰანტინგტონი მივიდა დასკვნამდე, რომ დასავლეთი და ისლამური ქვეყნები უკვე ომის მდგომარეობაში არიან.

კიდევ ერთი სერიოზული საფრთხე აზიიდან გამოედინება. თუკი, ისლამური საფრთხე მილიონობით აქტიური მუსლიმის უმართავ ენერგია უკავშირდება, აზიური საფრთხე იქ არსებული წესრიგისა და დისციპლინის შედეგი იქნება, რომელიც ხელს უწყობს აზიური ეკონომიკის აყვავებას. ეკონომიკური აღმასვლა კი ამ რეგიონის სახელმწიფოებს კიდევ უფრო მატებს თავდაჯერებულობას.

აღნიშნული ამბიცია განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა ინდოეთისა და პაკისტანის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის შემდეგ. ეს აზიური ქვეყნები ჩინეთთან ერთად რიგი ექსპერტების აზრით XXI საუკუნის შუახანებისათვის ბირთვულ არსენალებით გაუთანაბრდებიან აშშსა და რუსეთს.

პროგნოზირებისას არსებითად განსხვავებული მიდგომა გააჩნია რუს გეოპოლიტიკოს კ. გაჯიევს. მისი აზრით XXI საუკუნეში არა ცივილიზაციური ომებია მოსალოდნელი, არამედ შიდასახელმწიფოებრივი (სამოქალაქო).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით პროფესორი ა. ზროდნიკოვი ერთიანი „პლანეტა დედამიწის ბირთვული კონსტიტუციის" შემუშავებას და მიღებას მოითხოვს. რომელზე კონტროლი გაეროს უნდა დაევალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, - ის თვლის – დედამიწამ შეიძლება პლანეტა ფაეტონის ბედი გაიზიაროს.

არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით მარსის რაიონში ასტეროიდთა სარტყელი სხვა არაფერია, თუ არა პლანეტა ფაეტონის ნარჩენები, რომელიც აფეთქდა იქ გაჩაღებული ბირთვული ომის შედეგად.

ასე რომ არ უნდა დავუშვათ ბირთვული ჯინის ჩვენს პლანეტაზე გაშვებაც.

ეთნიკური კონფლიქტები (იუგოსლავიის მაგალითზე)

ძირეული ცვლილებების შემდეგ (1989-91წწ.)(კომუნისტური სისტემის კრახი, ცალკეულ სახელმწიფოთა სუვერენიზაცია) აღმოსავლეთ ევროპა მოყოლებული ბალკანეთიდან ვიდრე კავკასიამდე ეთნიკურმა კონფლიქტებმა მოიცვა.

კონფლიქტები ხასიათდება სამი ძირითადი ნიშნით:

- ისინი წარმოიშვნენ იმ რეგიონში სადაც წლეების განმავლობაში თანაცხოვრობდნენ ერთმანეთთან დაახლოებული რამოდენიმე ეთნიკური ჯგუფი.
- აქ ცხოვრობენ ისეთი ცალკეული ჯგუფები, რომლებიც განსხვავდებიან ერთიმეორესაგან ერთი ან რამოდენიმე ნიშნით, რაც მათში გადაულახავ პრობლემებს ქმნის. მაგ., ყოფილ იუგოსლავიაში ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ხორვატები, სერბები და ბოსნიელები, რომელთაც საერთო ლინგვისტური და კულტურული ფესვები გააჩნიათ, მაგრამ განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობისანი არიან (ხორვატები კათოლიკები არიან, სერბები მართლმადიდებლები, ხოლო ბოსნიელები მუსლიმები).

ეს სახესხვაობები იქცა ამ მეზობელი ხალხის ტრაგიკული ისტორიის მიზეზი. (მაგ., მუდმივი სისხლისმღვრელი კონფლიქტი ხორვატებს სერბებსა და ბოსნიელებს შორის და ეს გრძელდება იუგოსლავიის ისტორიის მთელ გაყოლებაზე 1918 წლიდან 1941 წლამდე. შემდეგ 1941 წლიდან 1991 წლამდე). ეთნიკური დაპირისპირებები არ შეწყვეტილა გერმანული ოკუპაციის დროსაც კი (1941-44წწ.) ამით აიხსნება სამხრეთ სლავების სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებად არსებობის ფაქტები.

- ურთიერთ გაუტანლობა, რომელიც რამდენიმე ს აუკუნის განმავლობაში ყალიბდება და ვლინდება ეთნიკურ წმენდაში.

გეოპოლიტიკა და ეთნიკური წმენდა

„ეთნიკური წმენდის" ცნება დამკვიდრდა ევროპელი ნაციონალისტთა, პირველყოვლისა გერმანელთა რიგებს შორის.

ორი აკვიატებული იდეა (რომელიც სხვათა შორის გერმანიისთვისაცაა დამახასიათებელი), მუდმივად მუსირებს იუგოსლავიელთა ცნობიერებაში: პირველი წარსულ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი არასამართლიანობის ტვირთი (მაგ., სერბები რომლებიც

დამარცხდნენ თურქებთან 1389წ. 20 ივნისს კოსოვოს მახლობლად დღემდე თავიანთ თავს რეგიონში მუსლიმთაგან ქრისტიანობის დამცველებად მიიჩნევენ). მეორე, მუდმივი ტერიტორიების არქონის, თუ საკუთარი სამყოფელის არარსებობის გამო იძულებულნი არიან შეეგუონ სხვა ხალხებთან თანაცხოვრებას, და მხოლოდ „იოცნებონ" საკუთარ სამშობლოზე, რომლის ცხოვრებაში რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკური წმენდის შედეგად.

„ოპერაციის" უკიდურესი სიმკაცრის მიუხედავად (მოსახლეობის ერთი ნაწილის განადგურება ან მათი განდევნა დაკავებული ტერიტორიებიდან) ეთნიკური წმენდა ბადებს ორ შეკითხვას, რომელზედაც პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია:

ა)შესაძლებელია თუ არა არსებობდეს ერთი წარმოშობის ხალხი, მკაცრად განსაზღვრულ ტერიტორიაზე?

- ნებისმიერ სახელმწიფოში არ არსებობს ისეთი სიტუაცია სადაც ერთნაირად იქნება გაგებული სამშობლოსა და ეროვნულობის ცნება: ცალკეული ინდივიდუმის თუ ჯგუფის მიკუთვნება კონკრეტულ ქვეყანაზე თუ ხალხზე რთული და რყევადია.

ადამიანი არ წარმოადგენს და არც შეიძლება, წარმოადგენდეს მონოლითის ნაწილს. მითუმეტეს, ტერიტორიათა უმეტესობა ესაა ხალხთა ჯგუფების მიზიდულობის ფაქტორი, რომელთაც საკუთარი სიმართლის დასასაბუთებლად საკმაოდ მყარი და არაერთი არგუმენტი მოჰყავთ.

არსებობს რამოდენიმე, ერთგვაროვანი სახელმწიფოები:

- იაპონია, ეს არის თავისი ხასიათით უნიკალური ერთობის ქვეყანა, რომელიც მთლიანობაში მის ერთგვაროვნებასაც განსაზღვრავს: კუნძულოვანი სახელმწიფოს მდგომარეობა; დანარჩენი მსოფლიოსაგან პერიოდული იზოლაცია, რომელიც ხანდახან საუკუნეების მანძილზეც გრძელდებოდა; ადათი და კულტურა, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებდა ნაციონალურობის სპეციფიკას. თუმცა XX საუკუნის დასასრულ გლობალიზაციის თუ საერთაშორისო კონტაქტების ინტენსიფიკაციის პირობებში იაპონიაც მოექცა იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებიც მთელი სიცხადით განიცდიან გარე სამყაროს გავლენას.

- საფრანგეთიც შესაძლებელია განვაკუთვნოთ ერთგვაროვან სახელმწიფოთა რიცხვს. რაც საფრანგეთის ინტეგრაციის მექანიზმის უწყვეტი ზემოქმედების შედეგია, რომელიც ძირითადად ეროვნული განათლების სისტემით მოქმედებს.

თუკი დავუშვებთ, რომ ეთნიკურ წმენდას შეუძლია მოსალოდნელი შედეგი გამოიღოს – რაც ნაკლებად სარწმუნოა – (ყოფილ იუგოსლავიელთათვის ეს იქნებოდა ერთგვაროვან სერბთა,

ხორვატთა, ბოსნიელთა ცალკე სახელმწიფოების შექმნის ბრწყინვალე შანსი), ეს აუცილებლად გამოიწვევს წინააღმდეგობებისა და პრობლემათა ჯაჭვის შეკვრას. შეინარჩუნებს ფრუსტრაციის კომპლექს, რომელიც ბუნებრივად დაუკავშირდება ტერიტორიების განსაზღვრული ნაწილის დაკარგვას. მაგალითად, 90-იან წლებში გაცილებით ძლიერმა სერბებმა და ხორვატებმა შეავიწროვეს ბოსნიელები და შეკვეცეს მათი მიწების საზღვრები, რაც ამ უკანასკნელებს რევანშისტულ პოზიციაზე აყენებს.

***

არცერთ სახელმწიფოს ბუნებრივია არ სურს იარსებობს თავისი საფუძველის – ტერიტორიის გარეშე. სახელმწიფოს უფლება კონკრეტულ ტერიტორიაზე ხორციელდება ომის შედეგად. შემდგომში ძალით დაპყრობილი ლეგალიზირდება კანონის დახმარებით (კერძოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით).

თუმცა პრობლემებს ბოლომდე აღნიშნული მექანიზმიც ვერ წყვეტს – არსებობს ტერიტორიები, რომლებიც დღემდე მიუხედავად არაერთი შეთანხმებისა თუ მოლაპარაკებებისა რამოდენიმე მხარი მიზიდულობის ობიექტად რჩება. მაგ., იერუსალიმი, რომელიც სამი დიდი რელიგიის – იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის წმინდა ქალაქია.

XX საუკუნის დასასრულს ტერიტორიულ პრეტენზიებს ომამდე მივყავართ, რასაც ცხადყოფს იუგოსლავიის მაგალითი. ხალხის ფსიქოლოგიაში დღემდე ვლინდება გლეხკაცის ინსტიქტი, რომელიც თვლის, რომ მიწის საკუთრება უსაფრთხოების საუკეთესო გარანტიაა. მაგრამ თანამედროვე ცხოვრება წამოუდგენელია ადამიანთა, იდეათა, საქონლის გადაადგილების გარეშე.

ლექცია 9

ამერიკის შეერთებული შტატები

1. ზესახელმწიფოდ ფორმირების წინაპირობები
2. აშშ - გლობალური ლიდერი
3. გაერო; ნატო

ყველას კარგად გვახსოვს (სახელმძღვანელოებიდან), რომ აშშ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა ბრიტანეთთან 1774-83წწ. დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლების შედეგად. სახელმწიფოს შექმნისთანავე დაიწყო უზარმაზარი ტერიტორიების კოლონიზაციის პროცესი – ინდიელთა შევიწროვება და ტერიტორიების გაფართოვება სხვა სახელმწიფოთა ხარჯზე.

1803წ. აშშ-მა საფრანგეთისაგან იყიდა დასავლეთი ლუიზიანა, 1819წ. აიძულა ესპანეთი დაეთმო მისთვის ფლორიდა. 1840-50წწ. იძულებით დაიკავა მექსიკის ნაწილი (შემთხვევით არ არსებობს დღეს დალასში მოქმედი ორგანიზაცია „მექსიკის დაბრუნებისათვის"), და ბოლოს 1867წელს მეფის რუსეთისაგან შეძენილ იქნა ალიასკისა და ალეუტის კუნძულები.

„ჩვენი ქვეყნის სინორჩე – წერდა მეხენი – მხოლოდ ატლანტიკური ოკეანის სანაპირო იყო, ახალგაზრდობამ საზღვარი მექსიკის ყურემდე გადაწია, ხოლო დღეს ჩვენი ასაკი წყნარ ოკეანეს წვდება, რატომ არ უნდა გვქონდეს მოწოდება განვვითარდეთ სხვა მიმართულებითაც".

დღეს აშშ ესაა დაახლოებით 9,6მლნ.კმ2 ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 309 მლნ. აღემატება.

ვიდრე თანამედროვე ამერიკის გეოპოლიტიკურ პრობლემატიკაზე გადავერთვებოდეთ, რამოდენიმე სიტყვით თუ როგორ გადაიქცა ეს სახელმწიფო ლიდერად მსოფლიოში.

ევროპულმა პოლიტიკური აზროვნებამ XVIII ს-ში პოლიტიკური სისტემების არნახულ სრულყოფას მიაღწია, თუმცა ფეოდალური წყობა ართულებდა ამ იდეების რეალიზებას.

აღნიშნული პოლიტიკური თეორიების პრაქტიკაში რეალიზების ბრწყინვალე საშუალება მოიცა ჩრდილო ამერიკის კონტინეტმა – რესურსებით მდიდარი და პერსპექტიული ქვეყანა იქცა მსოფლიოს ყველა წერტილიდან ხალხთა მიზიდულობის ცენტრად დაიწყო მათი ცალკე ხალხად წრთობა.

ჩრდილო ამერიკაში ჩასახლება დაიწყო XVI საუკუნიდან და არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ეს იყო ერთგვარი მიგრაციული რევოლუცია, როცა „ბებერი ევროპიდან" სისტემაზე „განაწყენებული" ხალხთა მასები გაურბოდნენ ფეოდალურ წყობას.

ჟან დე კრევეკერი წიგნში „ამერიკელი ფერმერის წერილები" წერდა: მოგზაური რომელიც ჩავიდა ახალ კონტინეტზე გაოცებული დარჩა, მის თვალწინ გაიშალა ახალი საზოგადოება, რომელიც სულ არ ჰგავდა მის მიერ აქამდე ნახულს. ეს საზოგადოება არ შედგებოდა მსხვილი ლორდებისაგან, რომელთაც ყველაფერი ჰქონდათ და ღარიბებისაგან რომლებიც შიმშილით იხოცებოდნენ.

აქ არ არსებობდა არისტოკრატული გვარი, სასამართლოები, თავადები, ეპისკოპოსები. აქ არ არსებობენ მანუფაქტურისტები.

არ არიან დაყოფილნი მდიდრებად და ღარიბებად, როგორც ევროპაში. მიწათმფლობელი ფერმერები გაერთიანებულნი არიან ზომიერი სახელმწიფოს ვიწრო კავშირებით, ყველა პატივს ცემს კანონს, და ყველანი თანაბარნი არიან მის წინაშე.

ჯერ კიდევ 1620 წელს გადასახლებულები შეთანხმდნენ, და ურყვეს ინგლისის მონარქიული წესრიგის ამრიკაზე გავრცობის შესაძლებლობა. ეტაპობრივად მათ ცნობიერებაში გამყარდა აზრი, საზოგადოებრივი შეთანხმებების, ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობის, ხელისუფლების გადანაწილების და ა.შ. შესახებ.

1776 წელს მიღებულ იქნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, 1 წლის შემდეგ 13 შტატმა მიიღო კონსტიტუცია და შეთანხმდნენ, შეექმნათ კონფედერაცია (დსთ-ს მსგავსი). ინგლისის წინააღმდეგ ომმა ფაქტობრივად გააერთიანა ამერიკელები, თუმცა გამარჯვების შემდეგ 1783წ. ნათელი გახდა, რომ კონფედერაციას არ ძალუძდა აღმოეფხვრა წინააღმდეგობანი შტატებს შორის.

1787წ. შეთანხმდნენ შეემუშავებინათ კონსტიტუცია, რომელიც იქნებოდა უფრო მყარი გაერთიანების საფუძველი. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით 13 შტატის 55 წარჩინებული წარმომადგენელი მუშაობდა აღნიშნული კონსტიტუციის ირგვლივ.

1787 წლის 17 სექტემბერს ფილადელფიის კონვენტმა მიიღო აღნიშნული დოკუმენტი. რის შემდეგაც 2 წლის განმავლობაში განიხილებოდა ის ცალკეულ შტატებში. განხილვის მასშტაბურობამ აჩვენა, რომ არცთუ ისე იდეალურად ითვალისწინებდა ის მოქალაქეთა უფლებებს.

1789წ. მიღებულ იქნა ბილი კანონთა შესახებ, პირველი 10 ჩასწორება კონსტიტუციაში იძლეობა სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, იარაღის ტარების, აღმსარებლობის თავისუფლებას.

ინგლისის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა გლადსტონმა აშშ-ს კონსტიტუციას „ყველაზე დემოკრატიული ქმნილება" უწოდა. ტ. პეინმა კი აღნიშნა, რომ ამერიკაში მონარქი კონსტიტუციაა.

თავდაპირველად აშშ ჩამოყალიბდა როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელმაც საკუთარი განსხვავებული დაღი დაასვა ამერიკული საზოგადოების განვითარებას, რომელთაც შესაძლებელია მივაკუთვნოთ:

1. ანტაგონიზმის ღიად გამოხატულება. ამერიკელებმა შეძლეს ეროვნული ინტერესები კლასობრივ ინტერესებზე მაღლა დაეყენებინათ: ინდიელთა ჩაგვრა, კუ-კლუქს-კლანობა და ა.შ.

2. თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირი. განსაკუთრებით საშინაო და საგარეო პოლიტიკური ორიენტირების მოხაზვისას. მხოლოდ კარგად ფუნქციონირებად სახელმწიფო სისტემას ძალუძს უზრუნველყოს ქვეყნის დამოუკიდებლობა. აქედანაა სწორედ მჭიდრო კავშირები ისეთ მეცნიერებებს შორის, როგორებიცაა: პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ა.შ.

3. ეკლასიისა და სახელმწიფოს შორის მოწესრიგებული ურთიერთობა.

4. აშშ-ში ხალხი მათ ლიდერებთან ერთად საკმაოდ მომზადებულნი შეხვდნენ მომავალს, ყველა ამერიკელმა ვისაც კი წერა შეეძლო დაიწყო კონსტიტუციის წერა: ჯორჯ ვაშინგტონმა უარი თქვა მონარქობაზე, თვლიდა რა მას ხალხის ბატონობის შემზღუდავ სისტემად. ლინკოლნმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ანკეტის შევსებისას განათლების გრაფაში ჩაწერა არასრული).

აშშ კონსტიტუციაში ყოველგვარი გაფორმების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ პირველად ანტიკურობის შემდეგ ერთმანეთს შეერწყა თეორია და პრაქტიკა. რის შედეგადაც შეიქმნა იმდროისათვის ერთ-ერთი ყველაზე სრულქმნილი სისტემა, რომელმაც აშშ-ს მსოფლიოში ავანგარდული პოზიციები მოუტანა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ კიდევ ერთი:

აშშ-ში – ისე როგორც არსად, საგარეო პოლიტიკაში წარმოიშვა და ყოველდღიური გამოყენება ჰპოვა პოლიტიკური პრაგმატიზმის ფილოსოფიამ, რომლის სინონიმად ხშირად რეალიზმსა და ეგოიზმს მიიჩნევენ და რომლის თანახმად საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა

ყოველდღიური საშინაო პოლიტიკისაგან განსხვავებით მორალურ-ეთიკურობისაგან არსებითად თავისუფალია.

„კანონიერება და პოლიტიკური სიბრნე შესაძლებელია შეეფარდოს და არც შეეფარდოს ერთმანეთს" – განაცხადა საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილმა თეორეტიკოსმა, ძალოვანი მენემენტის კონცეფციის ავტორმა ჰენრი მორგენტაუმ. ერთადერთი, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საერთაშორისო ურთიერთობებში – ეს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებია, - აღნიშნავს მორგენტაუს თანამოაზრე – ჰენრი კისინჯერი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებელია ზედაპირული შეჯამებაც: ე.ი. ეროვნული ერთიანობა, ანუ ქვეყნის შიგნით არსებული ეროვნული იდეა და მოქნილი პრაგმატიზმი საგარეო პოლიტიკაში, ამერიკას ღირსეულ ადგილს უნარჩუნებს მსოფლიოში.

აშშ-ს დღეს, შეიძლება ითქვას, მართავენ არა ალტრუისტები , არა იდეალისტი-რომანტიკოსები, არამედ პოლიტიკოსი-პრაგმატისტები.

მსგავსი მოქნილი, პრაგმატული პოლიტიკა მუშავდება ამერიკის ადმინისტრაციის მიერ. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის (ფ. რუზველტის) შემდეგ. ამერიკის თანამედროვე გეოპოლიტიკური კონცეფციები მუშავდება – ა. მეხენის, ხ. მაკინდერის, ნ. სფიქმენის, ზ. ბჟეზინკის და სხვათა მიერ.

ყოველივეს გათვალისწინებით აშშ დომინირებული მდგომარეობა გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე 4 სხვადასხვა სფეროში:

- სამხედრო სფეროში – აშშ-ს გააჩნია შეუდარებელი სამხედრო რესურსი, გარდა ამისა, ის ზედამხედველობს კოლექტიური უსაფრთხოების არაერთ სისტემას: ნატო, აშშ-იაპონიის შეთანხმება უსაფრთხოების შესახებ და ა.შ.
- ეკონომიკის სფეროში – აშშ რომელიც მსოფლიო მშპ-ს 30% ფლობს, მსოფლიო ეკონომიკის გამწევ ძალად რჩება. გერმანული და იაპონური კონკურენციის მიუხედავად (ზოგიერთ სფეროში) აშშ-ს საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციისა და ა.შ. კონტროლის არაერთი რეალური მარწუხები გააჩნია.

საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ მნიშვნელოვან როლს მსოფლიო პოლიტიკაში თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციები თამაშობენ. რომლებიც სახელმწიფო ინტერესების პარალელურად ბიზნესის ინტერესების გამომხატველნი არიან. აშშ 50-60 წამყვანი

ტრანსნაციონალური კორპორაციის ლიდერია, აგრეთვე ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებს რიგ მონდიალისტურ სტრუქტურებში, სხვადასხვა კერძო კლუბუბსა და ფონდებში და ა.შ.

მაგალითად აშშ რიგით 42 პრეზიდენტმა – ქლინტონმა, მშობლიურ არკანზასში შექმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრი (უმდიდრესი ბიბლიოთეკით) რომელიც შემაკავშირებელ რგოლად უნდა იქცეს მთავრობასა და დასავლურ და აზიურ ზომიერი „მესამე გზის" მოძრაობას შორის. რომელიც მოახერხებდა საუკეთესოს ამოკრეფას კაპიტალიზმსა და სოციალიზმიდან. ამასთან ცენტრს პრეტენზია აქვს XXI საუკუნეში მსოფლიოს ხელისუფლებობაზე, რომელიც მის გლობალურ ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს.

- ტექნოლოგიური ურთიერთობებში – აშშ ინარჩუნებს აბსოლუტური ლიდერის სტატუს მეცნიერებისა ტექნიკის განვითარების სფეროში. ამის დასტურად საკმარისია ავღნიშნოთ, ის რომ 1,5 მლნ. საზღვარგარეთელი სტუდენტი ცოდნას აშშ-ში იღებს, ამასთან საუკეთესო მათთაგანი უკან აღარ ბრუნდება.
- კულტურის სფეროში – მიუხედავად ზოგიერთი პრიმიტიულობისა, ამერიკა მიმზიდველია სამყაროს ყველა კუთხის წვარმომადგენელთათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის. მაგალითად, ამერიკული სატელევიზიო პროგრამები და ფილმები მსოფლიო ბაზრის 3/4 იკავებს. ინგლისური ენა ინტერნეტის წყალობით გლობალური ენის ფუნქციას იძენს.

ეს ოთხი ფაქტორი ერთიანობაში – ბჟეზინსკის აზრით, აშშ-ს ახლო მომავალში (თუ უკვე არ არის) „ერთადერთ ზესახელმწიფოდ აქცევს".

ამასთან ეს ბატონობა შენიღბულია დემოკრატიული მონოპოლიზმის პრინციპით. მონოპოლიური შინაარსი წარმოადგენს აშშ-ს ზესახელმწიფო ხელისუფლებას, ხოლო დემოკრატიული საწყისი კონცერტის კოლექტიურ წევრობაშია (მაგ., დიდი შვიდიანი (ან რვიანი)), ნატო, საერთაშორისო სასამართლო და ა.შ. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო დემოკრატიული სისტემები გაცილებით მყარი ფენომენია, ვიდრე ადრე არსებული იმპერიული ბატონობა.

დღესდღეობით ამერიკის უპრეცენდენტო, გლობალურ ჰეგემონობას არ გააჩნია მოწინააღმდეგე, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს? - სვამს კითხვას ბჟეზინსკი, და ყურადღებას მიაპყრობს ევრაზიას, რომელსაც სხვადასხვა დროს ამერიკის ძირითად გეოპოლიტიკურ „პრიზსსაც" უწოდებდა.

ასე, რომ მაკინდერისეული დასკვნა იმის შესახებ, რომ ვინც აკონტროლებს ევრაზიას, მბრძანებლობს მსოფლიოზე თავის აქტუალობას არ კარგავს დღემდე.

ლექცია 10

რუსეთი თანამედროვე გეოპოლიტიკურ ურთიერთობებში

1. რუსული გეოპოტენციალის ანალიზი
2. ინტერესთა ბალანსის პოლიტიკა
3. რუსეთი-ერაყი-აშშ

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთს კვლავ უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობა გააჩნია, რაც სამხედრო, ენერგო თუ ეკონომიკურ პოტენციალთან ერთად მას გლობალურ ძალათა ბალანსში მნიშვნელოვანი მოთამაშის როლს აკისრებს.

შემთხვევით არ ყოფილა, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთი მსოფლიო საზოგადოების მიერ უსიტყვოდ იქნა აღიარებული „დიდი" სახელმწიფოს სამართალმემკვიდრედ. იქცა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრად. 1998 წელს კი მიღებულ იქნა რვა განვითარებული სახელმწიფოს რიგებში (7+1 – ან დიდი რვიანი).

იმავდროულად შეუძლებელია არ ვამჩნევდეთ, რომ უკანასკნელ წლებში რუსეთის როლი მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა. თანამედროვე რუსეთი ესა, ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიის 4/5. მოსახლეობის ყოფილი რაოდენობის ნახევარზე ცოტა მეტი (147,2 მლნ. ადამიანი 1.09.97წ. მონაცემებით), და აგრეთვე ყოფილი მთლიანი შიდა პროდუქტის 1/2.

1986 წელთან შედარებით თანამედროვე რუსეთის შეიარაღებული ძალები დღეს ანარეკლივით გამოიყურება – არმიაში მოსამსახურეთა რაოდენობრივი შემადგენლობა შემცირებულ იქნა 4,5 მლნ-დან 1,2 მლნ. ადამიანამდე, ტანკებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის რაოდენობა 57-დან 17 ათასამდე. თვითმფრინავებისა 7360-დან 5000-მდე, სამხედრო ხომალდები 269-დან 160-მდე.

რფ დაკარგა 5 ნავსადგური შავ და 13 ნავსადგური ბალტიის ზღვაზე, ხელიდან დაუსხლტა მნიშვნელოვანი ფორპოსტები აზიაში: ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა, ავღანეთი; აფრიკაში: ანგოლა, ეთიოპია, მოზამბიკი; ლათინურ ამერიკაში: ნიკარაგუა, კუბა.

დასავლეთი ევროპისაგან რუსეთი დღეს დისტანცირებულია ორი ბარიერით: 1) ყოფილი სოციალისტური სისტემის ქვეყნებით, რომელთა უმრავლესობა დღეს ცდილობს ნატოს წევრი გახდეს, და 2) ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რომელთაგან ნატოში შესვლის სურვილი აქვთ ბალტიისპირეთს, პერსპექტივაში უკრაინას, საქართველოს და აზერბაიჯანს.

ობიექტური მიზეზების პარალელურად, რუსეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებაში სერიოზული როლი ითამაშა სუბიექტური ხასიათის ფაქტორებმაც: „პოლიტიკური ელიტა ყოველთვის ვერ პასუხობდა დროის გამოძახილებს".

მიუხედავად ამისა, ის პოტენციალი, რომელიც ქვეყანაში წინამორბედებმა შექმნეს, დღეს რუსეთს მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფიგურად დარჩენის საშუალებას აძლევს.

ნახევრადსტიქიურად, ნახევრადცნობიერად დღეს გეოპოლიტიკურ ურთიერთობებში რუსეთი მისაღებ, და შესაძლო ვარიანტზე გადაერთო რაც აისახა ურთიერთობების გაღრმავებაში დასავლეთთან (აშშ-ჩათვლით), აგრეთვე, სხვადასხვა ფრონტზე დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებაში: ევროპულ, ჩინურ, სამხრეთ-აზიურ, ახლოაღმოსავლურ და ა.შ.

აღნიშნულ დოქტრინას – მიდგომას სასებით შესაძლოა „ინტერესთა ბალანსის" კონცეფცია ვუწოდოთ. ხშირად მას პრიმაკოვ-ივანოვის პოლიტიკას უწოდებენ. რომლის არსი შემდეგნაირია: იმოქმედოს მსოფლიოს ძირითად აქტორებთან ერთად, თან ისე რომ არავის მიემხროს. აღნიშნული ფორმით შესაძლებელი ხდება თავისუფალი მანევრირება და გამოირიცხება ბასრი კოლიზია საერთაშორისო არენის ძირითად აქტორებში.

მსგავსი გეოსტრატეგიის კონკრეტულ მიმართულებებს შეიძლება განვაკუთვნოთ:

1. თანამშრომლობის გაღრმავება თანამეგობრობის ქვეყნების ჩარჩოებში (12 სახელმწიფოს შორის);

2. ურთიერთობების ნორმალიზირება ევროკავშირთან (ეკ), განსაკუთრებით კი გერმანიასა და საფრანგეთთან, რომლებიც ამერიკული ჰეგემონობის წინააღმდეგ გამოდიან;

3. რუსული გეოპოლიტიკის მიმართულების რეგლამენტირება – კავშირების გამყარება აზიის მეზობელ ქვეყნებთან: ჩინეთთან, იაპონიასთან, ინდოეთთან, ირანთან;

4. სერიოზულ ყურადღებას იქცევს ამერიკა რუსეთის-ურთიერთობები: აქ შესაძლებელია ორი ასპექტის გამოყოფა – ჯერ ერთი, ურთიერთობები 2001 წლის 11 სექტემბრამდე და მეორე, შემდგომი პერიოდი, როცა, აშშ რუსეეთან ურთიერთობების ბჟეზინსკისეული კონცეფციებიდან ჰანტინგტონისეულ თეორიაზე გადაერთო. მეორე, ერაყი იქცა კარგ ამოცანად რუსი დიპლომატებისათვის, ომის ხასიათმა შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს რუსეთის პოზიციაზე მსოფლიოში.

სსრკ-სთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა რფ-ის წილი მსოფლიო მწარმოებლობაში. თუკი 80-იან წლებში სსრკ მშპ ამერიკული დონის 80%-ს წარმოადგენდა, 90-იან წლებში ის 10%-მდე შემცირდა.

1997 წლისათვის ადამინური რეზერვის განვითარების ინდექსით რუსეთმა 72-ე ადგილზე გადაინაცვლა – ბოსტვანას, ბრაზილიის, ირანის, პანამის, კოსტარიკის, ალჟირის, კოლუმბიის, მექსიკის, მალაიზიის შემდეგ. დღესდღეობით ის ის უთანაბრდება ეკვადორს, იამაიკასა და იორდანიას. ВНП-ს მონაცემებით დღეს მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე სავარაუდოდ 5180$ მოდის. ლუქსემბურგში 2360, აშშ-ში 28080$, რფ-ში 2410$. 1990-95წწ. რეფორმების პირობებში, მეცნიერების დაფინანსება რუსეთში შემცირებულ იქნა 12-ჯერ. რის გამოც მეცნიერთა 30%-მა (დაახლოებით 200 000) დატოვა ქვეყანა და დღეს რუსეთის გეოპოლიტიკურ ოპონენტებზე მუშაობენ. ელიტის ემიგრაციამ ქვეყნის გარეთ (აღნიშნულ პერიოდში) ევაკუაციის ხასიათი მიიღო. კარდინალური ცვლილებები განიცადა რუსეთის სამხედრო პოტენციალმა. სერიოზული ცვლილება მოხდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გაიზარდა საფრთხე სამხრეთის მიმართულებით, რაც ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების სუვერენიზაციამ გამოიწვია, აგრეთვე აშშ-სა და დასავლეთ ევროპის, თურქეთის, ირანის, პაკისტანის, საუდის არაბეთის მცდელობამ, გაზაარდონ თავიანთი გავლენა რეგიონში. სიტუაციას ამძაფრებს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებიც ყარაბახში, აფხაზეთში, ტაჯიკეთში, აგრეთვე, საკუთრივ რუსეთში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში.

რაც შეეხება შორეულ აღმოსავლეთს – მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები, აქტიურად მიმდინარეობს ჩინეთის დემოგრაფიული და ეკონომიკური ექსპანსიის ინტენსიფიკაცია რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში. ღიად რჩება ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიები რუსეთ-იაპონიას შორის.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ: რუსეთმა დაკარგა ნავსადგურები შავსა და ბალტიის ზღებზე, რამაც გაართულა მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა – ანუ, შავი ზღვის სრუტეების რეგლამენტირებამ თურქეთის მიერ, პრობლემა შეუქმნა მსხვილ რუსულ ტანკერებს თავისუფალ ნაოსნობას. საფრთხის ქვეშ დადგა რუსეთის ენერგორესურსების მსოფლიო ბაზარზე ექსპორტირების უსაფრთხო - სტაბილური მარშრუტი. ამას დაემატა, კასპიისა და ყაზახეთის ნავთობის ექსპორტირებისათვის ენერგომატარებლების კავკასისა და აზიიდან რუსეთის ავლით მშენებლობა. თურქმენეთის გაზმა პერსპექტივაში შესაძლოა მოუსპოს გაზის ტრანსპორტირების მონოპოლია მსოფლიო ბაზარზე. 1992 წლის მაისში უშიშროების საბჭოში რუსეთის დელეგაციამ იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ სანქცირებაზე კენჭისყრით ქვეყანას ხმელთაშუა ზღვაში საკუთარი სამხედრო ფლოტის ბაზირების შესაძლობლობა მოუსპო.

ცენტრალური ევროპიდან ჯარების გაყვანით ლიკვიდირებულ იქნა საბჭოთა სამხედრო ძალები სერიოზული ნაწილი (სამხრეთის – უნგრეთში; ჩრდილოეთის – პოლონეთში; ცენტრალური – ჩეხოსლოვაკიაში და დასავლეთის – გფრ-ში). სსრკ-ს დაშლასთან ერთად რუსეთმა დაკარგა სამხედრო ოლქი უკრაინაში. აგრეთვე ბელორუსიის სამხედრო ოლქი, ბალტიისპირეთის ს/ო, ამიერკავკასიის ს/ო, თურქმენისტანის ს/ო, რუსეთის ტერიტორიაზე ძირითადად დარჩნენ ზურგის უზრუნველმყოფი შენაერთები, რომელთა ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი რუსული არმია. ვარშავას ორგანიზაციის ლიკვიდაციასთან ერთად, ძირეულად შეიცვალა ძალათა თანაფარდობა ევროპის კონტინეტზე. თუკი 80-იან წწ. ვარშავის ბლოკი ცოცხალი ძალით 3-ჯერ აღემატებოდა ნატოს, დღეს რუსეთი 5-ჯერ ჩამორჩება მას. რუსეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ბევრადაა დამოკიდებული რფ-ს საზღვრების მდგომარეობაზე, მისი სამხედრო საზღვრების სიგრძე დღეს 14000 კმ-ს შეადგენს და მხოლოდ ნახევარ მათთაგანს გააჩნია ელექტროსიგნალური სისტემა. მისი ახალი საზღვრების 90% (დსთ-ს ქვეყნებთან მიმართებაში) არანაირად არ არის დაცული.

რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი დღეისათვის 1,5-ჯერ ჩამორჩება გერმანიისას, 2-ჯერ საფრანგეთისას, 1,7-ჯერ ინგლისისას, 8-ჯერ ჩინეთისას. აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი 5-6-ჯერ აღემატება რუსეთის საერთო, წლიურ ბიუჯეტს, ხოლო ნატოს სამხედრო ბიუჯეტი 500-ჯერ მეტია რუსეთისაზე.

ყოველივე ეს გარკვეულწილად მეტყველებს რუსეთის ელიტის არასაკმარის კვალიფიკაციის დონეზე, მათ შორის გეოპოლიტიკაზე.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ კიდევ ერთი გარემოება: ევროპის ისტორიას ყოველთვის თან ახლდა დამარცხებული ქვეყნების დანაწევრება. ასე იყო 1919 წელს გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთისათვის, გერმანიისა და მისი რამოდენიმე მოკავშირისათვის 1945 წლის შემდეგ. სსრკ-მ წააგო „ცივი ომი", ისიც დაიშალა, თუმცა რუსეთი დარჩა სახელომწიფოდ რომელზეც „ცივ ომში" გამარჯვებულებმა ვერ დაამყარეს პირდაპირი კონტროლი, როგორც გერმანიისა და იაპონიაზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ამიტომ გამარჯვებულთათვის კვლავ აქტუალურია მინიმუმ რუსეთის ნეიტრალიზაცია მისი აღორძინების თავიდან აცილების მიზნით და მაქსიმუმ, საერთაშორისო კონტროლის უზრუნველყოფა რუსეთის ბირთვულ პოტენციალზე. შემთხვევით არაა, რომ სიტუაციას იუგოსლავიაში ბევრი რუსი პოლიტოლოგი რუსეთთან სამომავლო დამოკიდებულების რეპეტიციას უწოდებენ.

ლექცია 11

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

1. დსთ შექმნა, შემადგენლობა, პერსპექტივა
2. ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ახალი გეოპოლიტიკური რეალიები
3. მოკავშირე-სლავები და მოლდოვა
4. ბალტიის ფედერაცია და კალინინგრადის ოლქის პრობლემა

სსრ კავშირის დაშლასთან ერთად პოსტსაბჭოურ სივრცეში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და ბალტიის ფედერაცია, რომელიც აერთიანებს ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს: ესტონეთს, ლიტვასა და ლატვიას.

დსთ-ს ორგანოებს განეკუთვნება – სახელმწიფოების მეთაურთა საბჭო, მთავრობის მეთაურთა საბჭო, აღმასრულებელი სამდივნო, პარლამენტშორისი ასამბლეა (შტაბ-ბინით სანკტ-პეტერბურგში0 და სახელმწიფოთშორისო ეკონომიკური კომიტეტი, ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები და დააწესოს კონტროლი მის შესრულებაზე.

ს. ბაბურინი წიგნში „სახელმწიფოს ტერიტორია" თვლის, რომ 1995 წლიდან დსთ-ში დაიწყო რეინტეგრაციის პროცესი. 1994წ. ძალაში შევიდა დსთ-ს დებულება, შემუშავებულ იქნა დსთ-ს ინტეგრაციული განვითარების პერსპექტიული გეგმა, შეიქმნა გადამხდელთა კავშირი, საბაჟო კავშირი, დაიწყო ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური და ინფორმაციული სივრცის ფორმირების პროცესი, 2000 წელს შეიქმნა ევრაზიული ეკონომიკური კავშირი. რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და სომხეთის შემადგენლობით გაფორმებულ იქნა თავდაცვითი კავშირი.

ბაბურინი შესაძლებელია ოპტიმისტებს განვაკუთვნოთ, რომელიც საბჭოური ცივილიზაციის ნამსხვრევების შესაძლო შედუღაბებას გარდუვლად მიიჩნევს. აღნიშნული პროცესი ავტორის აზრით სამ სიბრტყეზე განიხილება:

პირველი, ესაა რუსეთ-ბელორუსიას შორის ურთიერთობების მოწესრიგება ყველა მიმართულებით. აღნიშნულმა სახელმწიფოთშორის კავშირმა მაგალითი უნდა მისცეს სხვა დანარჩენს.

მეორე, დსთ-ს ქვეყნებს შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ როგორც ჰუმანიტარულ, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთობების ნორმალიზებას ამ სახელმწიფოებს შორის.

მესამე, რეგულარული შეხვედჟრები უმაღლეს დონეზე, პოსტსაბჭოურ სივრცეში კონფლიქტების დაუშვებლობის ერთიანი იდეა, დამოკიდებულება რუსეთზე (ენერგო) საერთო კულტურული, სატრანსპორტო სივრცე და ა.შ. ყოველთვის ითამაშებს გადამწყვეტ როლს კონკრეტული სიტუაციის წარმართვისას.

სხვა ავტორებიც, თუნდაც იური ბორკო, ძირითადში ეთანხმებიან ბაბურინის მოსაზრებებს.

ცენტრალურაზიური სახელმწიფოებმა – ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, თურქმენეთმა, ტჯიკეთმა და უზბეკეთმა ძირითადში აუღეს ალღო ახალ რეალობას და შექმნეს საკუთარი რეგიონალური ასოციაცია – ცენტრალური აზიის სახელმწიფოების მონაწილეობით. მათ აერთიანებთ არამარტო საერთო გეოპოლიტიკური სივრცე, არამედ რელიგია – ისლამიც. ისინი ერთობლივად ეძებენ გასასვლელებს მსოფლიო ბაზრებზე. აშკარაა პრიორიტეტულ პარტნიორთა სიაც – თურქეთი, პაკისტანი, ჩინეთი, ინდოეთი, ირანი.

კიდევ ერთ საერთო ინტერესების მქონე წარმონაქმნზე შეიძლება საუბარი ამიერკავკასიაში. თუმცა დღევანდელ ეტაპზე მსგავს დაჯგუფების შესაძლებლობაზე საუბარი ცოტათი ნაადრევია. ამას ხელს უშლის სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიან ყარაბახში და საქართველოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიებთან დაკავშირებული სირთულეები.

სომხეთს სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ითანამშრომლოს რუსეთთან. აი აზერბაიჯანი და საქართველო, როგორც ჩანს მიუერთდებიან ცენტრალურაზიურ დაჯგუფებას. მითუმეტეს, რომ ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აშშ და ნატო.

თუნდაც ეს ორი მაგალითი: ყაზახეთს, ხავიერ სოლანას ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტის შემდეგ (1997წ) გამოეყო აუნაზღაურებელი ფინანსური დახმარება 280 მლნ. დოლარის ოდენობით, რაც დაახლოებით 1.5-ჯერ აღემატება ყაზახეთის თავდაცვითი სიტემისმოწესრიგებისათვის გამოყოფილ ხარჯებს.

უზბეკეთში ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი უკვე მერამდენე წელია იღებს უწყვეტ გრანტებს ნატოსაგან კოსმოსური ტექნოლოგიების შესასწავლად.

რუსეთი და სსრკ დაახლოებით ორი საუკუნეა უკვე რაც ბატონობს ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიაში. დღეს სიტუაცია შეიცვალა, რუსეთმა განსაკუთრებით აშშ-ს ავღანეთის ომისა და ყირგიზეთში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში სამხედრო ბაზების შექმნის შემდეგ დაკარგა თავისი სამხედრო გავლენა რეგიონში.

ეს ვლინდება იმაშიც, რომ არსებითად შეიცვალა ძალათა ბალანსი მსოფლიოს ენერგეტიკულ ბაზარზე. კასპიის ნავთობისა და გაზის მარაგები რომლებიც მოცულობით არაბული საბადოების იდენტურები არიან, დიდ ინტერესს იწვევენ არა მხოლოდ აშშ-სა და ევროკავშირში, არამედ ჩინეთსა და მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

სავსებით შესაძლებელია , რომ ნავთობმატერებლები ევროპასა და აზიაში გაყვანილ იქნეს რუსეთის ავლით, მაგალითად, საქართველოს, ირანის, თურქეთის გავლით. რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს რუსეთის გეოპოლიტიკურ პოზიციებს. როცა გაზსადენი ტერიტორიაზეა გადებული, ხომ შესაძლებელია მისი გადაკეტვა? დასავლეთში ესმით, რომ თუკი ამას ირანი ან თურქეთი შეეცდება, შესაძლებელია ამოტივტივდეს იქ ქურთთა პრობლემა, მერე მოქმედებაში მოვიდეს სამხედრო-საჰაერო ძალები და ა.შ.

მეორე, ცენტრალური აზია და ამიერკავკასიამ შეიძლება ააღორძინოს აბრეშუმის გზა, ანუ სახმელეთო (და არა მარტო სახმელეთო) საკომუნიკაციო გზები, რომელმაც უნდა შეაკავშიროს ევროპა, ჩინეთი და იაპონია, და ამით გაამყაროს გლობალური ბაზრი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი. სარკინიგზო და მაგისტრალურმა გზებმა, მილსადენებმა, საავიაციო მარშრუტებმა და ა.შ. შესაძლოა დააჩქაროს ინფორმაციისა და საქონელბრუნვა ევროპისა და აზიურ წყნაროკეანური რეგიონის ბაზრებს შორის, რასაც აუცილებლად მოჰყვება მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური შედეგები. ვარაუდობენ, რომ ქვეყნებს შორის რომლებიც დიდი აბრეშუმის გზაზე მდებარეობენ, და მათი რიცხვი 30 აღწევს, საქონელბრუნვა 10-ჯერ გაიზრდება.

აბრეშუმის გზის აღორძინების ინიციატორები იყვნენ ორი სახელმწიფოს პრეზიდენტი – ჰეიდარ ალიევი და ედუარდ შევარდნაძე. საკმაო დრო გავიდა თანხებისა და სპონსორების მოძიებაზე. 1998 წლის 8 სექტემბერს ბაქოში თავი მოიყარა 32 ქვეყნის წარმომადგენლობამ (მათ შორის იყო 8 პრეზიდენტი: რუმინეთის, ბულგარეთის, ყირგიზეთის, მოლდავეთის, უკრაინის, საქართველოს, თურქეთისა და უზბეკეთის) და 13 საერთაშორისო ორგანიზაციამ. კონფერენციის შედეგების მიხედვით ხელმოწერილ იქნა შეთანხმებას „საერთაშორისო დერეფნის ევროპა-კავკასია-აზია განვითარების შესახებ". ამრიგად, დიდი აბრეშუმის გზა შესაძლოა ტრანსციმბირული მაგისტრალის ალტერნატივად იქცეს.

გარდა ამისა, 2000 წელს ჩინეთმა დაასრულა რკინიგზის მშენებლობა ცენტრალურ აზიაში, რომელიც რამოდენიმე ათასი კოლომეტრით მოკლეა რუსულ ტრანსციმბირულზე.

მესამე, ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ერთვებიან სხვადასხვა სამხედრო ბლოკებში, რომლებიც რეგიონში რუსეთის მეტოქეებად განიხილებიან,

ერთის მხრივ, სახეზეა თურქეთის აშკარა მცდელობა განსაკუთრებული როლი ითამაშოს დსთ-ს მუსლიმურ ქვეყნებში. აქ აქტიურად მოქმედებენ შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიც – ირანის, პაკისტანის, საუდის არაბეთის და თუნდაც ავღანეთის ჩათვლით, მეორე მხრივ, ჩინეთი რუსეთის სისუსტის ხრჯზე ცდილობს გაზარდოს საკუთარი პოზიციები რეგიონში. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ რაიონებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აშშს პოზიციებიც.

მომეტებული აქტიობა შეიმჩნევა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთაგან. რომლის კიდევ უფრო ზრდა თურქეთის ევროკავშირში მიღების შემდეგაა შესაძლებელი.

არაეთგზის ყოფილა მცდელობა სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებში, რომლებიც რუსეთი დსთ-მიმართ დამოკიდებულების უკმაყოფილონი არიან, ჩამოაყალიბონ მოსკოვის რაღაცი ფორმით გადამწონი ორგანიზაცია. კონკრეტულად თუ ვიტყვით, ხშირად მსგავს დაჯგუფებად მიიჩნევენ „ სუუამ"-ს (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა).

და ბოლოს, მოვლენები ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიაში აირეკლება სტაბილურობაზე საკუთრივ რუსეთში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში.

თანამეგობრობის ევროპულ ნაწილში გარე გარემოებებისაგან ყველაზე დამოუკიდებლად ითვლება მოლდოვა. რომლის მდგომარეობა ბევრად იქნება დამოკიდებული უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობებზე. მოლდოვას რუსეთის ურთიერთობები დღეს-დღეობის ნორმალურ კალაპოტში დგას თუმცა სიტუაციას ოდნავ ართულებს ეგრეთწოდებული არაღიარებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკა.

ბელორუსია, სავარაუდოდ რუსეთის ყველაზე ახლო მოკავშირედ დარჩება. დღეს ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე თუ როგორ შეხვდება თითოეული მათთაგანი ერთიან სახელმწიფო წარმონაქმნად შექმნის პროექტს. რუსეთ-ბელორუსიის კავშირი აუცილებელია რამოდენიმე მიზეზის გამო: ეკონომიკური, სამხედრო, გეორგრაფიული, ეთნიკური და ა.შ. ამიტომ პუტინ ცდება როცა ირთულებს ურთიერთობას ლუკაშენკოსთან ამით ის აშშ-ს წისქვილზე ასხამს წყალს.

რუსეთ უკრაინის ურთიერთობებს ისეთივე როლი შეიძლება შეესრულებინა დსთ-ს გამყარებაში, როგორიც თავის დროზე ევროპულმა ინტეგრაციამ საფრანგეთ გფრ-ის შორის

თანამშრომლობაში. ამერიკელები მაგალითად, პირდაპირ ამბობენ, რომ თუკი რუსეთი და უკრაინა საერთო ენას გამონახავენ, რუსეთი აზევდება როგორც იმპერია. (გაიხსენეთ მაკინდერის ძირითადი გეოპოლიტიკური კანონი „ვინც ფლობს...") სწორედ აქედანაა ზეწოლა უკრაინაზე აშშსა და ნატოს მხრიდან. უკრაინის ევროპაში განსაკუთრებული მგომარეობის გათვალისწინებით, ა. რადუგინი თავის სახელმძღვანელოში არ გამორიცხავს უკრაინის სამომავლო – დასავლურ-პროევროპულ და აღმოსავლურ-პრორუსულად დაყოფის შესაძლებლობას.

ბალტიის ქვეყნები ჩამოშორდნენ რუსეთს, ალბათ სამუდამოდ. მეტნაკლებად ანტირუსული პოზიცია აქვს ესტონეთს, რომელიც საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს დასავლეთის სპეცსამსახურებთან. რუსეთის ურთიერთობა ლატვიასთან, განსაკუთრებით კი ლიტვასთან შეიძლება განხილულ იქნეს ნორმალურ ჩარჩოებში, ეკონომიკური ურთიერთ სარგებლიანობიდან გამომდინარე.

საკმაოდ რთული ვითარებაა კალინინგრადის ოლქში. ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად ეს რუსული ანკლავი ექცევა იმ სახელმწიფოთა გარემოცვაში, რომელთაც არ გააჩნიათ საზღვრები ერთმანეთში. ევროკავშირი შიშობს, რომ შესაძლოა კალინინგრადი დამნაშავეობის ბუდედ, არაკონტროლირებადი იმიგრაციისა და ევროკავშირის შიგნით სოციალური დაძაბულობის ზონად იქცეს. ამიტომ ევროპელები არ ეთანხმებიან რუსების მიერ, კალინინგრადის ოლქში და ოლქიდან თავისუფალი გადაადგილების მოთხოვნას, რუსული მხარე კი ამას კატეგორიულად მოითხოვს.

ლექცია 12

ევროპა გეოპოლიტიკური ურთიერთობების სისტემაში

1. ევროპის იდეა. ევროცენტრისტული სამყაროს ფორმირება
2. ევროცენტრისტული სამყაროს კრიზისი
3. ევროპა და ახალი მსოფლიო წესრიგი

ევროპა – დედამიწის ნაწილია, რომელმაც სახელწოდება მითიური ზევსის მიერ მოტაცებული ფინიკიელთა მეფის აგენორის ასულის ევროპასაგან მიიღო. ევროპის საერთო ფართობი 10 მლნ. კმ2-ია (დედამიწის ხმელეთის 1/15), სამყაროს ამ ნაწილში ბინადრობს 700 მლნ. ადამიანი (მსოფლიო ხალხის 1/10). აქ არსებობს 49 სახელმწიფო (1/5 ნაწილი). და ბოლოს, საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებეში შეტენილი წვლილით თუკი ვიმსჯელებთ, მას ნამდვილეთ ეკუთვნის პირველობის გვირგვინი.

ცნება „ევროპა" ეს არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ისტორიული, სოციოკულტურული, რელიგიური და ბოლოს პოლიტიკური მნიშვნელობის ტერმინია. ევროპული ერთიანობის იდეა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა. თურქთა (მონღოლ-თათართა) მხრიდან საფრთხის ყოველდღიური ზრდის ფონზე ევროპა ქრისტიანული სამყაროს სინონიმად ყალიბდებოდა.

განსაკუთრებული ევროპული კულტურა უძველესი დროიდან ამბობდა თავის სიტყვას მსოფლიო ცივილიზაციაში. მსჯელობა ევროპის მონღოლთა მიერ დაუპყრობლობის მიზეზების შესახებ, იმ აზრამდე მიგვიყვანს, რომ მონღოლები ჯერკიდევ მაშინ უფრთხოდნენ ევროპულ კულტურას, რომლის საფუძველს ინდივიდუალიზმი, კერძო საკუთრებისადმი სწრაფვა, ეგოიზმი წარმოადგენდა. რომელსაც შეიძლება გაენადგურებინა სამხედრო კოლექტივიზმზე დაშენებული მონღოლთა აზიური კულტურა.

ამ მიმართებით ძველი რუსეთი ახლოს იდგა მონღოლებთან, ე.ი. არანაირ საფრთხეს არ ქმნიდა. სწორედ ამიტომ ოქროს ურდო 250 წლის განმავლობაში არამარტო ძარცვავდა და აოხრებდა მას არამედ მნიშვნელოვნად ზემოქმედებდა რუსეთი სახელმწიფოებრიობის ფორმირებაზე.

XV საუკუნე რომელმაც საფუძველი დაუდო ევროცენტრიზმს ეტაპობრივ ეპოქად იქცა, იმიტომ, რომ 1453 წ. დაეცა აღმოსავლეთ რომის იმპერია, ხოლო 1480 წ. მონღოლ-თათართა იმპერია.

XV საუკუნე – ესაა პირველი ბეჭდური წიგნის, საათების გავრცელების, უნივერსიტეტების დაარსების, ხელოვნების განვითარების საუკუნე. ესაა ერაზმ როტერდამელის, ნიკოლო მაკიაველის, ნიკოლო კოპერნიკისა და სხვათა ეპოქა რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს სამოქალაქო საზოგადოებასა და სამართლებრივ სახელმწიფოს.

გარდა ამისა XV საუკუნე ესაა კაპიტალიზმის ჩასახვის ეპოქა. რომლის განვითარებას თან მოჰყვა გრანდიოზული სოციალური, ეკონომიკური, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, სულიერი ცვლილებები, რომლებმაც გარდაქმნა ევროპული და ჩრდილოამერიკული რეგიონები. კერძო ინტერესები უბიძგებდა ევროპელებს სამყაროს უკაცრიელ წერტილებში.

სიმტომატურია, რომ ქრონოლოგიურად ევროცენტრისტული ბურჟუაზიული ცივილიზაციის ფორმირება დაემთხვა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქას, XV ასწლეული იქცა საუკუნედ, როცა კაცობრიობამ აღმოაჩინა სამყარო მთლიანობაში.

გრანდიოზული გეოგრაფიული აღმოჩენების წყალობით ევროპელ ზღვაოსნებს გაჰქონდათ საკუთარი ფასეულობები, ტრადიციები, შრომის იარაღები და ცხოვრების წესი აზიაში აფრიკასა და ამერიკაში. ჰეგელის გამოთქმით დედამიწა ევროპელთათვის ამ პერიოდიდან იქცა მრგვალად. ამავე პერიოდიდან მოეღო ბოლო ცივილიზაციათა და კულტურათა იზოლაციას, დაიწყო „ევროპულის" მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შეღწევის პროცესი.

ინგლისელების, ფრანგების, ესპანელების, პორტუგალიელების მიერ უკიდეგანო ე.წ. „თავისუფალი მიწების" ათვისებამ ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და აფრიკაში დასაბამი დაუდო ახალი ერების ევროპული წყობის ეროვნული სახელმწიფოების ფორმირების პროცესს. ევროპელთა უპირატესობა აისახა უკიდეგანო კოლონიალური იმპერიების ჩამოყალიბებაში, საიდანაც უდიდესი შემოსავლები მოედინებადა.

ეკონომისტების გამოთვლით გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და კოლონიალურმა დაპყრობითმა ომებმა ევროპას 50 მლრდ. აშშ დოლარის შემოსავალი მოუტანა. რომელმაც მას საწარმოო რევოლუციის საშუალება მისცა, და რაც მთავარია, ევროპული სახელმწიფოები სახით ხალხისაკენ მოაბრუნა.

XIX საუკუნეში ევროპის როლი მსოფლიოში კიდევ უფრო გაიზარდა. სამყარო ევროცენტრისტულად, ხშირად მას დასავლეთცენტრისტულსაც უწოდებენ. ტერმინ „დასავლეთში" მოიაზრება: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, სკანდინავიის ქვეყნები აშშ, კანადა და ა.შ.

რეალურად, გეოპოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX დასაწყისი საუკუნეების ესაა ევროცენტრისტული სამყაროს აპოგეა. გავლენა და ბატონობა სამყაროს სხვადასხვა წერტილში იმდენად დიდი იყო, რომ დანარჩენი ხალხი, რეგინები და ქვეყნები იმდენის უფლებას აძლევდნენ თავს რა დოზითაც იყვნენ დასავლეთთან დაკავშირებულნი, ისინი ინარჩუნებდნენ მსოფლიო პოლიტიკის პასიური სუბიექტების ფუნექციას.

უკვე XVIII საუკუნეში ჩნდება ევროპული ცივილიზაციის ცნება, რომელიც დაუპირისპირდა სხვა ბარბაროსულ არადასავლურ საზოგადოებრიობას. პირველად ტერმინი „ევროპული ცივილიზაცია" შემოტანილ იქნა 1766 წ. ფრანგი აბატის ბოდოს მიერ ხოლო საბოლოოდ დამკვიდრდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ.

ბუნებრივია, რომ ამის საფუძველზე წარმოიშვა ევროპის პოლიტიკური გაერთიანების იდეა. ევროპელ პაციფისტთა პარიზის კონგრესზე (ლათ. პაციფუს – საერთაშორისო ანტისაომარი მოძრაობა) 1849წ. ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ვიქტორ ჰიუგომ გააჟღერა ევროპის შეერთებული შტატების შექმნის იდეა: „ევროპა –მისი თქმით საჭიროებს ერთიან მართველობას, დიდ საარბიტრაჟო სამმოს".

თუმცა განვითარების არათანაბრობა XIX-XX საუკუნეებში აღშობდა ევროპის ერთობის სულიკვეთებას, ხელს უწყობდა აგრესიულ ნაციონალიზმსა და უნდობლობის ატმოსფეროს შექმნას. ამ მიმართებით მიმანიშნებელია გერმანია, რომლის კანცლერი ბისმარკი აღნიშნავდა, რომ მისთვის ევროპა მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია. ცნობილია ერთი ასეთი ეპიზოდიც, ინგლისის ელჩმა, კანცლერის გეგმების გააცნობის შემდეგ აღნიშნა ევროპა ამას არ დაუშვება, რაზეც ბისმარკის გაკვირვება გამოიწვია – „ვინაა ეს ევროპა?".

პირველმა მსოფლიო ომმა ნაციონალისტური ისტერიისა მიუხედავად ევროპის გაერთიანების იდეას ვერ დაუსვა ჯვარი. ამ მიმართულებით აქტიური საქმიანობა წამოიწყო ჩეხმა ფილოსოფოსმა ქვეყნის პრეზიდენტმა ტ(თ). მასარიკმა. 1916 წ. გამოვიდა ჟურნალი „ახალი ევროპა", ამავე სახელწოდებით 1918 წ. დაიბეჭდა მისი წიგნი.

იმავე წელს იყო მცდელობა 12 ცენტრალურევროპული სახელმწიფოს გაერთიანების მცდელობა. აშშ-ში შეიქმნა ცენტრალურევროპული დემოკრატიული კავშირი რომელსაც სათავეში მასარნიკივე ჩაუდგა. თუმცა რეალური გავლენა მას არ ჰქონია.

1926 წ. ვენაში შეიკრიბა პირველი პანევროპული კონგრესი, რომელზეც გაცხადებულ იქნა პანევროპული კავშირის შექმნის შესახებ. მისი საპატიო პრეზიდენტად არჩეულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბრიანი, ხოლო მისი წევრები იყვნენ იმ დროისათვის ისეთი ცნობილი ადამიანები როგორებიც იყვნენ: ე. ერრიო, ლ. ბლიუმი, ე. დალადიე (საფრანგეთი), ი. შახტი, კ. ვირტი, ა. აინშტაინი, ტ. და გ. მანი (გერმანია), ფ. ნოელ-ბლოკერი (დიდი ბრიტანეთი), ზიგმუნდ ფროიდი (ავსტრია) და ა.შ.

კავშირის ძირითადი მიზანი ერთიანი წინააღმდეგობის გაწევა როგორც აშშ-სათვის ასევე სსრკ-თვის. ის აგრეთვე ატარებდა პაციფისტურ, ინტელექტუალურ ხასიათს თუმცა ვერ შეეძლო თავიდან აეცილებინა ახალი სამოქალაქო ომი ევროპაში 1939წ.

ევროცენტრისტული სამყაროს კრიზისი მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე დაიწყო, პირველ ეტაპზე ევროპა ფაქტობრივად „დაიკარგა" სსრკ-აშშ-ს წინააღმდეგობების ფონზე. კოლონიალური სიტემის მსხვრევამ კი მგვიანებით მისი როლი საერთოდ მსოფლიო პოლიტიკაში საერთოდ დააკნინა. 70-იანი წლების დასაწყისიდან კი ეკონომიკური აღმავლობის შედეგად ევროპას კონკურენტები გამოუჩნდა აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოების სახით. არსებობდა აზრიც იმის შესახებ რომ „ევროპა აზიის მცირედი კონცხია მხოლოდ", ან ევროპის ისტორია დასრულდა და შეიცვალა ატლანტიკური საზოგადოების ისტორიით"ან კიდევ, „ევროპა ევროპა სავარაუდოდ იქცევა მუზეუმად ამერიკელი, რუსი, იაპონელი და შესაძლოა ჩინელი ტურისტებისათვის".

წინასწარმეტყველურად გაიჟღერა 1949 წ. ცნობილი გერმანელი მოაზროვნეს კარლ იასპერის სიტყვებმა: „ევროპამ უკან დაიხია; რუსეთისა და ამერიკის პოლიტიკაზეა ეხლა დამოკიდებული მისი ბედი".

და თუკი თავის უსიტყვო უპირატესობის ჟამს - მსოფლიოში, ევროპამ ვერ შეძლო გაერთიანება, ის ამას ამჟამად მითუმეტეს ვერ მოახერხებს.

საინტერესოა, რომ თუკი XIX საუკუნეში ევროპის გერთიანების მოწინააღმდეგეებად გერმანელები გამოდიოდნენ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისინი პირველები იყვნენ ვინც ამას ესწრაფოდნენ.

„ერთიანი ევროპა – აღნიშნავდა 1954 წ. გფრ-ის კანცლერი კ. ადენაუერი, - მრავალთა ოცნება იყო. ის იყო იმედი ბევრთათვის. დღეს კი ეს აუცილებელი რამაა ჩვენთვის. უაცილებელია ჩვენი უსაფრთხოებისათვის, ჩვენი თავისუფლებისათვის, ჩვენი, როგორც ცალკეული ერების არსებობისათვის."

ამ იდეების რეალიზაციისათვის 1957წ. შეიქმნა ევროპის ეკონომიკური საზოგადოება (ეეკ ან „ერთიანი ბაზარი") ორგანიზაცია აერთიანებდა საფრანგეთს, გფრ-ს, იტალიას, ბელგიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს, 1973 წლიდან მას შეუერთდა დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია და რამოდენიმე აფრიკული სახელმწიფო (ევროაფრიკა).

ორგანიზაციის მთავარი ამოცანა იყო არსებული წინააღმდეგობათა აღმოფხვრა ამ სახელმწიფოთშორის სავაჭრო ურთიერთობებში. ერთიანი საბაჟო კანონის შემოღება, „პირთა, კაპიტალისა და მომსახურების" თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა. აგრეთვე შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება.

თუკი ერთიანი ბაზარი გარკვეულწილად ხელს უწყობდა ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, ევროპელთა პოლიტიკური იდენტიფიკაციის საქმეში მნიშვნელოვანიროლი შეასრულა სახელმწიფოთშორისმა პოლიტიკურმა ორგანომ – ევროპარლამენტმა. რომელშიც წარმოდგენილია 12 ევროპული სახელმწიფო: ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, გერმანია და საფრანგეთი. ორგანიზაციის შტაბინაა სტრასბურგში.

ევროპარლამენტის 518 დეპუტატი აირჩევიან ერთხელ ხუთი წლის განმავლობაში პირდაპირი კენჭისყრის წესით წევრ სახელმწიფოებში. პირველი არჩევნები ჩატარებულ იქნა 1970წ. სხდომები განიხილავს ევროპული ინტეგრაციის სხვადასხვა საკითხებს.

საინტერსოა, რომ პარლამენტში დეპუტატები იყოფიან არა ეროვნული კუთვნილებების, არამედ პარტიული ფრაქციების მიხედვით, მათგან ყველაზე სოლიდურებია: სოციალისტები, ქრისტიან დემოკრატები, კონსერვატორები, ლიბერალები, კომუნისტები, ეკოლოგისტები და მემარჯვენეები.

დეპუტუტთა რიცხვი თითოეული სახელმწმიფოდან უცვლელია, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინები. ყველაზე მეტი წარმომადგენლობა შედგება 81 ადგილისაგან, ხოლო მცირე – ლუქსემბურგი – 6 დეპუტატისაგან.

იმ დროს როცა იშლებოდა სსრკ ბელოვეჟში 91991წ. დეკემბერი0 ევროპელი ლიდერები მაასტრიხტში ქმნიდნენ ევროპულ კავშირს (ევროპის საზოგადოება). და როგორც ამას ცნობილი რუსი პოლიტოლოგი იური შევცოვი აფასებს:„რუსებმა ეს ომი ევროპელებთან გასროლის გარეშე წააგეს". დამეთანხმებით ალბათ, სასიცოცხლომნიშვნელობის საკითხები საუნებსა და აბაზანებში, როგორც ბელორუსიაში, არ წყდება.

მაასტრიხტის შეთანხმების ჩარჩოებში ევროპული ინტეგრაცია ითვალისწინებს:

- სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სწრაფ მოდერნიზაციას;
- ფუნდამენტალური სამეცნიერო გამოკვლევების ფორსირებას;
- ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოთა და რეგიონთა განვითარების დონის გათანაბრებას;
- ერთიანი ევროპული ვალუტის შექმნას (ეკიუ 2002 წლდიდან);
- განათლების სოციალური გარანტიების კონვერტირებას;
- გარე საზღვრების გამმაგრებასა და შიგას ლიკვიდირებას.

აღნმშნული გრანდიოზული პროგრამის რეალიზაცია სავარაუდოდ ხელს შეუწყობს შეერთებული ქვეყნებისა და რეგიონების ჩამოყალიბებას.

მაასტრიხტში არავის უსაუბრია აგრეთვე გაერთიანებული ევროპის შემადგენლობაში ავსტრიის, შვედეთისა და ფინლანდიის მიღებას. რომლების 1995წ. გაწევრიანდნენ ევროკავშირში.

1997წ. ამსტერდამში საბოლოოდ იქნა მიღწეული შეთანხმებას ერთიანი სავალუტო კავშირის შექმნის და ერთიანი ევროპული ვალუტის (ევროს) შემოღების შესახებ. 1998 წლის 1 იანვრიდან ის შეტანილ იქნა 15-დან 11 ევროპულ სახელმწიფოში (თავიანთი ვალუტა შეინარჩუნა ინგლისმა, დანიამ, შვედეთმა) (ევრო=1,16 დოლარი) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კავშირში გაერთიანებულიყო აგრეთვე ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი.

საარაუდოდ 2010 წლისათვის ევროკავშირის ქვეყნებში სდაახლოებით 500 მილიონი ადამიანი იცხოვრებს (ყველაზე მეტი 135 მლნ. რუსეთში0 ხოლო მისი ეკონომიკა ბევრად ძლიერი იქნება ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკისა (NAFTA – აშშ, კანადა, მექსიკა ერთად აღებული).

ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის გაძლიერება, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს სამხედრო კონსოლიდაციას. ევროკავშირის ფარგლებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და სერიოზულ ფუნქციებს იძენს ევროპულ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი.

მისივე ჩარჩოებში მუშავდებაერთიანი ბირთვული ძალების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რეგიონალური სისტემა.

ერთი სიტყვით, ევროპა, როგორც იტყვიან ხოლმე ბებერია, თუმცა არა გადაბერებული. და ვფიქრობ ყურად საღებია ამერიკელი პოლიტოლოგის სამუელ ხანტინგტონის დასკვნა, სადაც ის წერს, რომ: „დემოკრატიულ, მდიდარი, სოციალურად ჭრელი ქვეყნების ფედერაცია შერეული ეკონომიკით შეიძლება იქცეს უძლიერეს ძალად მსოფლიო არენაზე. თუკი მომდევნო საუკუნე – არა ამერიკულია, სავსებით შესაძლებალია, რომ ის ევროპულად იქცეს. ლიდერობის გასაღების როლმელიც XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთიდან ატლანტიკის გადმოღმა ამერიკისაკენ წამოვიდა, შესაძლებელია ეხლა ისევ აღმოსავლეთის გადავიდეს".მე სავსებით ვეთანხმები მოსაზრებას და ვფიქრობ, რომ ევროპას ჯერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი გეოპოლიტიკური შესაძლებლობანი და მომავალშიც შეასრულებს მნიშვნელოვან როლს საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში.

ლექცია 13

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის (აწრ) ქვეყნების გეოპოლიტიკა

1. აწრ: შემადგენლობა, და განვითარების თავისებურებანი
2. რუსეთ-იაპონიის ურთიერთობების თავისებურებანი
3. ჩინეთის გეოპოლიტიკური გამოძახილებები
4. კორეა გაერთიანების პერსპექტივა
5. ინდოეთი
6. XXI საუკუნის აზიური ორიენტირები
7. ევრო-აზიური გეოპოლიტიკა

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს ამერიკის სახემწიფო მდივანი ჯონ ხეი ირწმუნებოდა, რომ „ხმელოთაშუა ზღვა – წარსულის ოკეანეა, ატლანტიკის ოკეანე – აწმყოს, ხოლო წყნარი – მომავლის ოკეანეაო". და, მართლაც, თითქოსდა ასრულდა ხეის წინასწარმეტყველება, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი (აწრ), უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე სამყაროს ყველაზე უფრო დინამიურად განვითარებად რეგიონად იქცა.

ამომავალი მზის რეგიონი სამყაროს უზარმაზარ სამკუთხედს მოიცავს, ის იწყება რუსეთის შორეულ აღმოსავლეთით და კორეით ჩრდილო-აღმოსავლეთში, გრძელდება ავსტრალიამდე სამხრეთით და პაკისტანამდე დასავლეთით. ამ სამკუთხედში დღეს ბინადრობს მოფლიო მოსახლეობის ნახევარი. იაპონელი გეოპოლიტიკოსის კნოე ფუმიმაროს განსაზღვრებით აზია-წყნარი ოკეანის ტერიტორიული სივრცე – „ესაა დიდი აღმოსავლეთ აზიის აყვავების სფერო".

აწრ – ესაა სამი ძირითადი ბირთვული სახელმწიფოს – აშშ, რუსეთისა და ჩინეთის, სამი უძლიერესი ეკონომიკური პოტენციალის მქონე – აშშ, ჩინეთისა და იაპონიი, ორი უმსხვილესი დასახლებული სახელმწიფოს – ჩინეთისა და ინდოეთის (რომლის მოსახლეობა 1999 წლის აგვისტოს მონაცემებით 1 მლრდ. შეადგენდა. რუსეთს სამყაროს ამ ნაწალში არ გააჩნია არც შესაბამისი ეკონომიკური პოტენციალი, არც მოსახლეობა) ინტერესების ზონა.

აწრ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება ხდებოდა „მიმფრინავი წეროების გუნდის" მოდელით. პირველი ნახტომი იაპონია გააკეთა, რომლის მაგალითსაც მიჰყვა „ოთხი აზიური დრაკონი": ტაივანი, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი და სინგაპური. მაგალითად, 1960 წლისათვის

სამხრეთ კორეაში ერთ სულზე შემოსავალი 80 დოლარს აღწევდა, 1998 წელს – 5000 დოლარამდე გაიზარდა. შემდეგ მას მიუერთდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები: ახალი ზელანდია, ინდონეზია, მალაიზია, ტაილანდი და ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოები. რეკორდული მაჩვენებლებით ვითარდება აზიის გიგანტი – ჩინეთი.

შემთხვევით არაა, რომ დღეს ამ რეგიონისკენაა თითქმის ყველა სახელმწიფოს ყურადღება მიპყრობილი. 1978 წლისათვის აშშ სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბები აწრ-ს ევროპული სახელმწიფოების იდენტური იყო. ხოლო XXI საუკუნეში მოცულობამ აზიასთან მიმართებაში ორჯერ გაიზარდა.

რეგიონს გააჩნია მხვილი ფინანსური, ტექნოლოგიური და სამრეწველო პოტენციალი, კადრები და გამოცდილებები მართვის ორგანიზაციის სფეროში, აგრეთვე, განვითარებული საკომუნიკაციო სისტემა და რაც მთავარია, უმსხვილესი, შეიძლება ითქვას ამოუწურავი შრომის რესურსი. საკმარისი იქნება აღნიშნვა, რომ მხოლოდ ჩინეთში უმუშევართა რიცხვი 250 მილიონია. ანუ 1,5 ჯერ ბევრი ვიდრე რუსეთის მთელი მოსახლება.

რეგიონის წამყვანი სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების ტემპები რამოდენიმეჯერ აღემატებიან ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ანალოგიერ ტემპებს. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მალაიზიაში გაიზარდა 6-ჯერ, სამხრეთ კორეაში 13-ჯერ, ტაივანში 25-ჯერ, იაპონიაში 4,2-ჯერ, ჩინეთში 9,5-ჯერ.

არსებული მონაცემებით 2000 წლისათვის აწრ მსოფლიო ეკონომიკის ძირითად ცენტრად გადაიქცა, რომელიც თავისი მოცულობით რამოდენიმეჯერ აღემატება ჩრდილოამერიკულ (NAFTA)-სა და ევროპულ (ევროკავშირს).

მოცემულ ფენომენის არაერთი ახსნა გააჩნია. მიიჩნევა, რომ აწრ ქვეყნების მოდერნიზაციის მთავარი მიზეზი ტრადიციისა და თანამედროვეობის განვითარების ელემენტთა ოპტიმალური სინთეზი იყო. ანუ ის რაც არ ჰყოფნის მრავალთ. (მაგ. რუსეთს)

მნიშვნელოვანი ფაქტორი რეგიონის განვითარებისას კიდევ ერთი, უფრო მაღალი რამ იყო ვიდრე სახელმწიფოს როლი დასავლეთში. აქ მოიძებნა აუცილებელი ბალანსი ბაზარსა და სახელმწიფოს ჩარევის პრინციპს შორის, ანუ განისაზღვრა სახელმწიფო პროტექციონიზმი.

და ბოლოს, კიდევ ერთი მიზეზი, ის არის, რომ ქვეყნებმა მოახერხეს უმტკივნეულოდ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ფაზიდან ინტელექტუალურ რევოლუციაზე გადართულიყვნენ.

ყველა ქვეყანაში ეს ფაქტორები გამოვლინდა თავისებურად, მაგალითად იაპონიის აღმასვლა აიხსნება „იაპონური სულის" დასავლურ ტექნიკასთან ერთობლიობაში. საუკუნეების მანძილზე ნაციონალურ-რელიგიური ტრადიციების დამცველ იაპონიაში მოხერხდა ყოველი იაპონელი ყაჩაღი სამურაელისაგან (XIX ს) XXს-ის მუშა სამურაიად გადაიქცა, რომლებიც დასახული მიზნის შესაბამისად მოქმედებენ ზუსტად და ენერგიულად.

ამსათან დასავლური მოდელის, ანუ ინდივიდზე მახვილისაგან განსხვავებით, იაპონური მოდელი აქცენტს პიროვნების თვითშემოფარგვლაზე აკეთებს. სწორედ ასეთი მიდგომა იქცა იაპონიის ეკონომიკური აღმავლობის მიზეზი. შემთხვევითი არაა, რომ ზოგიერთი ავტორი იაპონურ სისტემას „იაპონიის არაკაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკას" უწოდებენ.

იაპონური რეფორმების წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამერიკელებმა, ეკონომიკურ სასწაულს ხელი შეუწყო იაპონიის დემილიტარიზაციამ, სადაც დღემდე სამხედრო ხარჯები წესით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტის 1%.

დღეისათვის იაპონია არის ეკონომიკური ზესახელმწიფო, რომელიც თავისი ძლიერებით აღემატება ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს და თავისუფლად უწევს კონკურენციას მსოფლიო ეკონომიკაში აშშ-ს. 2000 წლისათვის იაპონია 130მლნ.-იანი მოსახლეობით მხოლოდ 15%-ით ჩამორჩებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მანიშნებელია, რომ იაპონიის საზღვარგარეთული კაპიტალი 1 ტრლდ. დოლარს აღემატება, ამერიკა კი ანალოგიურ მაჩვენებლებიც გაცილებით წინაა. ჟურნალ „უოლ-სთრით-ჯორნილის" მონაცემებით 90-იან წლებში მსოფლიოში მოქმედი 100 უმსხვილესი ბანკიდან 29 იაპონური, 12 გერმანული, 10 ფრანგული, 9 ამერიკული და 9 იატლიური იყო. აგრეთვე 5 უსხვილესი სადაზღვევო კომპანიიდან 4 იაპონური.

იაპონია რუსეთის ურიერთობები სათავეს ეკატერინე II-ის ეპოქიდან იღებს, თანამშრომლობა იმდენად მეგობრული იყო, რომ შორეული აღმოსავლეთის ათვისება ძალიან უმტკივნეულოდ, რუსეთ-იაპონიის შეთანხმებების საფუძველზე ხდებოდა, მსგავსი ურთიერთობა ბუნებრივია არ აწყობდა აშშ-ს. სწორედ ამერიკის დამსახურებაა რუსეთი-იაპონიის 1904-1905 წწ. ომი. რომლის შედეგადაც რუსეთმა დაკარგა სამხრეთ სახალინი და კურილიის კუნძულები. შემდეგ იაპონია შორეული აღმოსავლეთის ინტერვენციაშიც იღებდა მონაწილეობას. დიპლომატიური თანამშრომლობა რუსეთმა იაპონიასთან დაამყარა 1925 წელს. თუმცა იაპონიის დაპყრობითი პოლიტიკა აზიაში აღნიშნულ კავშირს დროგამოშვებით ურყევდა საფუძველს. უფრო მეტიც 1938წ. ხასანის ტბისა და1939წ. მდინარე ხალხინგ-გოლის მიდამოებში

იაპონებმა მსხვილი სამხედრო პროვოკაცია წამოიწყეს რუსების წინააღმდეგ რასაც სამურაების განადგურება მოჰყვა.

მეორე მსოფლიო ომში იაპონია ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის მხარეს გამოდიოდა, დაიპყრო უდიდესი ტერიტორიები აზიაში. თუმცაღა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში არ ან ვერ ჩართულა. 1945 წლის აგვისტოში სსრ კავშირმა ომი გამოუცხადა იაპონიას. 2 სექტემბერს ხელი მოეწერა იაპონიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. იაპონია ამერიკული საჯარისო შენაერთების მიერ იქნა ოკუპირებული.

ომი დამთავრდა თუმცა სამშვიდობო ხელშეკრულებას იაპონია რუსეთს შორის არ გაფორმებულა და მხოლოდ 1956 წ. მოეწერა ხელი დეკლარაციას სსრკ-სა და იაპონიას შორის საომარი მდგომარეობის შეწყვეტისა და დიპლომატიური კავშირების აღდგენის შესახებ, ხრუშოვმა მაშინ დაპირდა კიდეც იაპონელებს რომ დაუბრუნებდა მათ კუნძულების რუსულ ნაწილებს: შიკოტანსა და ბრტყელ (ხაბომაის) კუნძულებს, თუკი იაპონია სამშვიდობო ხელშეკრულებას გააფორმებდა სსრკ-სთან. თუმცაღა 1960 წელს იაპონიამ ამერიკასთან გააფორმა შეთანხმება, რომელშიც ანტირუსული მიმართულებების მუხლებიც იყო, რის გამოც რუსეთმა უარი განუცხადა მას კუნძულებთან დაკავშირებულ შემდგომ მოლაპარაკებებზე. იმ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე იაპონიას პრეტენზიები აქვს კურილიის კუნძულებზე, გარდა ამისა ულტრა-რადიკალური წრეები ქვეყანაში ითხოვენ სახალინისა და ყველა კურილის დაბრუნებას. ზომიერები მოითხოვენ 4 კუნძულის დაბრუნებას: კუნაშირის, იტურუპის, შიკოტანისა და ხაბომაის, (ბრტყელი (Плоские)) კუნძულებისას.

იაპონიასთან ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისთვის მახასიათებელია სრასობრივი ერთობა. ძალიან დიდი ხნის მანძილზე ის დანარჩენი სამყარორჩებოდა. იაპონელების ქვეყნის მოსახლეობის 90%-ს შეადგენენ; 0,5% კორეელები; დანარჩენები – ჩინელები და აინელები. ისნი უფრო იშვიათად ვიდრე სხვა ერები შერეულ ქორწინებაში შედიან, მათთვის მახასიათებელია ეროვნული იდენტურობის მაღალი გრძნობა და გარკვეულწილად – სოციალური ჰარმონია.

იაპონია – ესაა ერთერთი საუკეთესოდ ორგანიზებული, კანონმორჩილი, განათლებული ქვეყანა. დემოგრაფიის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია დაარეგულიროს მოსახლეობის ზრდის ტემპები. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალია მსოფლიოში: 77 წელი – მამაკაცებში და 82 – ქალებში.

ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდეოლოგია. ამას დადასტურებაა სხვადასხვა ტურისთა ინტერვიუები, მონათხრობები რომლებიც იაპონიას სტუმრობდნენ 80-იან წლებში. როგორც ჩანს რუსი გემების შესვლა ხიროსიმაში არარეკომენდირებულია იქაური მოსახლეობის ანტირუსულლი განწყობის გამო. წარმოიდგინეთ სიტუაცია, ამერიკელებს, რომლებმაც ხიროსიმა მიწასთან გასწორეს როგორც ძვირფას სტუმრებს – იღებენ, ხოლო რუსებს – ქალაქში არ უშვებენ.

გამომდინარე აქედან, ვფიქრობ, იაპონიამ რუსეთი ურთიერთობაში პირველყოვლისა მტრის ხატისაგან უნდა გაათავისუფლოს. რა თქმა უნდა, ყველაზე მტკივნეული აქ „ჩრდილოეთის ტერიტორიები", – 4 სამხრეთ კურილიის კუნძულებია, რომელთა დაბრუნებამ უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე საერთოეროვნული იდეების ხასიათი მიიღო. არსებობს აგრეთვე ჩრდილოეთის ტერიტორიების საერთოსახელმწიფოებრივი დღე.

ურთიერთობების რეგულირებისათვის ვფიქრობ ეხლა საუკეთესო დროა. იაპონიაში იზრდება ანტიამერიკული განწყობა. როგორც საკუთრივ ამერიკელები აღიარებენ: „ამერიკა იაპონიის თითქოსდა მოწესრიგებული ურთიერთობების მიღმა საკმაოდ არპასასიამოვნო რეალობაა. იყო დრო, როცა იაპონელები ამერიკელებს დიდ პატივს სცემდნენ, თუმცა დღეს ნდობის ფაქტორი ქრება. ბევრი იაპონელი ამერიკას ვარდნისაკენ მიდრეკილად მიჩნევენ, ის მოწამლულია დანაშაულებებით, ნარკომანიით, მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეკონომიკურ სირთულეების მიზეზად იაპონელებს მიიჩნევენ".

ნიშანდობლივია ისიც, რომ იაპონეიაში დღეს თანაბრად მოითხოვენ ამერიკელთა სამხედრო ბაზების გაყვანასა და მის შენარჩუნებას. ანტიამერიკულ განწყობას ხელს უწყობს ამერიკელ სამხედრომოხელეთა ქცევაც, რომლებიც ხშირად ხვდებიან სასამართლო დარბაზებში გაუპატიურებისა და ა.შ. დანაშაულებების გამო.

რა თქმა უნდა ამერიკა და იაპონია დარჩებიან მოკავშირეებად. მიუხედავად იმისა პირველადი ანტისაბჭოური მოტივი ამერიკა-იაპონიის შეთანხმებაში გაქრა, ორივე მხარე დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებით აზიაში.

თავის სამხედრო არსებობას იაპონიაში ამერიკა ამართლებს მშვიდრობის შენარჩუნების სურვილით. ამერიკელი იყენებენ ყველა შესაძლებლობას, თავისანთი პოზიციების გასამყარებლად. აღნიშნულის დასტურია შეთანხმება ამერიკასა და იაპონიას შორის ამერიკელთა მიერ ჩრდილოეთ კორეისაგან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი კოსმოსური სისტემის შექმნის შესახებ.

თუმცა, სულ მალე ეკონომიკურმა კონკურენციამ სავსებით შესაძლოა შეცვალოს თანამშრომლობის ორიენტირები. ასევე სავსებით შესაძლოა, რომ ურთიერთობები რუსეთთან ამ მიმართებით დარეგულირდეს. მითუმეს, რომ იაპონია, შესაძლოა, ისე როგორც არცერთი სხვა სახელმწიფო,დამოკიდებულია ენერგეტიკულ, აგრეთვე გარედან შემოსატანი კვების პროდუქტებზე. ყოველივე ამით კი შესაძლოა ის რუსეთმა უზრუნველყოს.

გარდა ამისა იაპონია (ისევე როგორც გერმანია) რჩება უმსხვილეს ასიმეტრიული შინაარსის სახელმწიფოდ, სადაც ეკონომიკური ძლიერება არ შეესაბამება მის სამხედრო და პოლიტიკურ ძალასა და გავლენას. ის ცდილობს აიმაღლოს თავისი პოლიტიკური სტატუსი, პირველყოვლისა, გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი წევრობის სტატუსის მიღებით, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელია რუსეთის თანხმობის გარეშე.

ეკონომიკური რეფორმების შთამბეჭდავმა წარმატებებმა ჩინეთში საშუალება მოიცა მასზე, როგორც უმსხვილეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სახელმწიფოზე ვისაუბროთ. ფსონი ჩინეთის გეოპოლიტიკუ თამაშში საკმაოდ მაღალია. ესაა ტერიტორიულად მესამე სახელმწიფო მსოფლიოში – რუსეთი და კანადა, უმსხვილესი ქვეყანა აზიაში, რომელიც მჭიდრო კავშირებითაა დამოკიდებული მის ყველა მეზობელთან ყველა სფეროში – ეკონომიკიდან მოყოლებული კულტურითა და უსაფრთხოების სიტემექბის ჩათვლით.

რეფორმებმა საკმაოდ დააჩქარა ჩინური ეკონომიკის განვითარება. მისი ზრდის ტემპები ყველაზე მაღალი აღმოჩნდა და საშუალოდ წელიწადში 10% შეადგინა. 15 წლის მანძილზე (1980-1995) მშპ გაიზარდა ოთხჯერ, 2010 წლამდე სხვადასხვა პროგნოზით ის უნდა გაიზარდოს კიდევ ორჯერ.

ჩინეთი დღეს პირველ ადგილზე დგას ხორბლის, ხორცის, კვერცხის, ბამბის, ტელევიზორების, ლითონის გამოდნობისა და ნახშირის მოპოვების საქმეში.

ჩინეთს გააჩნია უზარმაზარი ადამიანური (1200000000 მლნ. ადამიანი) ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსები იმისთვის, რომ იქცეს დამოუკიდებელ ძალათა ცენტრად. ჯერ კიდევ ნაპოლეონი ამბოდა ჩინეთზე რომ: „იქ გიგანტს სძინავსო, და უმჯობესია იძინოს რადგან როცა გაიღვიძეს მსოფლიოს შეძრავსო". XIX საუკუნის მიწურულს იგივე ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ ხეი ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა: „მშვიდობა სამყაროში ჩინეთს ეფუძნება. ვისაც შეუძლია ჩინეთის გაგება სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური თვალსაზრისით, ფაქტია, რომ მას გააჩნია გასაღები მსოფლიო პოლიტიკაში მომავალ ათწლეულებში".

ჩინეთმა ჯერ კიდევ 20-25 წლის უკან მსოფლიო ბაზრისაგან სრულად იზოლირებულმა, გიგანტური ნახტომი გააკეთეს, რითაც მსოფლიო მეურნეობის განუყოფელ ნაწილად იქცა. და რომლის პოტენციალი სავარაუდოდ მთელი XXI განმავლობაში არ ამოიწურება. დღესისათვის მშპ-ს მაჩვენებლებით რიგით მესამე ადგილზე მყოფი ჩინეთი მრავალი ეკონომისტის ვარაუდით 2015 წლისათვის პირველ ადგილზე გავიდა.

პარალელურად მიმდინარეობის ე.წ. დიდი ჩინეთის წარმოშობის ინტენსიური პროცესი, - ესაა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ტაივანის, სიანგანის (ყოფილი ჰონკონგი), მაკაოსა და სინგაპურის ეკონომიკური ერთობის პირობითი დასათაურება. რომელიც ყალიბდება იაქტიური ინტეგრაციული პროცესების წყალობით.

ჰონკონგი (ყოფილი ინგლისური ტერიტორია, რომელიც 1997 წელს ჩინეთის ქალაქად იქცა და მას სიანგანი ეწოდა), მაკაო (პორტუგალიის კოლონიური ტერიტორია 1999წ-მდე), ტაივანი (ჩინურ ტერიტორიად მიიჩნევა, თუმცა ჩინეთის სახელხო რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1949 წლის დეკემბერში ტაივანზე გადმოვიდა გომინდანის მთავრობა, რომელმაც კუნძული აყვავებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აქცია). სინგაპური მალაის ნახევარკუნძულზე განლაგებული ქალაქი სახელმწიფოა რომელიც ასევე 50-მდე მცირე კუნძულსაც მოიცავს. დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი მიიღო 1965 წლიდან, არის გაეროს წევრი).

აღნიშნული კავშირის საერთო ექსპორტი 1998 წლისათვის 475 მლრ. დოლარს შეადგენდა, რაც რამოდენიმეჯერ აღემატება იაპონურ ექსპორტს. 2002 წლისათვის ჩინეთის, ჰონკონგისა და ტაივანის მშპ 10 ტრილიარდი დოლარი შეადგინა მაშინ როცა აშშ-ს მშპ 9.7 ტრლ. დოლარი იყო.

დიდი ჩინეთიდან ძლევამოსილ ჩინეთად გადაქცევა შესაძლებლობას იძლევა ინტეგრაციული პროცესები ინდონეზიასთან, მალაიზიასთან, ფილიპინებთან, ტაილანდთან, სადაც გაბატონებულია ასევე ჩინური კაპიტალი. კაპიტალის მოცულობა რომელსაც აწრ (ე.წ. ხუაციაო), მცხოვრები 50-60 მლნ. ჩინელი ფლობს სრულად შეესაბამება საკუთრივ ჩინეთის მშპ-ს.

ჩინელები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მოსახლეობის 10%. მაგრამ მილიარდელთა 86% სწორედ ხუაციაოზე მოდის. მაგალითად 3.5% ჩინელები ინდონეზიაში აკონტროლებენ კაპიტალის 73%, მალაიზიაში ხუაციაო ფლობს კაპიტპლის 60%, ასეთივე მოცულობის კაპიტალს აკონტროლებენ ჩინელები ფილიპინებზე, ტაილანდში ხუაციაო აკონტროლებს კაპიტალის 81%. არსებითია ხუაციაოს ეკონომიკური პოზიციები სხვა ქვეყნებშიც: ავსტრალიაში, მიანმაში, ლაოსში, ვიეტნამში, ამასთან მათთის მახასიათებელია დაახლოების

მზარდი ტენდენცია, ხუაციაოს აწრ-ში განიხილავერ როგრორც ერთიან ბაზარს, რომელსაც არ გააჩნია ეროვნული საზღვრები.

ხუაციაომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩინეთის ეკონომიკურ განვითარებაში. რეფორმების პერიოდში 1979-1996წწ. ჩინეთში ინვესტირებულ იქნა 284 მლნ. დოლარი, ლომის წილი 80% ეთნიკური ჩინელებზე მოდის, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობენ, პირველყოვლისა აწრ-ში.

ჩინელთავის დამახასიათებელია უკიდურესად მჭიდრო სისხლითნათესაური, მიწიერი კავშირები (ყოველი საკუთარი თავის პატივისმცემელი ჩინელმა ზეპირად იცის თავისი წინა ათი თაობის გენიალოგია).

გარდა ამისა, ჩინეთის მთავრობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ხუაციაოში კაპიტალის დასაბანდებლად, პირველყოვლისა საგადასახადო შეღავათებითა და დაბალი გადასახადებით მიწებზე. ამასთან გამოიყენებოდა კაპიტალის მოზიდვის მრავალი სხვა ფორმებიც.

წარმატებებმა ეკონომიკაში საშუალება მიცა ჩინეთს წარმატებებისათვის მიეღწია სამხედრო სფეროშიც, მისი ჩრდილოეთის სამხედრო დაჯგუფება დღეისათვის რამოდენიმეჯერ აღემატება ყაზახეთის შეირაღებულ ძალებს.

თუკი ასეთივე ტემპები შენარჩუნებულ იქნება მომავალშიც, სავსებით შესაძლებელია XXI საუკუნე იქცეს ჩინური ცივილიზაციის საუკუნედ, ყოველი შემთხვევისათვის ჩინური იდეოლოგიური აპარატი ამ მიმართულებით დღეს აქტიურად მუშაობს.

არსებობს ეკონომიკური გათვლებიც.

მსოფლიოში ვაჭრობის დინამიკის პროგნროზი.

უკანასკნელ წლებში რუსეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობებში მიღწეული იქნა მნიშვნელოვან პროგრესს, არსებობს ფორმულაც „XXI საუკუნეში მიმართული სტრატეგიული პარტნიორობა". ჩამოყალიბდა უმაღლეს დონეზე თანამშრომლობის განსაზღვრული მექანიზმები. რაზეც მეტყველებს რუსეთისა და ჩინეთის დელეგაციების რეგულარული ვიზიტები უმაღლეს დონეზე. დარეგულირებულია ძირითადი სასაზღვრო (ყოველი შემთხვევისათვის გარედან ასე ჩანს) ტერიტორიული პრეტენზიები.

თუმცა რუსეთი და ჩინეთი ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ერთიმეორისაგან ზურგიზურგ დგანან – ერთისათვის არსებითია ურთიერთობების გაუმჯობესება ევროპასთან, მეორესათვის აწრ - ქვეყნებთან.

რუსეთს ყველა შესაძლებლობა აქვს კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობები იქონიოს რეგიონთან მას საამისოდ გააჩნია შესაბამისი ტექნოლოგია, აგრეთვე ბენებრივი რესურსები, და ბოლოს რუსეთზე გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერიები ტრანსციმბი, დდაუსრულებელი ბამ-ი, ჩრდილოეთის საზღვაო გზა, რომელთაც ძალუძს დააკავშიროს აწრ ევროპასთან.

დდდასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ერთი ასევე მეორე მხარც დაინტერესებულია ურთიერთობების ნორმალიზებით. ჩინური და რუსული ეკონომიკა მრავალ ასპექტში ავსებენ ერთიმეორეს. ჩინეთს შეუძლია საკუთარი სამომხმარებლო და სოფლისმეურნეობის საქონელი მიაწოდოს რუსეთს სამრეწველო დანადგარებისა და სამხედრო ტექნიკის საფასურად.

ურთიერთობების დათბობის ნათელი მაგალია, რუსეთის მზადყოფნა მიაწოდოს ჩინეთს თანამედროვე სამხედრო-საბრქოლო თვითმფრინავები – სუ27. სწორეთ ეს ურთიერთგაგება შეიძლება ჩაითვალოს მეორე იაპონია-აშშ-ს პრეტენზიათა კონტრბალანსად.

რუსული დიპლომატიის ყურადღების ზრდა აწრ-ში ასახვა ჰპოვა საგარეო პოლიტიკის კორეული მიმართულების აქტივიზაციაში.

როგორც ცნობილია კორეელი ხალხი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაყოფილ იქნა ორ სახელმწიფოდ. წარმოშობის მიზეზი პოცდამის კონფეროენციის გადლაწყვეტილება იქცა, რომლის მიხედვით ის 38 პარალელზე გაყოფილ იქნა ამერიკულ და რუსულ საუკუპაზიო ზონებად. შედეგად 1948წ. წარმოიშვა კორეის სახალხო დემოკრატიული სახელმწიფო.

1950-53წწ. წარმოებდა ომები ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რომელმას საბოლოოდ გაყო ეს ხარლხი ორ სახელმწიფოდ – კომუნისტურ და კაპიტალისტურ. კსდრ-ში ბინადრობს დაახლოებით 24 მლნ. ადამიანი, სამხრეთში კი – 45მლნ.-მდე.

რუსეთს ისტორიულად ფართო კავშირები გააჩნია კორეასთან. მისი გეოპოლიტიკური ინტერესები კორეის ნახევარკუნძულზე იმით აიხსნება რომ სწორედ მას შეუძლია იქცეს მის ტრატეგიულ მოკავშირებ რეგიონში. განსაკუთრებით მაშინ როცა ფრთხილობს არ გათელოს ის ჩინეთმა ან იაპონიამ.

ამ როლის რეალიზაციის სირთულე კი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთს არ შეუძლია მუდმივად სტაბილური ურთიერთოყბა შეინარჩუნოს მასთან. ჩრდილოეთთან უთანხმოების მიუხედავად მან ვერ მოახერხა ნორმალური ურთიერთობა შეენარჩუნებინა სამხრეთთან,

შედეგად რუსეთი გაძევებულ იქნა ოთხმხრივი მოლაპარაკებებიდან (მასში მონაწილეობენ: აშშ, ჩინეთი, სამხრეთ და ჩრდილოოეთ კორეა).

განსაკუთრებით დაინტერესებული ა რუსეთი კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებით ინდოეთთან. ჯერ კიდევ სიციალიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგებობების ფონზე ინდოეთმა რომელიც არ ფარავდა თავის სიმპატიებს სსრ კავშირთან სათავეში ჩაუდგა მესამე სამყაროს ქვეყნების მიუმხრომლორბის მოძრაობას.

ინდოეთი გეოპოლიტიკურად პრიორიტეტულ პარტნიორად მნიშვნელოვანია რუსეთისათვის იმიტომ, რომ ის ისე როგორც არცერთი სხვა სახელმწიფო ძალების ბალანსირებას რეგიონში. კავშირი მასთან რუსეთს საშუალებას მისცემს გაცილებით დამაჯერებლად იმოქმედოს აშშ-სთან, რომელიც ფსონს პაკისტანთან კავშირზე დებს (ინდოეთის წინააღმდეგ), აგრეთვე გააწონასწოროს პოზიციები ჩინეთთან. ბირთვული იარაღის გამოცდის შემდეგ კი (1999წ.) აღნიშნულმა სტატუსმა კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. ინდოეთისათვის რუსეთი პარტნიორის როლში კიდევ უფრო აქტუალური გახდა მუსლიმურ სახელმწიფოთა გაზრდილი ამბიციების ფონზე, რომელთა რიცხობრივი რაოდენობა სსრკ-ს დაშლის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. მას ისევე როგორც რუსეთს არ აწყობს მოვლენების ისეთი განვითარება, სადაც სსრკ-ს მუსლიმური სახელმწიფოები – აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი – ისლამურ სამყაროში ინტეგრირებულნი აღმოჩნდებიან. გარდა ამისა ინდოეთი ჯერ არ აცხადებს საკუთარი გეოპოლიტიკური ამბიციების შესახებ რეგიონში, ამიტომ ის სავსებით თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს თავისებურ გეოპოლიტიკურ სტაბილიზატორად მოკავშირის რანგში.

რუსეთს აწრ-ში ფაქტია, რომ აღიქვამენ კონსტრუქციულ პარტნიორად, ის გაწევრიანებულია ყველა ძირითად სამხრეთ აზიურ საერთაშორისო ორგანიზაციებში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე რუსეთი არ იქცევა უმსხვილეს ეკონომიკურ აქტორად, მას მოუწევს ამ ნაკლის დაფარვის კომპენსირება სამხედრო პირველ ყოვლისა კი საზღვაო-სამხედრო პოტენციალის ხარჯზე.

ცოტაოდენი ხნის წინ ტერმინს „აზიელობა" (აზიატჩინა) გამანადგურებელი, ნეგატიური მნიშვნელობა გააჩნდა. დღეს კი მოწმენი ვართ იმისა, რომ თანდათანობით ტერმინი აზია პოზიტიურ ქვეტექსტს იძენს. ასე მაგალითად, სინგაპურის ინფორმაციისა და კულტურის მინისტრი ჯონ იო თვლის, რომ თანდათანობით ყალიბდება აზიური ცივილიზაცია, რომელიც ეფუძნება კონფუციანელობას, დაოსიზმსა და ბუდიზმს.

არსებობს საკმარი ვერსიებიც იმისა, რომ აზიურ ფასეულობათა გაგება, შესაძლებელია თუკი გაითავისებს იმ თავისებურებებსა და მრავალფეროვნებას რომელც იქ არსებობს. მაგალითად:

1. ოჯახის საზოგადოებისა და პოლიტიკური სიტემების ჩარჩოებში ოპტიმალური მოდელედ განხილვა;

2. ჯგუფური ინტერესების ინდივიდუალურ ინტერესებსზე პრიორიტეტულობა;

3. საზოგადოება ითვალისწინებს ძლიერ სახელმწიფოს, რომელის მის ძირითად ინტერესთა გარანტად გამოდის;

4. ურთიერთპატივისცემა;

5. ნათესაური, კლანური, სასკოლო თუ ინსტიტუტური კავშირების მნიშვნელოვანი როლი.

ეს თავისებურებეი აყალიბებენ აზიური დემოკრატიის კონტურებს, რომელიც განსხვავდება დასავლური და განსაკუთრებით ამერიკული დემოკრატიისაგან. 1993 წლის ჰონკონგის კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, სადაც გაცხადებულ იქნა ადამიანის უფლებქების აზიური შეხედულებები.

რომლის მიხედვით სამართლის საერთაშორისო ნორმები ითვალისწინებს „ნაციონალურ, რეგიონალურ სპეციფიკასდა სხვადასხვა ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ ტრადიციებს". აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, ჩინეთი უშიშროების საბჭოში თავს იჭერს კენჭისყრისას როცა საქმე ეხება ადმიანის უფლებებეს რომელიმე ქვეყანაში. როგორც იყო კოსოვოში, ეხლა ერაყში.

ზემოთაღნიშნული ფასეულობების საფუძველზე მიმდინარეობს „აზიის აზიტიზაცია" ან კიდევ, თუკი სხვა სიტყვებით ვიტყვით, ყალიბდება აზიური მსოფლმხედველობა, რომელიც იაპონელი ჟურნალისტის ი. ფუნაბაშის თქმით „ანტიკოლონიალისტური და ადმიანის თავისუფლებისადმი სერიოზული დამოკიდებულებით, ყოველდღიური პრაგმატიზმით ასულდგმულებს, განვითარებად საშუალო ფენასა სოციალურ განწყობას, ხელოვნებით კი ტექნოკრატებს."

აზიის აზიატიზაცია პირველყოვლისა არის მისი ეკონომიკისა და მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების გლობალიზაციის შედეგი. აზიური თვითშეგნების ამაღლების სტიმულატორი გარკვეულ წილად ევროპისა და აშშ-ს გამოძახილებების. ევროკავშირის მიერ

ერთიანი სახელმწიფოს და აშშ-ს მიერ ჩრდილო ამერიკული ზონის შექმნის მცდელობა აზიურ სახელმწიფოთა ლიდერებს კონსოლიდაციის სურვილს უღვივებს.

ამასთან თუკი „ცივი ომის" პერიოდში ეს კონსოლიდაცია უპირატესად მილიტარისტულ ხასიათს ატარებდა იმის გათვალისწინებით თუ რომელ ბანაკში იმყოფებოდა კონკრეტული სახელმწიფო. საკმარისია გავიხსენოთ ომი ვიეტნამში, მოვლენების განვითარება ინდოჩინეთში. ამჟამად უპირატესობა მთელი რეგიონის ეკონომიკურ ინტეგრაციას ენიჭება.

მსგავსი ცვლილებების ნათელი მაგალითია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (ACEAN) რომელშიც გაერთიანებულნი არიან ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური, ტაილანდი, ფილიპინები და ბრუნეი. თუკი დასაწყისისათვის ის 1967წ. შეიქმნა აშშ-სათვის აზიის სოციალისტური ქვეყნების კონტრბალანსურ მარიონეტულ ორგანიზაციად დღეს მისი ძირითადი ფუნქციები შეიცვალა სოციალურ და ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით. ამასთან დღესდღეობით ამ ორგანიზაციის გეოგრაფიული არეალი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან როლს რრეგიონში თამაშობს აზია-წყნარი ოკეანის ეკონორმიკური თანამშრომლობის საბჭო. 1989წ. შეიქმნა გავლენიანი ორგანიზაცია – აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობოთშორისი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აზიურ სახელმწიფოებთან ერთად არაერთი ევროპული და ამერიკული ქვეყანები. კონფერენციის ძირითადი ამოცანაა – მთელი სამყაროს ინტეგრაციული პროცესების კონსოლიდაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ინტრერესების გათვალისწინებით.

გასაგებია, რომ მსგავსი გლობალური პროცესების ბაზაზე იზრდება აზიური ელიტა. დიდი წვლილი მის ფორმირებაში მიუძღვის დასავლეთსაც. დღეს ბევრი აზიელი სტუდენტი განათლებას იღებს ევროპულ და ამერიკულ უმაღლეს სასწავლებლებში. ასე მაგალითად მხოლოდ ამერიკულ უმაღლესებში სწავლობენ დაახლოებით 40 ათასი აზიელი სტუდენტი. საკმაოდ არიან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ., მსუ).

თუმცაღა XXI საუკუნეში აზიამალბათ უნდა გადასინჯოს მოქმედი ელიტის როლი და საზოგადოებრივი მოდელი, რომელიც თავიდან ბოლომდე ევროპასა და ამერიკაზეა ორიენტირებული. აზიატიზაციის მომხრეები თვლიან, რომ „წინააღმდეგობებსა და უწესრიგობების პრობლემათა გადაჭრა, რომელიც ძველი ფასეულობების მოდერნიზაციას ეფუძნება შეუძლებელია. შეუძლებელია მისი გადაჭრა დასავლური ცივილიზაციის განდიდებით. სწორედ აზიური განათლება და საგანთა აზიური გაგება, რომელიც აზიურ

ელიტას გააჩნია, იძენს პირველხარისხოვან მნიშვნელობას" /კ. ოგურა/ ანუ საუბარია არა იაპონურ, ჩინურ ან ახალ ინდუსტრიალური ქვეყნების მოდელზე არამედ აზიურ იდეაზე. სინგაპურელი მკვლევარი კ. მახბუბანი მაგალითად წერს, რომ „ევროცენტრისტულ აანალიტიკოსებს თავიანთი კონცეფციების გადასინჯვა მოუწევთ, თუკი თუკი მათ ისტორიის შემდეგი მსვლელობის სწორად გაგების სურვილი გაუჩნდებათ".

საუბარი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება სამყარო XXI საუკუნეში - ამერიკული, ევროპული თუ აზიური რთულია. მაგრამ უკვე დღეს შესაძლებელია მტკიცება იმისა, რომ აღმოსავლეთი იქცა ჭეშმარიტად დიდ და მსოფლიო საზოგადოებაში კონსტრუქციათა შემტან რეგიონად. და XXI ასწლეული იქნება იმ ხალხთა თუ კულტურათა საუკუნე, რომლებიც შეძლებენ (საზოგადოების) ინდივიდუალისტურობისა და ორგანულობის ოპტიმალური სინთეზის მიღწევას.

მაგრამ არსებობს პრობლემებიც:

- აწრ-ს არასაკმარისი პოლიტიკური სტრუქტურიზაცია;
- სახელმწიფოთშორისი წინააღმდეგობები; (სქემა)
- აქტიური შეირაღება.

ლექცია 14

ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გეოპოლიტიკა

1. ირანის, თურქეთისა და ერაყის გეოპოლიტიკური პოზიციები
2. პრობლემათა ახლოაღმოსავლერი კვანძი
3. ისლამის ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში
4. ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის (დსთ) ქვეყნები

უკანასკნელ ათწლეულში ცხოველ ინტერესს იწვევს მიმდინარე პროცესები ცენტრალური და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. კერძოდ თურქეთში, ირანში, საუდის არაბეთში, პაკისტანში, ავღანეთსა და ისრაელში. აგრეთვე სულ ეხლახანს სუვერენიზებულ ქვეყნებში - აზერბაიჯანში, საქართველოში, სომხეთში, ყაზახეთში, უზბეკეთში, თურქმენეთში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მეტნაკლებად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური აქტრები რეგიონში არიან თურქეთი და ირანი. ირანი მსოფლიო პოლიტიკაში წინ წამოწია შახისსაწინააღმდეგო, ისლამურმა რევოლუციამ, რომელიც ძირითადად დასავლური ვესტერნიზაციის წინააღმდეგ იყო მიმართული, და რომელმაც ქვეყანა ისლამურ ფუნდამენტალიზმს მიუბრუნა, რომელიც მოგვიანებით სახელმწიფოს იდეოლოგიის რანგში იქნა აყვანილი.

ისლამურმა რევოლუციამ ირანში დიდი გავლენა იქონია რეგიონუნის ისლამურ სახელმწიფოებზეც. დაიწყო საუბარი ისლამსა და ქრისტიანულ ცივილიზაციებს შორის შეტაკების საშიშროებაზე. წლების განმავლობაში ირანელი ფუნდამენტალისტები ასოცირდებიან ისლამის რადიკალურ ფრთასთან, რომელიც აქტიურად ეწევა საკუთრი იდეების ექსპორტს მეზობელ ქვეყნებში. ირანი შეტანილია მეამბოხე ქვეყანათა სიაში (в списке изгоев), რომელიც ყოველთვის მზადაა საკუთარი სამხედრო პოტენციალი საზოგადოებრიობის წინააღმდეგ გამოიყენოს.

ამიტომ მსოფლიო საზოგადოებრიობა და პირველყოვლისა დასავლეთი ცდილობენ ყოველმხრივ აარიდონ მასთან თანამშრომლოლბას თავი ბირთვული ტექნოლოგიების სფეროში. განსხვავებული პოზიცია გააჩნია რუსეთს, რომელიც განაგრძობს თეირანთან თანამშრომლობას და ეხმარება მას ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობაში. მართალია დასავლეთი

ცდილობს მკაცრად განსაზღვროს საკუთარი დამოკიდებულება ირანთან, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის უარს აცხადებს თანამშრომლობაზე. ირანის მყარი გეოპოლიტიკური პოზიციების გამო დღეს ნებით თუ იძულებით მასთან თანამშრომლობენ: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, აგრეთვე მეზობელი სახელმწიფოები. 1997 წლის დეკემბერში თეირანში ჩატარდა ორგანიზაცია ისლამის კონფერენციის წევრთა მერვე საერთაშორისო კონფერენციაზე.

დღეისათვის ირანში ბინადრობს 60 მლნ. ადამიანი. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 150მლრდ. ამერიკულ დოლარს. მას გააჩნია მეტად მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ადგილმდებარეობა. შემთხვევით არ იყო, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერთა (სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი) პირველი შეხვედრა მეორე მსოფლიო ომში სწორედ ირანის დედაქალაქში – თეირანში შედგა.

ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი აშშ-მა და ინგლისმა კატეგორიულად მოითხოვეს სტალინისაგან სასწრაფოდ გაეყვანა ჯარები ირანის ტერიტორიიდან. დღესაც ქვეყნის ტერიტორია და სიმდიდრე (მსოფლიოში მესამე ადგიმლი გაზის მარაგებით, რკინის საბადოთა უმდიდრესი საბადოები, ჰიდრორესურსები) იქცევს როგორც დასავლეთის (ატლანტიზმი) სათავეში აშშ-თი, ასევე ჰართლენდის, ე.ი. რუსეთის ყურადღებას.

კავშირი ირანთან რუსეთს ინდოეთის ოკეანეზე გასასვლელს აძლევს, არსებობს აგრეთვე სპეციალური არხის მშენებლობის გეგმაც, რომლითაც კასპიის ზღვა დაუკავშირდება სპარსეთის ყურეს, გაფორმებულია შეთანხმებები სატრანსპორტო დერეფნის ჩრდილოეთი – სამხრეთი (ჰელსინკი-მოსკოვი-ვოლგოგრადი-ასტრახანი-ენზელი-ბენდერი-აბბასი) რეალიზების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ მეზობელი თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, რუსეთის მეგობარ ირანს შეუძლია დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოზიციათა ნეიტრალიზება ცენტრალურ აზიაში. ამიტომაა რომ აშშ ეცდება რუსეთის გამოდევნას ირანიდან, ხოლო რუსეთი პირიქით საკუთარი პოზიციების გამყარებას: აწვდის მას სხვადასხვა მოწყობილობებს, ეხმარება ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობაში, ხელს უწყობს ადგილობრივ კომპანიებს გაზისა და ნავთობსაბადოთა ათვისების საქმეში და ა.შ.

მიტროფანოვი და ჟირინოვსკი უწყვეტლივ ქადაგებენ დიდი სპარსეთის აღორძინების აუცილებლობის იდეას, რომელიც რეგიონიდან აშშ-ს გამოდევნის გარანტი გახდება, განსაკუთრებით მაშინ როცა რუსეთს გააჩნია უპირატესობა – ის მეზობელია და სპარსებთან მისი მეგობრობა არა დიპლომატიური თამაშია, არამედ ობიექტური აუცილებლობა, რომელიც

გეოპოლიტიკის კანონებიდან, აგრეთვე ცენტრალური აზიისა და ირანის ხალხების ეთნიკური სიახლოვიდან გამოედინება.

რუსეთი, ირანი და ჩინეთი ობიექტურად არიან დაინტერესებულნი ატლანტიზმის გავლენის შესუსტებით, ირანს შეუძლია დაეხმაროს რუსეთს გაარღვიოს დასავლური ანაკონდის რკალი.

ირანისა და რუსეთის გრძელვადიანი გეოპოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს სომხეთის სუბრეგიონშიც კვეთენ. რუსეთისათვის სომხეთი ტრადიციული მართლმადიდებელი მოკავშირეა. ირანიც ასევე თურქეთის საწინააღმდეგოდ, რომელსაც დღემდე ოფიციალური ერევანი 1915 წლის სომეხთა მასობრივ განადგურებაში ადანაშაულებს და რომელთანაც დღემდე არ გააჩნია არანაირი დიპლოლმატიური კავშირები - დაინტერესებულია სომხეთთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებით.

ე.ი. რუსეთი და ირანი ახლო და შორეული მომავლის პერსპექტიული გეოპოლიტიკური მოკავშირეები არიან.

70-80-იანი წლების განმავლობაში რუსეთი დ ერაყი სტრატეგიული მოკავშირეები იყვნენ. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით გაღრმავდა მას შემდეგ რაც ჩიხში მოექცა ეგვიპტე რუსეთის თანამშრომლობა ახლო აღმოსავლეთში. ერაყი ამ უკანასკნელს რეგიონში მყარად ჩაენაცვლა. რუსი სპეციალისტების დახმარებით ამ ქვეყანაში აშენებულ იქნა ქვეყნის სამრეწველო ობიექტების 70%, მათ შორის ელექტრო და ჰიდროსადგურები, რკინიგზა. 1990 წლამდე სსრკ-სა და ერაყს შორის წლიური საქონელბრუნვა 8 მლრდ. დოლარს აღემატებოდა. ერაყს გააჩნდა ყველაზე მრავალრიცხოვანი და სსრკ-ს მიერ კარგად შეარაღებული არმია რეგიონში.

თუმცაღა ხუსეინის ავტორიტარული რეჟიმი თვითგადარჩენისათვის მუდმივად მოითხოვდა წინააღმდეგობების გაწევას მეზობლებისადმი. თავდაპირველად ეს იყო უაზრო ომი ირანთან, შემდეგ 1990წ. მცირე მაგრამ მდიდარი ქუვეიტის ოკუპაცია. 1991წ. გაეროს უშიშროების საბჭომ ერაყს ქუვეიტიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა. მას შემდეგ რაც ულტიმატუმი უარყოფილიქნა, გაეროს სანქციებით (რუსეთის თანხმობით) ერაყზე მიტანლი იქნა მსხვილი სამხედრო დარტყმები. ომში ფაქტობრივად ერთმანეთს დაუპირისპირდა ამერიკული და რუსული იარაღი, ერაყის დამარცხებამ იურყოფითი გავლენა იქონია დაუმარცხებელი საბჭოთა არმიის ავტორიტეტზე, შემთხვევით არ იქცა 1991წ. სსრ კავშირის დაშლის წელად. ერაყზე გამარჯვების შემდეგ მასზე დამყარებულ იქნა ეკონომიკური ბლოკადა., რომელიც მას საკუთარი რესურსებით ვაჭრობას უკრძალავდა, პირველყოვლისა კი ნავთობითა და გაზით. ამერიკულმა

თვითმფრინავებმა მიიღეს ერაყის საჰაერო ზოლში პატრულირებისა და საჭიროების შემთხვევაში სარაკეტო დლარტყმების მიტანის უფლება.

ანალიტოკოსები მიიჩნევენ, რომ ბუშის მთავარი მიზანი არა ხუსეინი იყო რომელსაც მასობრივი იარაღის შექმნასა და ალქაიდასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა მუდმივად ვაშინგტონი, არამედ ნავთობი და გაზი. რომლის კონტროლი აშშ-ს მსოფლიო ფასების ბალანსირების საშუალებას მისცემს რითაც ის გაიხანგრძლივებს ბატნობას, ხოლო რუსეთისათვის კი ეს ეკონომიკური კატასტროფის, 1998 წლის დეფოლტის ტოლფასი იქნება.

თურქეთიც მნიშვნელოვან გეოგრაფიულ სივრცეს ფლობს. მისი ტერიტორიების ძირითადი ნაწილი აზიაა, თუმცა დედაქალაქი სტამბული და ქვეყნის ფართობის 3% ევროპაა, რაც საშუალებას აძლევს თურქეთს პრეტენზია განაცხადოს ევროკავშირის წევრობაზე. უძველესი დროიდან თურქეთი – რუსეთის გეოპოლიტიკური ოპონენტია. სახელმწიფოებს შორის არაერთი ომი მომხდარა შავი ზღვის, ბალკანეთისთვის. განსაკუთრებით ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლისათვის, რომლების შავსა და ხმელთაშუა ზღვას ერთმანეთთან აკავშირებს.

ვიდრე სსრკ უმსხვილეს სამხედრო სახელმწიფოდ ითვლებოდა თურქეთი ვერ ბედავდა სრეტეებში მოძრაობის საკუთარი პირობების კარნახს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი თურქეთი სისტემატურად არღვევს საერთაშორისო შეთანხმებებს და თვითონ არეგულირებს სრუტეებში ნასნობის რეგლამენტს.

თურქეთი ნატო-ს წევრი და რგეიონში პროდასავლური კურსის გამტარებელია. ის მაქსიმალურად უწყობს ხელს რუსეთის შესუსტებას, რაც მის ირგვლივ თურქულენოვანი ხალხების მეშვეობით ე.წ. სანიტარული კორდონის შექმნაში ვლინდება, გარდა ამისა, დიდ გავლენას ახდენს დსთ-ს ცენტრალური აზიაში და ამიერკავკასიის ქვეყნებზე. განსაკუთრებით აზერბაიჯანზე, საქართველოზე, უზბეკეთზე,, აგრეთვე თათრეთსა და იაკუტიაზე.

არსებობს ე.წ. პანთურქული პროექტი, რომლის მიხედვით ყველა თურქულენოვანი ქვეყნები უნდა გაერთიანდნენ ერთიან ზესახელმწიფოში. აღნიშნული იდეა დევს ატლანტიკურ გეგმებშიც. რომლის მიხედვით აუცილებელია რუსეთის შესუსტება, უარეს შემთხვევაში მისი დაყოფა ცალკეულ სახელმწიფოებად. თურქეთი მაქსიმალურად ცდილობს ყირიმს, თათრეთს და იაკუტიას თავს მოახვიას მუსლიმური იდეოლოგია, საუკეთესო სტუდენტები ისლამური ეგიდით უფასოდ იღებენ სწავლა განათლებას საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

წლების განმავლობაში სსრკ ბრწყინვალედ ახერხებდა თურქეთის პოზიციების შესუსტებას, იყენებდა რა ქურთთა პრობლემას, რომელთა რაოდენობა თურქეთსა და ერაყში არაოფიციალური მონაცემებით 40 მილიონს აღემატება. ესენი არიან მებრძოლი, თავისუფალი ხალხი, რომლებიც ეროვნულ დამოუკიდებლობასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოითხოვენ. ქურთთა მრავალი სამხედროხელმძღვანელობა უმაღლეს განათლებას რუსულ სამხედრო სასწავლებლებში იღებდა, აგრეთვე ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას იღებდნენ სსრკ-ს მხრიდან. დღეს კავშირები შესუსტდა. თურქეთის არმიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ქურთთა ბანაკებს, გაუვნებელყო ქურთთა მოძაობის საშიშროება.

პრობლემათა ახლოაღმოსვლური კვანძი არაბულ სახელმწიფოთა და ისრაელის ურთიერთობასაც მოიცავს. ისრაელი აშშ-ს საყრდენია რეგიონში. მას მჭიდრო ეკონომიკური, ფინანსური კავშირები აქვს აშშ-ს პოლიტიკურ ელიტასთან. არცერთ ამერიკელ პრეზიდენტს არ შეიძლება მეგობარი არ ჰყავდეს ებარელებიდან. ისრაელთან ურთიერთობების გამყარებით, აშშ სულ უფრო სცილდება არაბულ ქვეყნებს. ხოლო მღვრიე წყალში გაცილებით იოლია მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რეგიონში მისაღები სისტუაციის არსებობა და კონტროლი.

რთული ვითარებაა ისრაელსა და პალესტინელთა შორის.

ლექცია 15

განვითარებადი ქვეყნების გეოპოლიტიკა

1. განვითარებადი ქვეყნების ადგილი გლობალურ სამყაროში

2. მიუმხრომლობის მოძრაობა და „ოქროს მილიარდის" კონცეფცია

3. დემოგრაფიული აფეთქებები და სამხედრო გამოძახილები მესამე სამყაროს ქვეყნებში

4. აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მდგომარეობის გეოპოლიტიკური თავისებურებანი

ვიდრე ლექციას დავიწყებდეთ უნდა ავღნიშნოთ, რომ შესაძლებელი ქვეყანათა შემდეგნაირი დაყოფა:

1. წამყვანი სახელმწიფოები, ქვეყნები რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთნულის წევრები არიან. და ე.წ. 7+1 - იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, კანადა (2 და 4 შორის ჩინეთი, ბრაზილია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ინდოეთი).

2. საშუალო დონის ქვეყნები : ანუ ყველა ევროპული სახელმწიფო (დაახლოებით 50)

3. და განვითარებადი, ანუ მესამე სამყაროს ქვეყნები: დაახლოების 120 სახელმწიფო

დღეს შევეცდებით დეტალურად განვიხილოთ გეოპოლიტიკური მდგომარეობა განვითარებად ქვეყნებში. ასე იწოდებიან სამხრეთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ის სახელმწიფოები, რომლებიც 4-5 ათწლეული და უფრო მცირე ხახია რაც გათავისუფლდნენ ნახევრადკოლონიალური მდგომარეობიდან და წამყვან სახელმწიფოებზე ფინანსური დამოკიდებულებისაგან ცდილობენ თავის დააღწევას.

განვითარებადი ქვეყნების დიდი მცდელობის შედეგად 1961 წელს მოხერხდა და ჩამოყალიბდა ერთ-ერთი უმსხვილესი სახელმწიფოთშორისი გაერთიანება – მიუმხრომლობის მოძრაობა. მოძრაობის ლიდერები გახდნენ ინდოეთი, იუგოსლავია და კუბა.

„ცივი ომის" პირობებში ჩამოყალიბებულმა ამ ორგანიზაციამ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე წარმოქმნილმა 112 სახელმწიფოს გაერთიანებამ ხმა აიმაღლა კოლონიალიზვმის წინააღმდეგ, უარი თქვა დასავლეთთან დამოკიდებულებაზე, ასევე მოახერხა და დაიცვა თავი სოციალისტური ორიენტაციის ნეგატიურ შედეგებისაგან.

მიუმხრომლობის მოძრაობის ძირითადი პრინციპების მიხედვით თანამშრომლობა უნდა აიგოს შემდეგ თანასწორუფლებიან პრინციპებზე:

- დასავლეთმა უარი უნდა თქვას პროტექციონიზმსა და განვითარებადი ქვეყნების საქონლის დისკრიმინაციაზე;
- პერიფერიათა გენერალური სისტემის გაფართოვება და განახლება (უპირატესობა, შეღავათი);
- თანამედროვე ტექნოლოგიებთან თავისუფალი დაშვება;
- მსოფლიო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის აქტივების კარდინალური ზრდა;
- მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის განკუთვნილი სახსრებით „გარდამავალი" ეკონომიკის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა;
- სუსტი ქვეყნებისათვის ვალების ჩამოწერა.

მიუმხრომლობის მოძრაობა პოლიტიკურ მოთხოვნებში, ზოგიერთი სახელმწიფოს პროტესტის მიუხედავად, ის მოითხოვს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას.

ცდილობს რა მოიპოვოს გავლენა გაეროზე განვითარებადი ქვეყნები ითხოვენ:

- გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა რაოდენობის გაზრდას განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე (ინდოეთი, ბრაზილია, ნიგერია);
- უმრავლესობის პრინციპის შემოღებას მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტისას ან ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების პროპორციული გავლენის გათვალისწინებას;
- უშიშროების საბჭოსში ვეტოს უფლების გაუქმება, რამეთუ ის აკანონებს ასევე უთანასწორობას საერთაშორისო არენაზე;
- გაეროს გენერალური ასამბლეისთვის უშიშროების საბჭოსთან შედარებით გაცილებით მეტი უფლებამოსილების მინიჭებას (ასამბლეა – მსოფლიო პარლამენტი, უშიშროების საბჭო – მთავრობა).

თუმცაღა ფორმულირებულ მოთხოვნათა რეალიზაცია ჭირს შიდა წინააღმდეგობების წყალობით. მაგალითად, ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა.

მიუხედავად ამისა, მესამე სამყაროს ქვეყნებმა მოახერხეს 1970-იან წწ. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიეღოთ დეკლარაცია თანასწორუფლებისანობასა და ქარტია ეკონომიკური

კანონების თუ სახელმწიფოთა ვალდებულების შესახებ, რომელიც ვაჭრობასა და სავალუტო სისტემაში არათანაბრობის ლიკვიდაციას ითვალისწინებდა.

ნავთობექსპორტიორებმა ერთობლივი ძალისხმევით მოახერხეს ნავთობის თასების ზრდა. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნავთობექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ. რომელიც 1960 წელს შეიქმნა და რომელიც აერთიანებს: ირანს, ერაყს, ქუვეიტს, კატარს, საუდის არაბეთს, ლიბანს, ალჟირს, ინდონეზიასა და ეკვადორს, შტაბ-ბინით - ვენაში. ეს ქვეყნების რუსეთის გამოკლებით მსოფლიო ბაზარს ენერგორესურსების 90% აწვდიან და მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნიათ ენერგორესურსების ფასებზე.

წარმატებებს იქნა მიღწეული მრეწველობაშიც, რომელიც 70-80-იან წწ. 30%-ით გაიზარდა. აშენებულ იქნა მსხვილი საწარმოები, სატრანსპორტო მაგისტრალები.

ქვეყნების რიგმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში, ისეთებმა როგორებიცაა სამხრეთ კორეა, ტაივან, მალაიზია, ბრაზილია, ინდონეზია, ფილიპინები საკმაოდ მცირე დროში მოახერხეს წარმატებების მიღწევა. მაგალითად, 60-იან წწ. ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე სამხრეთ კორეაში ისევე როგორც განაში (აფრიკა) წელიწადში 230 დოლარს შეადგენდა. დღეისათვის ის 12-ჯერ აღემატება განისას.

ცხოვრების დონის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა, ისეთებმა როგორებიცაა საუდის არაბეთი, არაბული ემირატები, ქუვეიტი, ომანი.

მიუხედავად ამისა თანასწორობას ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მაინც არ იქნა მიღწეული.

აფრიკის, სამხრეთ სახარის, სამხრეთ აზიის, ინდოეთისა და ჩინეთის დაახლოებით 3 მილიარდიანი მოსახელეობის წლიური შემოსავალი საშუალოდ 500 დოლარს შეადგენს, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის 1.5 მილიარდიანი მოსახლების – 2 000 დოლარს, მაშინ როცა მეტნაკლებად განვითარებული დანარჩენი ქვეყნების 280 მილიონი მოსახლეობის შემოსავალი 20 000 დოლარს აღემატება. ამასთან სიტუაციის გამოსწორების არანაინი ნიშნები არ აღენიშნიბათ.

1980-95 წწ. მკვეთრი აღმავლობა აინიშნა დაახლოების 15 სახელმწიფოში. რომელიც ცხოვრების დონის ზრდით უზრუნველყოფს დაახლოების 1.5 მილიარდ ადამიანს. თუმცა 70-მდე ქვეყანაში მაჩვენებელმა 1980 წელთან შედარებით 43-ჯერ დაიწია. მიუხედავად ამისა ფაქტია, რომ მსოფლიო გაცილებით პოლარიზებული გახდა.

უთასწორობის გლობალიზაციამ ასახვა ჰპოვა „ოქროს მილიარდის" კონცეფციაში. რომლის მიხედვითაც მსოფლიოში მოსახლე 8 მილიარდი ადამიანიდან მხოლოდ ერთს აქვს ნორმალური ცხოვრების საშუალება. „ოქროს მილიარდის" საზღვრები ფაქტობრივად ემთხვევა ატლანტიკური კავშირის სავზღვრებს: ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთი ევროპა, იაპონია.

სამყაროს დანარჩენი რეგიონები დასავლეთის ნედლეულის საწყობად განიხილიბა. ამით ფაქტობრივად მეორდება საუკუნოვანი ვითარება, როცა კოლონიალიზმის აპოლოგეტიკები ცდილობდნენ კოლონიალური სისტემის სამუდამო კონსერვაციას, თუმცა მაშინ იდეის რეალიზაციას ხელი შეუშალა სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთში. თანამედროვე თეორეტიკოსების მიერ გადმობირების იმედით „ოქროს მილიარდში" კონცეფცია შევსილ აუთსაიდერი-ქვეყნების პოლიტიკური ელიტებით.

„ოქროს მილიარდის" კონცეფციას აქვს ობიექტური ფუნდამენტიც. რეალურად მომხმარებელთა დასავლური სტანდარტების გავრცობა მთელს მსოფლიოზე შეუძლებელია, რამეთუ მოითხოვს ბუნებრივი რესურსების მოპოვების 20-ჯერ ზრდას. ეს კი დაახლოების 5 მსგავს პლანეტის არსებობას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალი რჩება.

აუთსაიდერი-ქვეყნების რიგში შეიძლება მოხდეს რუსეთი.

არსებული მაჩვენებლების მიხედვით, დასავლეთს, ანუ როგორც მას უწოდებენ ჩრდილოეთს სავარაუდოდ გაუჭირდება სამხრეთის პრობლემებისაგან თავის დაღწევა. მსიუხევად საკუთარი სამხედრო ძლიერებისა. ახალი ტექნოლოგიების გავრელების შედეგად, მათ შორის სამხედრო, ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ გაიმყარონ საკუთარი სამხედრო პოტენციალი ყოველგვარი სოციალ-ეკონომიკური პროგრესის გარეშეც. მაგალითად, პაკისტანის პრეზიდენტის ბჰუტოს განცხადებით (20 წლის წინ) „ქვეყანა ბალახით გამოიკვებება და ბირთვულ იარაღს შექმნის".

კიდევ ერთ ხელშემშლელ ფაქტორს ჩრდილოეთისათვის აუთსაიდერ სამხრეთზე საკუთარი გავლენის გავრცობაში წარმოადგენს ნაციონალიზმის ღია გამოხატულება მესამე სამყაროს ქვეყნებში, ამას ხეს უწყოს ახალი საინფორმაციო საშუალებები.

განვითარებული სახელმწიფოების ჩამორჩენილი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის ეფექტურობას ხელმ უშლის განსხვავებული კულტურაც. განსაკუთრებით ადამიანური კულტურა. თუკი ცივილიზირებულ ქვეყნებში თანამოაზრის დაკარგვა რთულია ახსნა რაიმე აუცილებლობით, განვითარებადში – მიზნის მიღწევა ადამიანის სიცოცხლეზე ფასეულია.

მსგავსი განსხვავებული მიდგომა არსებობს ისრაელსა და პალესტინას შორის, რუსეთსა და ჩეჩენეთს შორის, აშშ-სა და ერაყს შორის და ა.შ.

ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ურთიერთობების კიდევ ერთ პრობლემას დემოგრაფიული სირთულეები წარმოადგენს.

მოსახლეობის ზრდის ტემპებმა გაცილებით იმატა XVII-XIX სს-ში. 1825 წლისათვის მოსახლეობის რიცხვმა 1 მლრდ. ადამიანი შეადგინა. მომდევნო გაორმაგებას დასჭირდა კიდევ ერთი ასი წელი. ცალკეული ქვეყნების მიხედვით მოსახლეობის ტემპების განსაზღვრა რთულდება ხშირი ემიგრაციის მიხედვით. მხოლოდ 1846-1930წწ. ევროპიდან გავიდა დაახლოების 50 მილიონი ადამიანი. აშშ-სთან ერთად ხალხი გაედინებოდა კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში.

1925-76წწ. მოსახლეობის რიცხვი კიდევ 2-ჯერ გაიზარდა და 4 მილიარდი შეადგინა. ხოლო XX საკუნის მიწურულს მათმა რიცხვმა 6 მილიარდი შეადგინა. დღეისათვის მოსახლეობის რიცხვი საშუალოდ ყოველდღიურად 200-220 000 ადამიანით იზრდება.

უნდა აღინიშნოს ისც, რომ მიგრაციული პროცესები არ დასრულებულა. უფრო მეტიც თუკი ადრე განვითარებული ქვეყნებიდან მოსახვეობის დიდი ნაწილი განვითარებადში მიედინეობოდა (ბრიტანეთი – აშშ) ამჯერად პირიქეთ - განვითარებადიდან განვითარებულში.

ამრიგად თუკი დარე ევროპა ემიგრაციის წყარო იყო, ამჟაყად ის იმიგრაციის ადგილს წარმოადგენს. ევროპაში დღეს დაახლოების 20მლნ. ლეგალური იმიგრანტი ცხოვრობს. მაგალითად საფრანგეთში ამჟამად ყველა მეხუთე ფრანგი არაფრანგული წარმოშობისაა.

მილიონობით ჩინელე დფეს-დღეობით არალეგალურად ცხოვრობს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში. ზუსტად ისე როგორც ყოველწლიურად მილიონობით მექსიკელი კვეთს აშშ-ს საზღვარს.

მსგავსი სიტუაციაა ევროპაშიც. ზოგიერთი პოლიტოლოგისა და სოციოლოგის მოსაზრებით ევროპა თუ ის არ მიხედავს მიგრაციის საკითხებს, სულ მალე შესაძლოა საკუთარ საზღვრებში ისეთვისე უმცირესობაში აღმოჩნდეს როგორც თეთრკანიანები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებელია ვთქვათ, რომ ხალხთა ახალი საერთოპლანეტარული საზოგადოება იძულებული იქნება დაეფუძნოს კაცობრიობის ახალ საერთო საცხოვრებელს, რომელიც შეითვისებს საუკეთესოს ჩრდილოეთისა და სამხრეთისაგან,

დასავლეთისა და აღმოსავლეთისგან. რათა თავიდან აიცილოს პლანეტარული კოლაფსი. ოპტიმალურ მოდელს კი უნდა გააჩნდეს:

- აშშ-სეული შრომის მწარმოებლობა;
- მოხმარების ჩინური სტანდარტები;
- შვედეთის სოციალური თანასწორობა;
- იაპონური დისციპლინა.

გასაგებია, რომ სგავსი რამ შეუძლებელია, თუმცა უნდა ვეცადოთ. სხვა შემთხვევაში ეკოლოგიური კატასტროფა გარდუვალია.